აკაკი ჩხაიძე სამაგალითო ჩინოვნიკია - მიიჩნევს პრეზიდენტი A2

განათლება B4-B5

ფოტოკონკურსი B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 5 ნოემბერი, 2002 წელი. №156

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### დღეს პარლამენტში ჟვანიას ბუნდზე შეტევა განხორციელდება

გაუფორმებელი საპარლამენტო უმრავლესობა, რომელმაც ვერც ადგილობრივ არჩევნებში და ვერც პოლიტიკურ ბრძოლებში "უმცირესობაში" მყოფი ოპოზიცია ვერ დაჯაბნა, რევანშის აღებას პარლამენტში შეეცდება.

A3

## ეკონომიკა

### როდის ამუშავდება მეცხრე ენერგობლოკი?

"ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს შორის დავა გრძელდება. ამჯერად, დავის საგანია თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის ჩართვის საკითხი. მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოეწერა 10 ოქტომბერს, საბითუმო ბაზარსა და "ეი-ი-ესს" შორის ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, უკვე ირღვევა.

A4

## უცხოეთი

### ჩეჩნეთში დამსჯელი ოპერაცია დაიწყო

იმის შესახებ, თუ რა სახის იქნება სპეცოპერაცია, მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქვას, რადგან ჩეჩნეთიდან ინფორმაციის ნაკადს სამხედროები თითქმის მთლიანად აკონტროლებენ. მათ რომ დაუჯეროს კაცმა, აქამდე ომი უკვე სამჯერ მაინც უნდა იყოს დამთავრებული.

A5

## საზოგადოება

### არმსტრონგი გორის სამუსიკო სასწავლებელში

გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს წელს 40 წელი უსრულდება. ის ჯერ კიდევ სახელმწიფოა. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაცია "Mercy Corps", ადგილობრივი ბიუჯეტის იმედად ვერ მოხერხდებოდა იმ სამუშაოს ჩატარება, რამაც არა მარტო შენობის იერ-სახე განაახლა, არამედ საკონცერტო საღამოების გამართვაც შესაძლებელი გახადა.

A6

## სამართალი

### პოლიციელები კოლეგების მშობლებსაც არ ინდობენ

"არავის ვაპატიებ შეურაცხყოფას. მათ მთელი ოჯახის თვალწინ მცემეს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამაგიერო გადავუხადო," – გვითხრა სატელეფონო საუბრისას ირაკლი ჭინჭარაულმა, რომელიც, მისივე მტკიცებით, სამართალდამცველების მსხვერპლი გახდა.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 18 |
| ქუთაისი | 23 |
| ბათუმი | 24 |
| სოხუმი | 22 |
| ფოთი | 24 |
| თელავი | 17 |
| ზუგდიდი | 23 |
| გორი | 15 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1710 |
| ევრო | 2.1623 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3920 |
| რუბლი | 0.0683 |

# პირველი სხდომა - პირველი ხმაური და განხეთქილება



გუშინ პარტნიორები, ხვალ?

*როგორც იქნა, თბილისს საკრებულო ჰყავს. ვერც ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბოლოდროინდელმა, აშკარად გაუგებარმა და ხშირად კანონსაწინააღმდეგო ქმედებებმა, ვერც "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების მიერ მერიის შენობის პიკეტირებამ, ვერც საერთო დაძაბულობამ და "ნაციონალებისა" და ახალი მემარჯვენეების მცირეოდენმა წაკინკლავებამ ვერ გაანელა იმის მნიშვნელობა, რაც გუშინ საქართველოს დედაქალაქში მოხდა.*

თამარ ასათიანი

მაშ ასე: გუშინ თბილისის ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გაიმართა. მისი თავმჯდომარე "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გახდა, ხოლო საკრებულოს მდივნად "ლეიბორისტი" ზურაბ ჟვანია აირჩიეს.

საგულისხმოა, რომ გუშინდელ დღეს პოლიტიკური ბატალიების გარეშე არ ჩაუვლია – სხდომის მსვლელობით აღშფოთებულები იყვნენ "ახალი მემარჯვენეები", "მრეწველები" და "აღორძინება", რომელთა წარმომადგენლებმა დემონსტრაციულად

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვინ დამარცხდა გუშინ - შევარდნაძე თუ ოპოზიცია?

ეკა კვესიტაძე

შევარდნაძე დღეს დამარცხდა – ეს არის საკრებულოს ახლადარჩეული თავმჯდომარის ახალი მესიჯი. მაგრამ, ეს უფრო ზედმეტად ოპტიმისტურ განცხადებას ჰგავს, ვიდრე რეალობას. რეალობა, რომელიც გუშინ ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიქმნა, გაცილებით კომპლექსურია და რთულ კითხვასაც ბადებს - ვინ დამარცხდა გუშინ, შევარდნაძე თუ ოპოზიცია?

გუშინ მართლაც ძნელი აღმოჩნდა სიმართლის გარკვევა. კითხვაზე, დაარღვიეს თუ არა კანონი მიხეილ სააკაშვილმა და "გაერთიანებული დემოკრატების" სამმა წევრმა - გია ბარამიძემ, ელდარ შენგელაიამ და ელენე თევდორაძემ - ცალსახა და ზუსტი პასუხი არ არსებობს. აღმოჩნდა, რომ ეს იურიდიული კაზუსია, რომ ორივე დაპირისპირებულ მხარეს თანაბარი

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლევან მაისურაძე: "დანაშაული შეგნებულად იმალებოდა"

მაია ურუშაძე

*ლევან მაისურაძე უკვე შვიდი თვეა, რაც თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსად დაინიშნა. მისი მოღვაწეობის დაწყების დღიდან ერთი საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა: თბილისში იკლო მძიმე დანაშაულის რიცხვმა, სამაგიეროდ, გაიზარდა ქურდობათა რაოდენობა. ამ დროს კი, ღამ-ღამობით თვალში საცემი ხდება პოლიციელთა საპატრულო მანქანების სიმრავლე. ვინაიდან ეს სიახლეები ლევან მაისურაძის სახელს უკავშირდება, "24 საათმა" ქალაქის პოლიციის უფროსი რედაქციაში მოიწვია და ინტერვიუ სთხოვა მას.*

**- შვიდი თვეა, რაც ქალაქის პოლიციის უფროსად დაინიშნეთ. რა სიახლეა ამ უწყებაში თქვენი მისვლის შემდეგ?**

- მთავარი აქცენტი გავაკეთეთ დანაშაულის აღრიცხვიანობის მოწესრიგებაზე, რადგან მიგვაჩნია, რომ

გაგრძელება A3 გვერდზე

# კულტურული დივერსია




ჯორჯ ბენსონი

# ისლამისტების სრული ტრიუმფი თურქეთში

შოთა უტიაშვილი

364 ადგილი 550-კაციან პარლამენტში – ყოფილი ისლამისტი რეჯეპ ტაიპ ერდოღანი უკეთეს შედეგზე ვერც იოცნებებდა. "სამართლიანობისა და განვითარების" პარტიამ, რომელიც სულ ერთი წლის წინ შეიქმნა, პარლამენტს გარეთ დატოვა ყველა ის პარტია, რომელიც დღეს მოქმედ საკანონმდებლო ორგანოშია წარმოდგენილი. ასე იძია თურქმა ამომრჩეველმა შური არაეფექტურ და კორუმპირებულ პოლიტიკურ ისტებლიშმენტზე. ერდოღანი, რომელიც 4 წლის წინ რელიგიური შუღლის გაღვივებისათვის ციხეში იჯდა, დღეს სრულ ტრიუმფს ზეიმობს.

მართალია, მეტოქეები პარტიას ისლამისტურ და ფუნდამენტალისტურ მისწრაფებებში სდებენ ბრალს, მაგრამ "თეთრმა პარტიამ" უკვე განაცხადა, რომ საერო ხელისუფლების პრინციპების ერთგულია, უფრო მეტიც, ყველაფერს გააკეთებს ევროკავშირში გაწევრიანებისთვის, მსოფლიო ეკონომიკაში უფრო ღრმა ინტეგრაციისა და უმთავრეს სტრატეგიულ პარტნიორთან - აშშ-სთან თანამშრომლობის განმტკიცებისათვის.

ყველასათვის აშკარაა, რომ ხელისუფლებაში ისლამისტების მოსვლა არა იმდენად რელიგიური, რამდენადაც სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებით იყო განპირობებული. ბოლო ორ წელიწადში ქვეყანაში უმძიმესი ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, რომელმაც ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტა გადაიყოლა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# თბილისის 20 პროცენტი ჩაბნელებულია

## "თელასი" უხარისხო დენზე უარს ამბობს

მაია ურუშაძე

ორი დღეა, რაც ქალაქი საჭიროზე 20 პროცენტით ნაკლებ ელექტროენერგიას იღებს. ეს ნიშნავს, რომ ქალაქის 20 პროცენტი ჩაბნელებულია. "ეი-ი-ეს თელასი" პერიოდულ, ხუთწუთიან გამორთვებს ელექტროქსელში სიხშირის ვარდნით ხსნის, რაც "დისპეტჩერიზაციამ" უნდა დაარეგულიროს. **"თუ "ეი-ი-ეს თელასს" ელექტროენერგიას შეზღუდული რაოდენობით მიაწოდებენ, ის იძულებული გახდება, გრაფიკი შემოიღოს,"** – აცხადებენ "ეი-ი-ეს თელასში". საბითუმო ბაზარმა, ენერგოდეფიციტის გამო, გამანაწილებელ ენერგოკომპანიებს ელექტროენერგიის მოხმარების უფლება უკვე შეუზღუდა და ლიმიტები დაუწესა. თუ "დისპეტჩერიზაციამ" ამ ლიმიტების დაცვა არ უზრუნველყო, "ელექტროგადაცემის" სისტემაში მასშტაბური ავარიები გარდაუვალი იქნება. ამას, ბუნებრივია, სარემონტო ხარჯების ზრდაც მოჰყვება. მთავარი კი მაინც ის არის, რომ "ელექტროგადაცემის" ქსელებში გახშირებული ავარიები საათობით ელექტროენერგიის გარეშე დარჩენას გვიქადის.

გაგრძელება A4 გვერდზე

# ტელეკომპანია „ოდიშის" დარბევას ერთი თანამდებობის პირი შეეწირა

თამარ კაციტაძე

ტელეკომპანია "ოდიშის" დარბევის ინიციატორი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე რობერტ ჩიქობავა თანამდებობიდან გაათავისუფლეს. ასეთი გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ერთთვიანი მოკვლევისა და ფიქრის შემდეგ მიიღო.

**"გენერალურმა ინსპექციამ მოკვლევა კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში დაასრულა და ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილის მიმართ, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ტელევიზიის დარბევას, უმაღლესი სასჯელი გამოვიყენეთ. სხვა პოლიციელების ქმედებაზე გადაწყვეტილება არ მიგვიღია, რადგან: ჯერ ერთი - ისინი უფროსის ბრძანებას ასრულებდნენ და მეორე - ტელევიზიის წარმომადგენლებს სხვა პოლიციელებისადმი პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება და დანარჩენზე იგი იმსჯელებს,"** – გვითხრა გენერალური ინსპექციის უფროსმა დავით ჯინჯოლავამ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 კულტურა B3 ანკეტა B4-B5 განათლება B6 განცხადებები B7 სპორტი B8 სხვადასხვა

# ლევან მაისურაძე: "დანაშაული შეგნებულად იმალებოდა"

პირველი გვერდიდან

საზოგადოებას სრული ინფორმაცია უნდა ჰქონდეს მომხდარი დანაშაულის რაოდენობისა და კლასიფიკაციის შესახებ. გარდა ამისა, თანამშრომელმაც ზუსტად უნდა იცოდეს, თუ რა საკითხებს უნდა დაუთმოს მეტი ყურადღება. უნდა გაკეთდეს შესაბამისი ანალიზი და არსებობდეს ზუსტი, შეულამაზებელი ინფორმაცია.

**- აქამდე მონაცემები ყალბდებოდა?**

- დიახ. ადრე, წლების განმავლობაში, ჩვენთან არ აღირიცხებოდა დანაშაულის რეალური რაოდენობა. მონაცემები "ლამაზდებოდა," თანაც იმდენად, რომ არც ერთ განვითარებულ ქვეყანაში არ იყო დანაშაულის ისეთი დაბალი მაჩვენებელი, როგორც ჩვენთან. მე მაქვს ამის თქმის საშუალება, ჩემი ინტერპოლში მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე: სამართალდარღვევების ზუსტი რაოდენობისა და იმის ცოდნას, თუ რომელია მოცემულ ეტაპზე მზარდი დანაშაული, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მისი თავიდან აცილების საქმეში.

**- ეს შელამაზება არაკომპეტენტურობით იყო გამოწვეული თუ მიზანმიმართული პოლიტიკის გამო?**

- რასაკვირველია, მიზანმიმართული პოლიტიკის გამო. ეს გამოწვეული იყო საბჭოთა სისტემის თავისებურებით, როცა პოლიციელს დანაშაულის მატება ნაკლებად ეთვლებოდა. ვინაიდან მკვლელობა და ყაჩაღობა ვერ დაიმალებოდა, ამიტომ უფრო ქურდობის ფაქტები ლამაზდებოდა. მაშინ ამ გზით დანაშაულის გახსნის მაჩვენებელი ხელოვნურად მატულობდა. ასე რომ, არაკომპეტენტურობა არაფერ შუაშია. ახლა, ზუსტი აღრიცხვა როცა მაგიდაზე დაიდო და რეალური სურათი დაიხატა, სწორედ ქურდობების რიცხვმა "აიწია".

**- რამდენად თავისუფალი ხართ საკადრო პოლიტიკის წარმართვაში? კარგად მომზადებული კადრები ხომ დანაშაულთან წარმატებული ბრძოლის საწინდარია...**

- რა თქმა უნდა, საქმის წარმატება დიდად არის დამოკიდებული კადრებზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, თუ რამდენად პროფესიულად არიან კადრები მომზადებულნი. ერთადერთი, ვინც ჩვენთვის კადრებს ამზადებს, პოლიციის აკადემიაა. მიმაჩნია, რომ იქაც შესაცვლელია ბევრი რამ. მაგალითად, უნდა გაიზარდოს განათლების, კვალიფიკაციის მოთხოვნები. ძლიერად მომზადებული კადრები უნდა გვყავდეს, თუმცა ამისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც საჭიროა.

**- შელამაზებულ მაჩვენებლებზე უკვე ვისაუბრეთ. როგორია რეალური მაჩვენებლების ტენდენცია?**

- ვინაიდან, ძირითადად, აქცენტი გაკეთდა დანაშაულის წინასწარ თავიდან აცილებაზე, დანაშაულის რეალურმა მაჩვენებელმა იკლო. თუმცა, დღემდე მაინც მნიშვნელოვან პრობლემად გვრჩება ავტომანქანების გატაცებები. დანაშაულის თავიდან აცილებისთვის ძალიან დიდი მუშაობა ჩატარდა, რადგან ეს საკითხი უმნიშვნელოვანეს საკითხად მივიჩნიეთ. უკვე მომხდარი დანაშაულის გამოძიება, როგორც წესი, გაცილებით უფრო პრობლემატურია ხოლმე. ამიტომ უმჯობესია, წინასწარ ჩატარდეს მუშაობა, მოხდეს ანალიზი უბნების მიხედვით, თუ რა მიმართულებით აქტიურდება დანაშაული. ამას წინათ შემთხვევა გვქონდა რუსთაველზე – "კოდაკის" მაღაზიაში შეიარაღებული ყაჩაღები შეიჭრნენ და გაძარცვეს. რომ არა პატრული, რომელიც დანაშაულის ადგილთან ახლოს იმყოფებოდა, დამნაშავეები მიიმალებოდნენ. ორმხრივი სროლის შედეგად ერთი პოლიციელი მძიმედ დაიჭრა და ახლაც მკურნალობს. სამაგიეროდ, ყაჩაღები დავაპატიმრეთ, ამოვიღეთ ნაძარცვიც და დიდძალი იარაღიც. პატრულირებისას დამნაშავეებზე ფსიქოლოგიური ფაქტორიც მოქმედებს – როცა პატრულს ხედავს, პოტენციური დამნაშავე თავს იკავებს დანაშაულის ჩადენისაგან. შედეგიც სახეზე გვაქვს: ქალაქში თითქმის არ დარჩენილა მკვლელობა, რომ არ იხსნებოდეს, მძიმე დანაშაულის რიცხვმაც შედარებით იკლო. ეს კი იმან განაპირობა, რომ დანაშაულის წინასწარი აღკვეთა ხდება: ქალაქის ქუჩებში 24 საათის განმავლობაში პატრულირებენ პოლიციის თანამშრომლები. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და, ჩვენი ბიჭები გაუთვალისწინებელი სიტუაციებისთვის ყოველთვის მზად არიან.

**- პოლიციის უფროსად თქვენს მოსვლასთან ერთად, კორუმპირებული პოლიციელების გამოვლენის შემთხვევების რიცხვმა იმატა...**

- რა თქმა უნდა. კორუმპირებულ პოლიციელთა გამოვლენის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ისინი დაისაჯნენ და მომავალში მსგავსი დანაშაულისთვის სხვებიც დაისჯებიან... პოლიციელთა კორუმპირებულობა, ნაწილობრივ, მათმა დაბალმა ანაზღაურებამაც განაპირობა. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ მსგავსი ფაქტების გამოვლენაში საზოგადოებაც დაგვეხმაროს, რადგან თუ საზოგადოება პოლიციისგან შორს იქნება, ჩვენ საუკეთესო შედეგამდე ნამდვილად ვერ მივალთ.

**- პოლიციას ხშირად საყვედურობენ ადამიანთა უფლებების შელახვის ფაქტების სიმრავლის გამო...**

- ეს დაუშვებელია. ჩვენ ვცდილობთ, იმის მიხედვით დაიგეგმოს მუშაობა, რა პრეტენზიებიც საზოგადოებას პოლიციის ცალკეული განყოფილებების მიმართ გააჩნია. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მოსახლეობასთან პერიოდულად უნდა ხდებოდეს პოლიციის ქვედანაყოფების შეხვედრა და აზრთა გაზიარება. სათანადო ანალიზი უკვე გაკეთდა, ახლა მუშაობაა საჭირო, რომ არსებული ხარვეზები გამოსწორდეს.



*ლევან მაისურაძე "24 საათის" რედაქციაში.*

## მოკლედ

**თბილისი.** საქართველოში რუსეთის ყოფილი საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვლადიმირ გუდევის განცხადებით, ე.წ. ბოდენის დოკუმენტს, რომელიც "არ ჯდება გაერო-ს უშიშროების საბჭოს მოქმედების ნორმებში, თბილისსა და სოხუმს თავს გამიზნულად ახვევენ". ეს განცხადება გუდევმა, გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე რუსული დელეგაციის მიერ "თბილისსა და სოხუმს შორის კონსტიტუციურ უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ" ე.წ. ბოდენის დოკუმენტის განხილვის დაწყებაზე უარის თქმის კომენტირებისას გააკეთა. რუსეთის ყოფილი ელჩის [illegible] **ინტერ-პრესი.**

■ ■ ■

**სოხუმი.** ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის უსაფრთხოების [illegible] ქართულმა მხარემ შეხვედრა. იმედი გვაქვს, რომ იგი უბრალოდ, გადაიდო, თუმცა, მიზეზები ჩვენთვის ცნობილი არ არის", - აცხადებს შამბა. შეხვედრაზე აფხაზური მხარე აპირებდა დაესვა ხიდას ულელტეხილზე (საკენის აღმოსავლეთით 50 კილომეტრში, ზღვის დონიდან — 1638 მეტრში), აფხაზეთ-სვანეთის ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან რუსული საგუშაგოს გახსნის საკითხი. გარდა ამისა, აფხაზური მხარე აპირებდა კოდორის ხეობის სოფელ აჟარაში რუსებისა და გაერო-ს ერთობლივი, სტაციონარული საგუშაგოს მოთხოვნას. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გუშინ მიღებული გადაწყვეტილებით, სამტრედიის რაიონში პარლამენტს გამოკლებული მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთ ლიდერს ზვიად ძიძიგურს არჩევნებში მონაწილეობაზე უარი უთხრა. ცსკო-ს სხდომამ გააუქმა 30 ოქტომბერს მიღებული განკარგულება, რომლის მიხედვით, ცსკო-მ ძიძიგური რეგისტრაციაში გაატარა. როგორც ცსკო-ს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ზესაშვილმა თქვა, გასულ კვირას ძიძიგურის რეგისტრაციაში გატარება პროცედურის დარღვევით მოხდა. მისივე თქმით, რიგგარეშე სხდომა ისე ჩატარდა, რომ ცსკო-ს ყველა წევრი არ იყო გაფრთხილებული. მეორე მიზეზი, რის გამოც ცსკო-მ ზვიად ძიძიგურს რეგისტრაციაზე უარი უთხრა, ის იყო, რომ მეორე მოწვევის საკრებულოს სხდომამ ძიძიგურის დეპუტატობის უფლებამოსილება ცნო და მას არ შეეძლო, ერთდროულად კენჭი ეყარა მეორე არჩევითი ორგანოს თანამდებობაზე. ცსკო-ს გუშინდელი გადაწყვეტილება გააპროტესტა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა კობა დავითაშვილმა. იგი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში ცსკო-მ „აბუჩად აიგდო კანონი". "ნაციონალები" დღევანდელ გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებენ. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ხელმძღვანელობა მიაღწევს დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებას 2003 წლიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატის შეცვლის და გაფართოების საკითხთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის ბოლოს მანდატის ამოწურვისთანავე საქართველო აპირებს, ამ პრობლემასთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებაზე მიაღწიოს მშვიდობისმყოფელთა მანდატის გაფართოების საკითხს, - განაცხადა, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა თედო ჯაფარიძემ. ოფიციალური თბილისი დაინტერესებულია, რომ მშვიდობისმყოფელთა პასუხისმგებლობის ზონაში გალის რაიონიც შედიოდეს, ვინაიდან, საქართველოს ხელმძღვანელობის შეხედულებით, ეს ხელს შეუწყობს ქართველ დევნილთა უსაფრთხოებით უზრუნველყოფას. თბილისი ასევე მოითხოვს გალის რაიონში ერთობლივი ადმინისტრაციის შექმნას, რაც სამშობლოში დაბრუნებულ დევნილთა უსაფრთხოების გარანტიად იქცევა. საქართველო ასევე მოითხოვს, თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნასთან დაკავშირებული გეგმის რეალიზაციის დაწყებას, რომელიც გაერო-ს ეგიდით შემუშავდა **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**გალი.** პარასკევს ღამით, გალიდან დაუდგენელი პირების მიერ მდინარე ენგურზე მიმდინარე ლტოლვილთა საპროტესტო აქციების აქტივისტის მურმან მალაზონიას გატაცებული მეუღლის გათავისუფლების სანაცვლოდ 20 ათას აშშ დოლარს მოითხოვენ. როგორც პარტიზანული შენაერთი "ტყის ძმების" მეთაურმა დავით შენგელიამ განაცხადა, მისთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული მოთხოვნა მალაზონიების ოჯახის წევრებს ანონიმური ზარით შეატყობინეს. მურმან მალაზონიას მეუღლე ხათუნა ხორავა გალში საკუთარი სახლიდან გაიტაცეს. ინციდენტის დეტალები, ჯერჯერობით, ისევ უცნობია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გატაცებული აფხაზეთის ტერიტორიაზეა გადაყვანილი. **პრაიმ-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** რუსეთი საქართველოსგან ფარულად, აფხაზეთის რკინიგზის გვერდის აქცევით, აპირებს სრული მოცულობით აღადგინოს ტრანსკავკასიური მაგისტრალი. ამ მიზნით რუსეთს სურს თურქეთში (სომხეთის გავლით) და ირანში (აზერბაიჯანის ავტონომიური ოლქის - ნახჭევნის) მიმავალი რკინიგზის მაგისტრალები აამოქმედოს.

რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროსა და სარკინიგზო მიმოსვლის სამინისტროს სპეციალისტთა შეფასებით, სატვირთო ტრანზიტი რუსეთში და უკან სამხრეთ კავკასიის მიმართულებით რეალურად შესაძლებელია აზერბაიჯანზე და სამხრეთ სომხეთზე გავლით - ირანის, ერაყის, სირიისა და პაკისტანის მიმართულებით. მათივე აზრით, სამხრეთკავკასიური დერეფნის შავიზღვისპირა, ანუ ქართულ-აფხაზური განშტოება ექსპლუატაციისთვის უვარგისია. რუსეთის სატრანზიტო შემოსავლები ამ სქემის ამოქმედებით, სპეციალისტთა გაანგარიშებით, წელიწადში 500-700 მლნ დოლარს შეადგენს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გენერალურმა პროკურატურამ 1 ნოემბერს სისხლის სამართლის საქმე აღძრა 2002 წლის 27 ოქტომბერს, „რუსთავი 2"-ის გადაცემა „60 წუთში" გამოქვეყნებული ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეს აკაკი ჩხაიძეს "სახელმწიფო ქონების დატაცებასა და სხვა დანაშაულებში" ამხელდა. აკაკი ჩხაიძის მიმართ საქმის აღძვრის მოთხოვნით პროკურატურას არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართეს. გენერალური პროკურორის გადაწყვეტილებით შექმნილია საქმის გამოძიებისას მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედიან არასამთავრობო ორგანიზაციები და ჟურნალისტები. საქმეს გენერალური პროკურატურის განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი პაატა ჯაველიძე იძიებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ, საქართველოს პარლამენტის ბიურომ მოისმინა ეროვნული ბანკის ინფორმაცია პარლამენტის დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის - ლარის შემოღებას. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის ივანე ვახტანგიშვილის განცხადებით, დადგენილება, რომელიც გასული წლის ზაფხულში მიიღეს, შესრულების სტადიაშია. მთელი ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობდა შუალედური მოლაპარაკებები, რომელთაც, ჯერჯერობით, არავითარი შედეგი არ მოუტანია. ნინო ბურჯანაძემ ამის გამო უკმაყოფილება გამოთქვა და აღნიშნა, რომ თუ ერთ თვეში საკითხი არ მოგვარდება, პარლამენტი ეროვნულ ბანკს რეკომენდაციას მისცემს, რომ წამოაყენოს თავისი წინადადებები დადგენილების ცალმხრივად რეალიზაციის შესახებ, რუსეთის მხარესთან ყოველგვარი მოლაპარაკებების გარეშე. **კავკას-პრესი.**

# "მინი პუტჩი" - ასეთია საკრებულოს მიღმა დარჩენილი "სოციალისტების" შეფასება

*თბილისის საოლქო და უზენაეს სასამართლოებს, როგორც ჩანს, მოსვენება არც თბილისის საკრებულოს ამუშავების შემდეგ ეღირსებათ. სასამართლოები, რომლებიც 2 ივნისის არჩევნების შემდეგ წარმატებით ითავსებენ ცესკო-ს ფუნქციებსაც, ახალი სარჩელით შეაწუხეს. თემატიკა ისევ საარჩევნოა და მისი ავტორები 2 ივნისის არჩევნების "აუტსაიდერები" - სოციალისტები არიან. ვახტანგ რჩეულიშვილის გუნდი თემიდას მსახურებისგან ითხოვს, სათანადო ყურადღება მიექცეს იმ საარჩევნო დარღვევებს, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას "გამორჩა". თუ აღნიშნულ სარჩელს მოსამართლეები გაგებით მოეკიდებიან, "სოციალისტებს" საკრებულოში ორი წევრის გაყვანის იმედი აქვთ.*

სოფო ბუკია

"სოციალისტური" სარჩელის მიზეზი, როგორც თავად პარტიის ლიდერი ამტკიცებს, არ გახლავთ საკრებულოს ახლადარჩეულ წევრთათვის საზეიმო განწყობის გაფუჭება. პირიქით, თბილისის ახალ ბატონ-პატრონთა მისამართით დაწერილ მიმართვაში ვახტანგ რჩეულიშვილი დიდსულოვნად იზიარებს გამარჯვებულთა სიხარულს, ვერ მალავს მათდამი უსაზღვრო პატივისცემას და წარმატებასაც "უშუალო გულწრფელობით ულოცავს".

სოციალისტების სარჩელი უფრო ღრმა შინაარსისაა, ვიდრე პოლიტიკური დაპირისპირება – რჩეულიშვილი საკუთარი სარჩელით სამოქალაქო ომის თავიდან აცილებას ცდილობს.

სამოქალაქო ომი კი, მისი აზრით, არც ისე შორეული პერსპექტივაა, თუ საპარლამენტო არჩევნებისთვის არ შეიცვალა ცესკო-ს შემადგენლობა და იმ ადამიანთა აქტივობა, რომლებიც "მინი-პუტჩის" მეთოდებით ცდილობენ პოლიტიკური მწვერვალების დაპყრობას.

**"არჩევნებში გამარჯვების მიღწევის ძალადობრივ გზას, ჩემი აზრით, არა მარტო მე, არამედ უმეტესი თქვენგანიც ვერ შეეგუება, გარდა თავად სააკაშვილისა. სოციალისტური პარტია ყველა კანონიერი მეთოდით შეეწინააღმდეგება მოვლენების ამგვარ განვითარებას, ამიტომაც შევიტანეთ სარჩელი ცესკო-ს წინააღმდეგ,"** – მიმართავს რჩეულიშვილი პოლიტიკურ პარტიებს და სთხოვს, ხელი შეაშველონ სააკაშვილის მიერ ინსპირირებული "მინი-პუტჩის" საიდუმლოს გამოძიებაში. აქვე, სოციალისტების ლიდერი ფაშიზმის ისტორიასთან პარალელებს ავლებს და პოლიტიკურ კოლეგებს შეახსენებს, რომ გერმანული ფაშიზმი თავიდან "ლუდის პუტჩით" დაიწყო, რასაც შემდეგ ქვეყნის ნგრევა მოჰყვა.

სოციალისტი ირაკლი მინდელი "24 საათთან" საუბრისას სასამართლოში შეტანილი სარჩელის მიზეზად, საკუთარი ლიდერისაგან განსხვავებით, უფრო "მიწიერ" ფაქტორებს ასახელებს.

"სამოქალაქო ომის თავიდან აცილება" და "მინი-პუტჩისტებისგან" ქვეყნის დაცვა მინდელს არ უხსენებია. იგი "მისტირის" იმ ორ მანდატს, რომლებიც სოციალისტებს აუცილებლად ეღირსებოდათ, რომ არა ცესკო-ს ტენდენციურობა. მინდელის თქმით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ყურადღება რომ მიექცია ხელახალი გადათვლისას აღმოჩენილი დარღვევებისთვის, სოციალისტური პარტია, რომლის პოლიტიკურ ანგარიშზე ხმების მხოლოდ 2,23 პროცენტია, უპრობლემოდ გადალახავდა ოთხპროცენტიან ბარიერს და თბილისის საკრებულოში ორ საგზურს მოიპოვებდა.

**"სარჩელი დაყოფილია პუნქტებად, თითოეულ პუნქტში კონკრეტულ საარჩევნო უბანზე და კონკრეტულ დარღვევაზეა საუბარი. ერთგან - სიების უქონლობა, მეორეგან - ფიქსირებული ხუთასის ნაცვლად, რვაასი ამომრჩევლის ხმა და ასე შემდეგ. სარჩელს თან ერთვის დოკუმენტები, რომლითაც ეს ყველაფერი მტკიცდება. ყველა ეს დარღვევა ცესკო-მ ხელმეორედ გადათვლისას აღმოაჩინა, მაგრამ არ გაითვალისწინა, რაც მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. საერთოდ, რა პრინციპით მუშაობს ცესკო და რისთვის დაითვალეს ხელახლა ბიულეტენები, არ ვიცი. მას არც ერთი საჩივარი არ განუხილავს, რითიც დაარღვია 5 აგვისტოს სასამართლო გადაწყვეტილება,"** – უკვირს მინდელს. მისი თქმით, თუ სასამართლო გაითვალისწინებს ზოგიერთ უბანში აღმოჩენილ დარღვევებს, მაშინ საკრებულოს კომპოზიციაც შეიცვლება, სოციალისტები საკრებულოში ორ მანდატს მოიპოვებენ და, შესაბამისად, საკრებულოს ამჟამინდელი "ვიღაც ორი" წევრი მანდატს დაკარგავს.

სოციალისტები დედაქალაქში ჩატარებული არჩევნების შედეგების გადამოწმების შემაჯამებელ ოქმსაც ასაჩივრებენ. მათი თქმით, ცესკო-ს არ ჰქონდა ოქმზე ხელმოწერის უფლება, სანამ ყველა შესულ საჩივარს არ განიხილავდა. მინდელის თქმით, სასამართლომ სამი დღის ვადაში უნდა განიხილოს სოციალისტების საჩივარი.

# კვორუმის არარსებობა პარლამენტის ბიუროს ხელს აღარ შეუშლის...

*კრიზისს, რომელშიც საქართველოს პარლამენტი რეალურად იმყოფება, ნათლად ადასტურებს საქართველოს პარლამენტის ბიუროს სხდომები, რომელზეც ვერა და ვერ ხერხდება კვორუმის შეკრება. სულ უფრო და უფრო რთული ხდება ბიუროს 38 წევრიდან 25-ის მოგროვება, რის გამოც პარლამენტის ბიურო სრულფასოვნად ვერ მუშაობს, - აღიარეს გუშინ თავად ბიუროს წევრებმა.*

*გუშინვე, ამ სიტუაციიდან გამოსავლის სახით, ბიურომ მხარი დაუჭირა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის წინადადებას, რომ რეგლამენტში შეიტანონ ცვლილება ბიუროს უფლებამოსილების შესახებ. კერძოდ, მას მიეცეს მუშაობის და გადაწყვეტილებების მიღების უფლება, როცა სხდომას ესწრება ნახევარზე მეტი, ნაცვლად ორი მესამედისა.*

თამარ ხორბალაძე

ასეთ "წევრნაკლულ" ბიუროზე გუშინ ირაკლი გოგავამ გაახმოვანა მორიგი საერთაშორისო პრეტენზიასურვილი. ფრაქციის "ალიანსი ახალი საქართველოსთვის" ინიციატივით, პლენარული კვირის დღის წესრიგში შევიდა დადგენილების პროექტი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცედურის დაწყების შესახებ.

გარდა ამისა, ამ კვირაში პარლამენტში სამთავრობო საათზე მოიწვევენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს ამირან გამყრელიძეს, რათა წარმოადგინოს ანგარიში ინვალიდთა პროგრამის რეალიზაციის მსვლელობის შესახებ. აღნიშნული საკითხი პლენარული კვირის დღის წესრიგში შევიდა, ფრაქციის "მოძრაობა დემოკრატიული რეფორმებისათვის" წევრის გოგა კოხრეიძის ინიციატივით.

მისივე ცნობით, 14 ნოემბერს გაიმართება ინვალიდთა ორგანიზაციის ფორუმი, რომელზეც მოისმენენ ანგარიშს ქვეყანაში ინვალიდთა მდგომარეობის შესახებ.

ხუთშაბათს პარლამენტი განიხილავს ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგებს. ეს ის საკითხია, რომლის ირგვლივ ქარიშხალი უკვე ამოვარდა და ამჯერადაც საკმაოდ მწვავე განხილვას უნდა ველოდოთ.

ამას გარდა, მთავრობას მოუწევს, ახსნა-განმარტება მისცეს დეპუტატებს ელექტროენერგიაზე ტარიფის მომატების კომპენსაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, პასუხი გაეცეს კითხვას, რა თანხებიდან მოხდება კომპენსაცია და რამდენ ხანს გაგრძელდება ის - წელიწადი თუ სულ ორი თვე?

დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმა მოითხოვა, რომ დღის წესრიგში შეტანილიყო კანონპროექტი საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შესახებ, რომელსაც წინა კვირას, კვორუმის არარსებობის პირობებში, რეგლამენტის დარღვევით ეყარა კენჭი.

კიდევ ერთი სიახლე - გუშინდელ ბიუროზე ვახტანგ რჩეულიშვილი, შექმნილ განუკითხაობასთან დაკავშირებით, ცესკო-ს პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებისა და, საჭიროების შემთხვევაში, მისი დათხოვნისთვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. ბიურომ მისი ინიციატივები სასწრაფოდ აიტაცა.

# აკაკი ჩხაიძე სამაგალითო ჩინოვნიკია - მიიჩნევს პრეზიდენტი

**"საკრებულოს მუშაობის დაწყებას მხოლოდ მივესალმები, ოღონდ კანონი უნდა იყოს დაცული. რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, ვინც არ უნდა დაიკავოს ეს პოსტი, ჩვენ ყველასთან ვითანამშრომლებთ, როცა საჭირო იქნება,"** - ამგვარი კომენტარი გააკეთა გუშინ შევარდნაძემ ტრადიციულ ბრიფინგზე, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ საკრებულოს თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილს აირჩევდნენ. გასულ კვირას "გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერის - ზურაბ ჟვანიას მიერ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გაკეთებულ განცხადებაზე პრეზიდენტის კომენტარი კი ასე ჟღერდა: **"ის, რომ ზურაბ ჟვანიამ თავისი კანდიდატურა წამოაყენა, უცნაური არ არის. იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო პარლამენტის თავმჯდომარე და მოსახლეობა მას კარგად იცნობს. მაგრამ ჟვანია არ იქნება ერთადერთი. კანდიდატურას ბევრი წამოაყენებს, თუმცა, ჯერ ზუსტად არ ვიცი, რამდენი"**

საკრებულოს ამუშავებისა და პრეზიდენტობის პირველი კანდიდატის გარდა, გუშინდელი ბრიფინგის სხვა მთავარი თემები ისევ ასლან აბაშიძე, ცენტრალური ბიუჯეტის მიმართ აჭარის დავალიანება, იმპიჩმენტის თემა და ნატო გახდა.

პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლების წინადადებამ აჭარასა და ცენტრს შორის საბიუჯეტო ურთიერთობების გასარკვევად ერთობლივი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, შედეგი არ გამოიღო. "აჭარიდან თანხების გადმოურიცხაობა არის ანომალია," – აცხადებს პრეზიდენტი და ასლან აბაშიძეს სპეციალურ დოკუმენტსაც უწუნებს, რომელიც აჭარის ლიდერმა აფხაზეთის პრობლემის მოსაგვარებლად შეიმუშავა. **"ამ დოკუმენტში ბევრი რამ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია,"** – ამბობს შევარდნაძე და კიდევ ერთხელ გამოხატავს უკმაყოფილებას აბაშიძის მიმართ. მისი თქმით, ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა აჭარის ლიდერი აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საქმეში მისი სპეცწარმომადგენლის რანგში მუშაობას.

პარლამენტში დაწყებულ საიმპიჩმენტო ინიციატივებთან დაკავშირებით კი პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტის მოთხოვნას არანაირი საფუძველი არ გააჩნია, რადგან ბიუჯეტი სრულდება და გარღვევა სულ რაღაც 40-45 მილიონი იქნება (რაც აშკარად არ შეესაბამება აქამდე გავრცელებულ მონაცემებს ბიუჯეტის 80 მილიონით გარღვევასთან დაკავშირებით). პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა კი შევარდნაძეს სრულ აბსურდად მიაჩნია და აცხადებს, რომ მან კონსტიტუცია სხვებზე უკეთესად იცის.

რაც შეეხება ჩრდილო ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, შევარდნაძე არ აკონკრეტებს, პრაღის მოახლოებულ სამიტზე რა ფორმით გამოხატავს საქართველოს ნატო-ში გაერთიანების სურვილს.

**"ამის შესახებ პრაღიდან დაბრუნების შემდეგ ვისაუბრებ,"** – აღნიშნა პრეზიდენტმა, – **"გარდა ამისა, ჩვენ ჯერჯერობით, არ ვპასუხობთ ნატო-ს სტანდარტებს - რამდენიმე წელია საჭირო, მათ რომ მივუახლოვდეთ."** რაც შეხება რუსეთის შესაძლო რეაქციას, შევარდნაძე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელისუფლებამ მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყო ნატო-სთან, მას არ აქვს მორალური უფლება, ხელი შეუშალოს საქართველოს ნატო-სთან დაახლოების პროცესს.

და ბოლოს, "24 საათის" მიერ დასმულ კითხვაზე - როგორი იქნება მისი კომენტარი გადაცემა "60 წუთში" რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის წინააღმდეგ მოყვანილ ფაქტებზე, ასევე სატელეფონო საუბარში ჩხაიძის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ პრეზიდენტის პირადი მრჩეველი თემურ ბასილია საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული კრედიტებიდან 3 პროცენტს იტოვებს და აშშ-ს ადმინისტრაციაში გამოთქმულ პრეტენზიაზე, რომ ამერიკა არ გამოიყენებს საქართველოს სატრანსპორტო დერეფანს, სანამ რკინიგზა ბიუჯეტში გადასახადების გადახდას არ დაიწყებს - შევარდნაძის პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო: **"თუ ვინმე იხდის ბიუჯეტში თანხებს, ეს ჩხაიძეა და მისი საქციელი სამაგალითოა, რადგან ის ხშირად წინსწრებითაც აკეთებს ამას."** პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ აშშ-ს მხრიდან ჩხაიძის მიმართ არანაირი მუქარა არ ყოფილა და ეს ელჩთან საუბარშიც გამოიკვეთა. **"უნდა შევადაროთ, რა იყო რკინიგზა 4-5 წლის წინ და რა გახდა ის დღეს, ჩხაიძის ხელმძღვანელობისას,"** - განაცხადა შევარდნაძემ.

რაც შეეხება თემურ ბასილიას, მის შესახებ პრეზიდენტს კომენტარი არ გაუკეთებია.

*"24 საათი"*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# პირველი სხდომა - პირველი ხმაური და განხეთქილება

პირველი გვერდიდან

დატოვეს დარბაზი და მთავარ კენჭისყრაში, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე უნდა გამოევლინა, მონაწილეობა არ მიიღეს. არადა, უკანასკნელ წუთამდე "ახალი მემარჯვენეები" აპირებდნენ თავმჯდომარის პოსტზე საკუთარი კანდიდატის – ლევან გაჩეჩილაძის დასახელებას.

თუკი მოვლენები ისე წარიმართებოდა, როგორც ეს "ახლებს" ჰქონდათ ჩაფიქრებული, ლევან გაჩეჩილაძის შანსები არც თუ უმნიშვნელო იქნებოდა, რადგან არსებობდა ინფორმაცია, რომ მათ 23 მხარდამჭერის ხმა უგროვდებოდათ.

კულუარული ინფორმაციით, "მრეწველებისა" და "აღორძინების" წარმომადგენლების გარდა, მათთვის ხმა უნდა მიეცათ იმ სამ ყოფილ "ლეიბორისტს", რომლებმაც ორი ივნისის არჩევნების შემდეგ დატოვეს ნათელაშვილის პარტია.

როგორც ჩანს, ამ სქემის შესახებ საკრებულოში უკვე ყველამ იცოდა. თავდაპირველად სკანდალი სამანდატო კომისიის შექმნის ირგვლივ ატყდა. წესით, თითოეულ პარტიას უფლება ჰქონდა, დაესახელებინა საკუთარი კანდიდატები და მათთვის კენჭი ერთდროულად ეყარათ, მაგრამ ცალკე "ნაციონალებმა" და ცალკე "ლეიბორისტებმა" რატომღაც სახელობითი კენჭისყრა მოინდომეს და პირველივე კანდიდატი ჩავარდა. ახლების მტკიცებით, **"ეს სპეციალურად გაკეთდა, რათა სამანდატო კომისიაში მხოლოდ "ლეიბორისტების", "ნაციონალებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლები შესულიყვნენ".**

სწორედ ამ დროს საკრებულოში ერთი ფრიად საინტერესო ფაქტი მოხდა: საქმე ის არის, რომ საკრებულოს სხდომაზე შალვა ნათელაშვილის მოთხოვნამ გაიჟღერა, რომლის თანახმად, იგი მოუწოდებდა, არ ეცნოთ უფლებამოსილება იმ სამი წევრისთვის (ავთანდილ ტყებუჩავა, ჯუმბერ შენგელია და ზაზა ბეგაშვილი), რომლებიც საკრებულოში ლეიბორისტების სიით გავიდნენ და შემდეგ პარტია დატოვეს. "ახლების" ლიდერს ლევან გაჩეჩილაძესა და "აღორძინების" წევრს გიორგი თარგამაძეს მათი საკრებულოს სიიდან ამოღება უკანონოდ მიაჩნდათ. "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები კი მოითხოვდნენ, რომ მათი უფლებამოსილება დროებით შეეჩერებინათ და მისი აღდგენის საკითხი საკრებულოს მომდევნო სხდომებზე გადამწყდარიყო.



მიხეილ სააკაშვილი და ელდარ შენგელაია.

ამ წინადადებას კენჭი ეყარა და სამივეს აეკრძალა თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა. მათ საკითხს საკრებულოს წევრები საბოლოოდ მომავალ სხდომაზე გაარკვევენ.

ამას გარდა, გუშინ "ჩავარდა" ლევან გაჩეჩილაძის კიდევ ერთი წინადადება. მან პარლამენტის დეპუტატობის მანდატის მქონე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, დაეტოვებინათ საპარლამენტო მანდატი ისე, **"როგორც თავის დროზე მან გააკეთა"**. გაჩეჩილაძის განცხადებით, საკრებულოში არჩეულია პარლამენტის **"ბევრი წევრი და მათ საკრებულოს კენჭისყრებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ".**

**"მე რამდენიმე თვის წინ პარლამენტის მანდატი დავტოვე იმიტომ, რომ თბილისის საკრებულოს არჩევნებში ვმონაწილეობდი და არ მსურს, რომ პარლამენტარის იმუნიტეტი დარჩეს სხვას",** - განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მიხეილ სააკაშვილის პასუხი კი ასეთი იყო: **"ამ 5 თვის განმავლობაში, როდესაც გაჩეჩილაძე ღვინის ქარხანაში იყო, მე უკანონო მშენებლობებს ვებრძოდი და ამომრჩეველთა უფლებებს ვიცავდი"...**

და მაინც, გუშინ რამდენიმე პარლამენტარმა: გიორგი ბარამიძემ, ელდარ შენგელაიამ, ელენე თევდორაძემ ("გაერთიანებული დემოკრატები"), გიორგი თარგამაძემ ("აღორძინება - 21-ე საუკუნე"), აგრეთვე, "ლეიბორისტული პარტიის" თავმჯდომარემ შალვა ნათელაშვილმა და "ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტის" სიით არჩეულმა და მოგვიანებით ამავე ბლოკიდან გასულმა რევაზ შავიშვილმა უარი თქვეს საკრებულოს წევრობაზე. ოღონდ ეს მას მერე მოხდა, რაც მათ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა.

"ახლების", "მრეწველების", "აღორძინებისა" და სამი ყოფილი ლეიბორისტის გარეშე დარჩენილმა საკრებულომ კენჭი მხოლოდ ერთ კანდიდატს – მიხეილ სააკავშილს უყარა - 27 მომხრე ორის წინააღმდეგ.

**"მინდა მივესალმო საკრებულოს წევრებს. ჩვენ რთული ბრძოლა გადავიტანეთ, რათა ამ საკრებულოს დაეწყო მუშაობა. ვითანამშრომლებთ ყველასთან თანაბრად, იმის მიუხედავად, დღეს ვინ დატოვა დარბაზი და ვინ - არა. ერთად შევებრძოლებით კორუფციულ სისტემას. დღეს არის შევარდნაძის რეჟიმის დასასრულის დასაწყისი. უნდა შეწყდეს უზნეობა, მომავლის იმედის დაკარგვა. ჩვენ ეს უნდა დავამთავროთ. დღევანდელი დღე იყო ამ იდეოლოგიის დასასრული ამ საკრებულოში. ხვალ დამანგრეველი იდეოლოგიისგან გათავისუფლდება მთელი საკრებულო",** - განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა და იქვე დასძინა, რომ **"ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატიული ფრონტი", ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლების შეცვლასთან ერთად, ქალაქებში დანიშნულ მთავრობათა შეცვლის საკითხსაც დააყენებს. თბილისის საკრებულოს ფრაქციებთან (მათ შორის - "ლეიბორისტებთან") კონსულტაციების შემდეგ, "ნაციონალური მოძრაობა" დედაქალაქის მთავრობის მუშაობის საკითხს საკმაოდ მკაცრად დასვამს."**

ამ ფონზე ყველაზე მშვიდი მაინც საქართველოს პრეზიდენტი იყო. ტრადიციულ ბრიფინგზე მან განაცხადა, რომ **"მზადაა ითანამშრომლოს ნებისმიერ თავმჯდომარესთან, ვისაც საკრებულო ენდობა".**

# დღეს პარლამენტში ჟვანიას გუნდზე შეტევა განხორციელდება

*გაუფორმებელი საპარლამენტო უმრავლესობა, რომელმაც ვერც ადგილობრივ არჩევნებში და ვერც პოლიტიკურ ბრძოლებში "უმცირესობაში" მყოფი ოპოზიცია ვერ დაჯაბნა, რევანშის აღებას პარლამენტში შეეცდება.*

*დღეს საქართველოს პარლამენტის სესიაზე "დემოკრატი" დეპუტატების - გიორგი ბარამიძის, ელენე თევდორაძის, ელდარ შენგელაიას უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს დააყენებენ. მსგავსი პრობლემა არ შეექმნება სააკაშვილს, რომელმაც, საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, პარლამენტიდან წასვლის შესახებ განცხადება თავად დაწერა. არსებული ინფორმაციით, ამ საკითხის მხარდასაჭერად და გასატანად, "აღორძინებასთან" ერთად, აქტიურად ემზადება ყველა ოფიციალური სამთავრობო ფრაქცია, მათთან ერთად კი, როგორც მოსალოდნელი იყო, "მრეწველებიც", "სოციალისტებიც". "ახლები"-ს ფრაქცია დუმილს ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ ბიუროზე "ახლების" წარმომადგენელი საერთოდ არ გამოცხადებულა.*

თამარ ხორბალაძე

ჟურნალისტთა წინაშე "დემოკრატთა" სამი დეპუტატის პარლამენტიდან "დათხოვის" სურვილი პირველმა "აღორძინებამ" გაახმოვანა. ამ აზრს მხარს უჭერს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე როსტომ დოლიძეც.

პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე "მოქალაქეთა" ფრაქციის თავმჯდომარემ ვიტალი ხაზარაძემ გიორგი ბარამიძეს პირდაპირ განუცხადა, რომ მას ბიუროს სხდომაზე ყოფნის უფლება არა აქვს.

რა გასაკვირია, რომ ამ განცხადებას ბიუროს სხდომაზე ისეთი დაპირისპირება მოჰყვა, პარლამენტის თავმჯდომარე იძულებული გახდა, გიორგი ბარამიძისთვის ყველა ახლო მდგომი მიკროფონი გამოერთო.

სიტუაციის განსამუხტად ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ამ საკითხზე უნდა იმსჯელონ, ოღონდ არა ახლა და არა ამ ფორმით.

ამ საკითხზე დებატები კი, ძირითადად, ბიუროს მიღმა გაიმართა.

ცალ მხარეს "დემოკრატები" და "ნაციონალები" გახლდნენ, მეორე მხარეს - ყველა დანარჩენი.

განსაკუთრებით აქტიურობდა "მრეწველი" ვახტანგ ხმალაძე, რომელიც "ნაციონალ" კოტე კემულარიას "დემოკრატთა" მიერ კანონის აშკარა დარღვევაზე მიუთითებდა.

"დემოკრატებს" მოვლენათა ახსნის თუ "გამართლების" საკუთარი ვერსია აქვთ - ისინი აცხადებენ, რომ სამივე დეპუტატს განცხადება საკრებულოდან წასვლის შესახებ, სამი დღეა, დაწერილი აქვს, თუმცა, ცესკო-მ ეს პროცესი გააჭიანურა, რის გამოც არც ადგილმონაცვლეების უფლებამოსილების ცნობა მოესწრო. ამან კი საფრთხე შეუქმნა სააკაშვილის არჩევას საკრებულოს თავმჯდომარედ.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხზე საუბრისას ისინი მინიშნებას აკეთებენ ცესკო-ს მიერ მიზანმიმართულ ქმედებებზე, რასაც კანცელარიასაც უკავშირებენ.

ამ სიტუაციაში "დემოკრატები", ისევ ბიურის მიღმა, გოგი თოფაძესაც იხსენებენ, რომელსაც, "დემოკრატთაგან" განსხვავებით, საკრებულოს წევრის უფლებამოსილებაზე უარი ოფიციალური წერილით სხდომის დაწყებამდე ნათქვამი არ ჰქონდა.

**"კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ საკრებულოს ან პარლამენტის წევრი არა ხარ,"** - პრეტენზიას სხვა მისამართითაც გზავნიან ისინი.

რატომ გადადგეს "დემოკრატებმა" ეს, თავისთვის აშკარად წამგებიანი, ნაბიჯი? რა პოლიტიკური გათვლებით იყო ნაკარნახევი იგი? რა ბედი ელის "ახლებისა" და "დემოკრატების" დაახლოების პროცესს მომავალში? დაირღვა თუ არა კანონი? - ამ საკითხებზე საუბარი უთუოდ გაგრძელდება.

ფაქტი ისაა, რომ დღეს პარლამენტში "დემოკრატებზე" უმწვავესი შეტევა განხორციელდება, შეტევა, რომელსაც, მოწინააღმდეგეთა აზრით, ზურაბ ჟვანიას გუნდის საგრძნობი შესუსტება უნდა მოჰყვეს.

# ლევან გაჩეჩილაძე: "არ გვინდა, დიდი შევარდნაძე პატარა შევარდნაძემ შეცვალოს"

**- თქვენ აცხადებდით, რომ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე საკუთარ კანდიდატურას მაინც წამოაყენებდით, იმისდა მიუხედავად, რომ გამარჯვების მცირე შანსი გქონდათ. რატომ შეცვალეთ გადაწყვეტილება ბოლო მომენტში?**

- იმიტომ, რომ, რაც საკრებულოში მოხდა, ეს არის ძალმომრეობისა და ვანდალიზმის უდიდესი აქტი და ნამდვილად არ მსურდა, მასში მონაწილეობა მიმეღო.

**- რამდენიმე ხნის წინ თქვენ "ნაციონალურ მოძრაობასთან" და "გაერთიანებულ დემოკრატებთან" აქტიური თანამშრომლობა დაიწყეთ. თუ გქონდათ კონსულტაციები იმის თაობაზე, როგორი უნდა ყოფილიყო პირველი დღე საკრებულოში?**

- რა თქმა უნდა, შევხვდით ერთმანეთს და კონსულტაციებიც გვქონდა. მაგრამ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, თუ სკამისკენ ლტოლვა ასე ძლიერი იქნებოდა, ჯანსაღი კონკურენცია არ შედგებოდა და ყველანაირი ძალმომრეობა გამართლებული გახდებოდა.

**- საკრებულოს სხდომის შემდეგ თუ შეხვდით "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" წარმომადგენლებს?**

- ამის შემდეგ შეხვედრა არ გვქონია, მაგრამ თუ ერთმანეთს შევხვდებით, ეს საკითხი დიდ როლს ითამაშებს ჩვენს მომავალ თანამშრომლობაში. ჩვენ გავერთიანდით ძალმომრეობის წინააღმდეგ და უარესი ძალმომრეობა მივიღეთ. ჩემთვის უკვე ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა. არ გვინდა, დიდი შევარდნაძე პატარა შევარდნაძემ შეცვალოს.



ლევან გაჩეჩილაძე

**- გახდება თუ არა ის, რაც საკრებულოში მოხდა, გადაულახავი წინააღმდეგობა იმ პარტიული თანამშრომლობისთვის, რომელიც რამდენიმე ხნის წინ "ნაციონალურ მოძრაობას," "გაერთიანებულ დემოკრატებსა" და თქვენს შორის დაიწყო?**

- რამდენად გადაულახავი ბარიერი გახდება, ეს ჯერ არ ვიცი, მაგრამ ღალატი სახეზეა. სახეზეა, ასევე, ძალიან სერიოზული ძალმომრეობა, რის წინააღმდეგაც თავის დროზე გავერთიანდით. ამის შემდეგ რამდენად შეიძლება ჩვენი ერთად დასხდომა, ჩემთვის ძალიან ძნელი სათქმელია.

*"24 საათი"*

# ვინ დამარცხდა გუშინ - შევარდნაძე თუ ოპოზიცია?

პირველი გვერდიდან

არგუმენტები აქვს და ის, რაც მოხდა, პირველ რიგში, საკანონმდებლო ხარვეზია, როცა რეგისტრაციაში გატარების უფლება მიეცათ დეპუტატებს.

ბუნებრივია, ჭეშმარიტება ერთია, რომ კანონი ყველაზე მაღლა დგას, შევარდნაძეზეც, სააკაშვილზეც და ნებისმიერ სხვაზეც და, განსაკუთრებით, სიმართლისათვის მებრძოლმა ოპოზიციამ არ უნდა გაბედოს კანონზე მაღლა საკუთარი თავის დაყენება.

მაგრამ საკრებულოში განვითარებულ მოვლენებს უფრო სერიოზული პოლიტიკური შედეგი აქვს, ვიდრე იურიდიული. სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საქართველოში ოპოზიციის ერთიანობა ისევ ეფემერულია.

საკრებულო პირველი სერიოზული გამოცდა აღმოჩნდა რამდენიმე ხნის წინ პრეზიდენტის წინააღმდეგ ერთობლივი დემარშით პარტნიორებად ქცეული პარტიებისთვის. ეს გამოცდა, რასაკვირველია, წარუმატებლად დამთავრდა. ეს არის ქართული პოლიტიკური ცხოვრების მთელი ტრაგედიაც და შევარდნაძის უკვდავი მითის მთელი საიდუმლოც.

ძალიან რთული იქნება იმის გარკვევა, გუშინ ვინ უფრო ცუდად მოექცა ერთმანეთს - "ნაციონალები" "ახლებს", "ახლები" "ნაციონალებს", "ნაციონალები" "გაერთიანებულ დემოკრატებს" და ასე შემდეგ. თითეულ ამ პარტიას თავისი არგუმენტები აქვს და სიმართლის მარცვალს ყველა ეს არგუმენტი შეიცავს. ვინ იყო მართალი და ვინ - არა, ვინ მოიგო ამ სიტუაციით და ვინ - ვერა, ეს უკვე პოლიტიკური კაზუსია.

მაგრამ ფაქტია, რომ იმით, რაც გუშინ მოხდა, ნამდვილად ვერ მოიგო ოპოზიციურმა გაერთიანებამ, რომელმაც მცირე ხნის მანძილზე ცოტა სოლიდურობა მაინც შემატა ქართულ პოლიტიკას.

"ახლებისა" და "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერების ლექსიკონებში უკვე გაჩნდა ნაცნობი ტერმინები და ურთიერთბრალდებების ნაცნობი ფორმები. შედარებით ნეიტრალურ სიტუაციაში აღმოჩნდნენ "გაერთიანებული დემოკრატები". პრობლემები მათ უკვე შეექმნათ "ახლებთან", თუმცა - არა გადაულახავი. რაც შეეხება სააკაშვილისა და ჟვანიას ურთიერთობას, ის ნამდვილად არ იქნება ია-ვარდით ისე მოფენილი, როგორც ეს გუშინ მიხეილ სააკაშვილმა აღწერა.

ყველაზე რთულ სიტუაციაში მაინც ჟვანია აღმოჩნდა. მან ან "ნაციონალური მოძრაობის" და "ახლების" ერთად დასმა უნდა მოახერხოს, რაც საკმაოდ რთული იქნება, ან მათ შორის არჩევანი უნდა გააკეთოს.




# აუდიტური კომპანიები სახელმწიფო საწარმოების შემოწმებას იწყებენ

სოფიკო ოხანაშვილი

10 ნოემბერს ქონების მართვის სამინისტრო ტენდერში გამარჯვებულ აუდიტურ კომპანიებთან ხელშეკრულებას გააფორმებს. ამ ხელშეკრულებით კერძო აუდიტორები სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ფინანსებს შეამოწმებენ.. "სახელმწიფო ქონების პრივატიზების და მართვის გაუმჯობესების ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" პრეზიდენტის 12 თებერვლის ბრძანებულების მიხედვით, ქონების მართვის სამინისტროს დაევალა აუდიტის ჩატარება ყველა იმ ორგანიზაციაში, სადაც სახელმწიფოს წილი 50 პროცენტს აღემატება. საწარმოებში ასეთი სახის აუდიტის ჩატარების აუცილებლობას ქონების მართვის სამინისტროში იმით ხსნიან, რომ სრულყოფილად არ იციან იმ ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობა, რომლის საკონტროლო პაკეტებსაც სახელმწიფო ფლობს.

ქონების მართვის სამინისტროს პოზიციას სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შემოწმების შესახებ აუდიტორული კომპანიებიც იზიარებენ. უფრო მეტიც, აუცილებლადაც მიიჩნევენ. **"ქონების მართვის სამინისტროს, როგორც სახელმწიფო ქონების განმკარგველს, აინტერესებს მის მფლობელობაში არსებული საწარმოების ფინანსური მდგომარეობა. ამიტომ, რა თქმა უნდა, სჯობია, მის მიერ შერჩეულმა აუდიტორებმა შეამოწმონ ეს საწარმოები და არა ამ ორგანიზაციების დირექტორების მიერ შერჩეულმა კომპანიებმა",** - განაცხადა "აუდიტცენტრის" დირექტორმა ვაჟა ლალებაშვილმა.

"24 საათი" უკვე იუწყებოდა, რომ ქონების მართვის სამინისტრომ, სახელმწიფო წილობრივი მონაცემებით შექმნილი საწარმოების გადანაწილების მიზნით, მაისში ჩატარებული ტენდერით 63 აუდიტური კომპანიიდან 62 შეარჩია. ამჟამად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე კი, სამინისტრო აუდიტურ კომპანიებს 62 ლოტად გადანაწილებულ, სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ 1200-მდე საწარმოს გადაუნაწილებს. თითო ლოტი 22-23 ორგანიზაციას აერთიანებს. **"ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, ლოტებში თანაბრად გადაგვენაწილებინა ძლიერი, საშუალო და სუსტი ორგანიზაციები. ფაქტობრივად, ყველა აუდიტურ ფირმას ვაძლევთ იმის საშუალებას, რომ 62-ვე ლოტს გაეცნოს. თითო აუდიტურ კომპანიას თითო ლოტი ყველა შემთხვევაში შეხვდება",** - აღნიშნა სატენდერო კომისიის წევრმა ოლეგ ლაჟონიამ.

ქონების მართვის სამინისტრომ ლოტების შეთავაზება 20 აგვისტოდან დაიწყო. აუდიტურ კომპანიებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ფინანსური მდგომარეობის შესწავლა 11 სექტემბერს უნდა დაემთავრებინათ. ამ დროისთვისვე უნდა წარედგინათ ქონების მართვის სამინისტროში მათ მიერ მომზადებული დასკვნები. მეორე ეტაპის შედეგები 12 სექტემბრისთვის უნდა ყოფილიყო ცნობილი, მაგრამ, აუდიტური კომპანიების თხოვნით, ეს ვადა პირველ ნოემბრამდე გაგრძელდა.

ქონების მართვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ინფორმაციით, პირველ ეტაპზე გამარჯვებული 62 კომპანიიდან განაცხადი 59 აუდიტურმა კომპანიამ წარადგინა. იმავე წყაროს ცნობით, განაცხადი ყველა ლოტზეა შესული. რაც შეეხება "ზედმეტ" სამ ლოტს, მათში გაერთიანებულ ორგანიზაციებს კომისია 59 აუდიტურ კომპანიაზე თანაბრად გადაანაწილებს.

სატენდერო კომისიის წესდების თანახმად, კომისია საბოლოო შედეგებს განაცხადების შესწავლისა და მონაცემების შეჯამებიდან ხუთი დღის ვადაში გამოაქვეყნებს. მონაცემების შეჯამების ვადა დღეს საღამოს იწურება.

ლოტების გადანაწილების შემდეგ, ქონების მართვის სამინისტრო ხელშეკრულების პირობებზე დაიწყებს მუშაობას. ქონების მართვის სამინისტროს ინფორმაციით, აუდიტურმა ფირმამ ხელშეკრულება უნდა გააფორმოს როგორც ქონების მართვის სამინისტროსთან, ასევე შესამოწმებელ ორგანიზაციასთან.

ქონების მართვის სამინისტროს სატენდერო კომისიის წევრის ოლეგ ხაჟონიას თქმით, აუდიტური კომპანიების პასუხისმგებლობის საკითხი ძალიან მკაცრად დგას; თუ მათ არ ან ვერ შეასრულეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, მაშინ ქონების მართვის სამინისტროს აქვს უფლება, არა მარტო გააუქმოს ხელშეკრულება, არამედ ამ ფირმისთვის ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხიც კი დააყენოს.

## მოკლედ

**თბილისი.** ქონების მართვის სამინისტროსთვის სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" აქციების გადაცემას თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება სჭირდება. "თბილგაზის" გენერალური დირექტორის ვახტანგ ცაავას ვარაუდით, მუნიციპალიტეტისგან კომპანიის ჩამოშორებასთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას დედაქალაქის საკრებულო მიმდინარე კვირას დააფიქსირებს. მას შემდეგ, რაც "თბილგაზი" ქონების მართვის სამინისტროს გადაეცემა, ეს უკანასკნელი კომპანიას ოპერატიული მართვისთვის სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ჩააბარებს. აღნიშნულთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი უკვე მზადდება, თუმცა, "თბილგაზის" საკითხი საბოლოოდ მაინც საკრებულოში ძალთა გადანაწილებაზე იქნება დამოკიდებული. სააქციო საზოგადოება "თბილგაზის" აქციონერთა კრებამ კომპანიის აქციების სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთვის გადაცემის გადაწყვეტილება ორი კვირის წინ მიიღო. **"ინტერ-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ კიევში გაიხსნა სუუამ-ისა და ეუთო-ს ერთობლივი სხდომა, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხებს ეძღვნება. როგორც "კავკას-პრესს" საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, ეს შეხვედრა ამგვარი ფორმატით პირველად იმართება და ითვალისწინებს სუუამ-ის ქვეყნებისათვის გამოცდილების გაზიარებას თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის საკითხებში. სპეციალურად ამისათვის სუუამ-სა და ეუთო-ში შეიქმნა ერთობლივი მოსამზადებელი კომიტეტი. სუუამ-ის ფარგლებში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ შეთანხმებას სუუამ-ის ქვეყნების პრეზიდენტებმა იალტის სამიტზე მოაწერეს ხელი. როგორც საგარეო უწყებაში თვლიან, ხელშეკრულების რატიფიცირების პროცესი მიმდინარე წლის დეკემბრამდე უნდა დასრულდეს. სუუამ-ის ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო ზონის შესაქმნელად აუცილებელია ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება. მას შემდეგ, რაც სუუამ-ის დატოვების შესახებ უზბეკეთმა განაცხადი გააკეთა, დანარჩენი ქვეყნები ცდილობენ, დაამტკიცონ ამ ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა. თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სხვადასხვა დონეზე ხშირად განიხილება ტრანსპორტისა და ენერგეტიკის რეგიონული პროექტები. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**თბილისი.** 6 ნოემბერს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროში მრავალწლიანი პროექტის "მიწის მენეჯმენტი საქართველოში" პირველი ფაზის შემაჯამებელი სხდომა გაიმართება. როგორც "კავკას-პრესს" მშენებლობისა და ურბანიზაციის მინისტრის მოადგილემ ზურაბ ნემსაძემ განუცხადა, პროექტი ორი წლის წინ შეიქმნა და იგი, ძირითადად, შემუშავებულია მიწის მართვის დეპარტამენტის მიერ. რაც შეეხება მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს, იგი პროექტის იმ ნაწილში მონაწილეობს, რომელიც ქალაქების დაგეგმარებას ახდენს. პროექტის დაფინანსებას გერმანიის ტექნიკური განვითარების ფონდი ახორციელებს. პროექტის საკანონმდებლო ნაწილის შემუშავებაში მონაწილეობენ გერმანელი ექსპერტები. ნემსაძის თქმით, პროექტი დაყოფილია ორწლიან ფაზებად და ყოველი ახალი ფაზის განხორციელება დამოკიდებულია წინა ფაზის წარმატებაზე. "6 ნოემბერს პროექტის პირველი ფაზის შეჯამება მოხდება და, თუ იგი დადებითად შეფასდა, კიდევ ორი წლით გაგრძელდება," - აღნიშნა მან. **"კავკას-პრესი"**

■ ■ ■

**პარიზი.** საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე პარიზში გაემგზავრა. როგორც "კავკას-პრესს" სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს პრესცენტრიდან აცნობეს, მინისტრი დაესწრება ქართული ღვინის დღეს, რომელიც პარიზში 5 ნოემბერს გაიმართება. პარიზში შედგება ქართული ღვინოების პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ღვინის მწარმოებელი წამყვანი ქართული კომპანიები. აღნიშნული ღონისძიება ორგანიზებულია საფრანგეთში საქართველოს საელჩოს დახმარებით. როგორც სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრმა განაცხადა, "ეს იქნება უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიება ქართული ღვინის პროპაგანდის საქმეში". **"კავკას-პრესი"**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 30 ოქტომბრი – 5 ნოემბრის მდგომარეობით




### მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.643 | 0.6389 | 0.0053 |
| US$ | 1.5553 | | 1 | 0.0082 |
| €uro | 1.5653 | 1.0064 | | 0.0082 |
| ¥en | 190.45 | 122.43 | 121.69 | |

### 2002 წლის 5 ნოემბრიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1623 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3920 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4782 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1710 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.2858 ლარი |
| იაპონური იენი. | 10 | 0.1776 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0683 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4438 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.2381 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0720 ლარი |

# აღმასრულებელი ხელისუფლების ოპტიმიზმს პარლამენტარები არ იზიარებენ

ნინო ნარჩემაშვილი

**"ვერ მოძებნით საქართველოში მეწარმეს, რომლის ბიზნესიც რენტაბელური იქნება, თუკი კეთილსინდისიერად გადაიხდის ყველა გადასახადს. მეტიც, არ არის საქართველოში არც ერთი დარგი, რომელიც არსებული კანონებისა და ვითარების ფონზე მოგებას მოუტანს ქვეყანას,"** – ასეთი შესავალი გაუკეთა პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტის თავმჯდომარემ დავით სალარიძემ საქართველოს ფისკალური სამსახურების ხელმძღვანელებისა და ჟურნალისტების შეხვედრას, რომელიც გუშინ, პარლამენტში გაიმართა.



ფისკალური სამსახურების ხელმძღვანელთა შეხვედრა პარლამენტში.

შეხვედრის მთავარი თემა ბიუჯეტის შესრულებას შეეხებოდა. საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის იასე ზაუტაშვილის განცხადებით, **"ოქტომბრის თვის მონაცემებით, საგადასახადო დეპარტამენტის გეგმა სახელმწიფო ბიუჯეტში 39,3 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტში 27,2 მილიონი ლარი გახლდათ. ჩვენ ბიუჯეტში შევიტანეთ 68,5 მილიონი ლარი, აქედან 1,09 მილიონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილია; უფრო ზუსტად, აკრეფილია, მაგრამ არ არის გადმორიცხული. რატომ? ეს ჩვენს კომპეტენციას არ წარმოადგენს."** გეგმის გადაჭარბებით შესრულების შესახებ გააკეთა განცხადება საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ალექსანდრე ასლანიკაშვილმაც.

**აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა ოპტიმისტურ განცხადებებს არ ეთანხმება** დავით სალარიძე, რომელმაც შეხვედრის დასასრულს აღნიშნა, რომ: **"გადასახადებიდან ბიუჯეტს 20-30 პროცენტი აქვს დანაკარგი, დანარჩენი კი ეკონომიკის არასწორი ფუნქციონირებისა და მისი მარეგულირებელი კანონების ბრალია. ჩვენ ვმუშაობთ კანონზე, რომელიც იმუშავებს ვითარების გამოსწორებისთვის და ხელს შეუწყობს 2003 წლის ბიუჯეტის ნორმალურად ფორმირებას. მეწარმეებთან უშუალო კონტაქტის შემდეგ უკეთ გამოჩნდება ბიუჯეტში ასახული ციფრების რეალურობა თუ არარეალურობა."**

# თბილისის 20 პროცენტი ჩაბნელებულია

პირველი გვერდიდან

ამასთან, ვერავინ დაავალდებულებს "ეი-ი-ეს თელასს", გააკეთოს ის, რასაც წლების მანძილზე აკეთებდა "თელასი" – დაბალი სიხშირისა და მერყევი ძაბვის პირობებში, საკუთარი ძვირადღირებული ქსელებისა და დანადგარების ცვეთისა და სოლიდური დანაკარგის რისკის ხარჯზე მიაწოდოს ელექტროენერგია მოსახლეობას. არადა, "ეი-ი-ეს თელასს" სწორედ ასე მოქცევა მოუწევს, თუკი მას "ელექტროგადაცემა" საჭიროზე ნაკლებ დენს მიაწვდის. ამაზე კი "ეი-ი-ესი" არ წავა.

ამასობაში, თავად "ელექტროგადაცემა" და "დისპეტჩერეზაცია" მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში ჩავარდნენ. მათი შემოსავლის ძირითადი წყარო ელექტროენერგიის ტარიფში ჩადებული ის განაკვეთია, რომელიც მათ ოპერატორის ფუნქციიდან გამომდინარე ეკუთვნით. ეს თანხა მათ საბითუმო ბაზარმა უნდა უხადოს. მიუხედავად იმისა, რომ "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციის" მიმართ დავალიანებები ასტრონომიულ ციფრებს აღწევს, ნიშანდობლივია, რომ მათ თავში აზრადაც არ მოსვლიათ, სასამართლოში ეჩივლათ მოვალეთათვის. ეს ფაქტი ბადებს არც თუ უსაფუძვლო ეჭვს, რომ ეს კომპანიები საკუთარ, "ნაღდ" ანგარიშსწორებას აწარმოებენ დებიტორებთან.

ყოველ შემთხვევაში, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო ამ საკითხით ნაკლებად ინტერესდება. მას უფრო სხვა საკითხები აღელვებს, მაგალითად, ის, თუ როდის ჩადგება მწყობრში რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზი – "კავკასიონი", რომლითაც სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო რუსეთიდან ელექტროენერგიის იმპორტს გეგმავს. "კავკასიონის" ჩართვა, უპირველეს ყოვლისა, ისევ "ელექტროგადაცემასა" და "დისპეტჩერიზაციას" აძლევს ხელს, რადგან რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის რაოდენობა "საქროსენერგოს" გავლით სწორედ მათი მეშვეობით კონტროლდება.

სამაგიეროდ, რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგიის მიღება არ აწყობს "ეი-ი-ესს", რომელსაც მეცხრე ენერგობლოკის ამუშავება ურჩევნია, მაგრამ საამისოდ თანხების მობილიზებას ვერა და ვერ ელირსა.

მიუხედავად იმისა, რომ "ეი-ი-ეს თელასი" სამომხმარებლო ხელშეკრულებების გაფორმებას იწყებს, ზამთარში 24-საათიან ელექტრომომარაგებას მაინც არ უნდა ველოდოთ. საქმე ისაა, რომ "ეი-ი-ეს თელასი" მხოლოდ მაშინაა ვალდებული უწყვეტად მოგვაწოდოს დენი, თუ მას "ელექტროგადაცემა" და "დისპეტჩერიზაცია" საკმარისი რაოდენობის ელექტროენერგიით მოამარაგებენ.

იმედი იმისა, რომ "ეი-ი-ეს თელასი" "ელექტროგადაცემისა" და "დისპეტჩერიზაციისაგან" უწყვეტი ელექტრომომარაგების გარანტიას მიიღებს, ჯერჯერობით, არარეალურია. ამ ორგანიზაციებში, რომლებიც, სხვათა შორის, ქონების მართვის სამინისტროს ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინ უნდა გაეერთიანებინა, ირლანდიური კომპანია "ი-ეს-ბი-აი" უნდა შევიდეს. საეჭვოა, ირლანდიელებმა ჩამოსვლისთანავე გასცენ 24-საათიანი ელექტრომომარაგების გარანტიები. თანაც, მათი ჩამოსვლა კიდევ ერთხელ (დეკემბრის დასაწყისისთვის) გადაიდო.

ამით ამართლებს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო თავის სწრაფვას, ელექტროენერგია ზამთრის პერიოდში გარედან შემოიტანოს. ყველაზე სავალალო კი ის იქნება, თუ ესეც არ მოხერხდა და რუსეთმა, რომელიც სულ რაღაც ერთი თვის წინ საქართველოს წინააღმდეგ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედების საკითხებს განიხილავდა, ელექტროენერგიის მოწოდებაზე საერთოდ უარი განაცხადა.

# როდის ამუშავდება მეცხრე ენერგობლოკი?

*"ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს შორის დავა გრძელდება. ამჯერად, დავის საგანია თბილსრესის მეცხრე ენერგობლოკის ჩართვის საკითხი. მემორანდუმი, რომელსაც ხელი მოეწერა 10 ოქტომბერს, საბითუმო ბაზარსა და "ეი-ი-ესს" შორის ხანგრძლივი და დაძაბული მოლაპარაკებების შემდეგ, უკვე ირღვევა.*

სოფო კვინტრაძე

"24 საათი" უკვე წერდა, რომ საბითუმო ბაზარს, "ეი-ი-ეს თელასსა" და "ეი-ი-ეს მტკვარს" შორის წარმოქმნილი დავა იმ ვალებს ეხებოდა, რომელიც ამ კომპანიებს ერთმანეთის მიმართ დაუგროვდათ. საბითუმო ბაზარს "ეი-ი-ეს მტკვრის" 50 მილიონი ლარი მართებს, ხოლო "ეი-ი-ესს" საბითუმო ბაზრის - 26 მილიონი ლარი. ამ ვალის გამო საბითუმო ბაზრის გენერალური დირექტორი ალბერტო სოლისი "თელასს" ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით ემუქრებოდა. თუმცა, მოგვიანებით მხარეებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს მოეწერა ხელი, რომლის თანახმადაც, "ეი-ი-ეს თელასის" გენერალური მენეჯერი იგნასიო ირიბარენი და ალბერტო სოლისი შეთანხმდნენ, რომ ერთობლივი დაფინანსებით აამუშავებდნენ "ეი-ი-ეს მტკვრის" კუთვნილ მეცხრე ენერგობლოკს. ამისათვის "ეი-ი-ეს თელასსა" და საბითუმო ბაზარს ყოველთვიურად თავიანთი შემოსავლების 15 პროცენტი (მინიმუმ, 300 ათასი ლარი) უნდა ჩაერიცხათ "ეი-ი-ეს მტკვრისთვის".

მემორანდუმის თანახმად, პირველი თანხა ოქტომბრის ბოლოს უნდა ჩარიცხულიყო. თუმცა, საბითუმო ბაზრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ინფორმაციით, "ეი-ი-ეს თელასს" აღნიშნული თანხა ბაზრის ანგარიშზე არ გადაურიცხავს. საბითუმო ბაზარმა ამის გამო ოფიციალური წერილით მიმართა "ეი-ი-ეს თელასს", რომლითაც მოითხოვა განმარტება, თუ რატომ აყოვნებს ეს უკანასკნელი ოქტომბრის თვის შემოსავლების 15 პროცენტის ჩარიცხვას. "ეი-ი-ეს თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, "ეი-ი-ეს თელასმა" თანხის გარკვეული ნაწილი უკვე გადარიცხა მეცხრე ბლოკის ასამუშავებლად, ხოლო დანარჩენს მაშინ გადარიცხავს, როდესაც "ეი-ი-ეს მტკვარს" დასჭირდება.

როგორც "ეი-ი-ეს მტკვრის" წარმომადგენლები აცხადებენ, სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. ამ ეტაპზე ბლოკის ასამუშავებლად საჭიროა თანხა, რომლითაც მოხდება საწვავის შესყიდვა და მიმდინარე ხარჯების დაფარვა. აღნიშნული თანხა კი, როგორც უკვე ითქვა, საბითუმო ბაზრისა და "ეი-ი-ეს თელასის" შემოსავლების 15-15 პროცენტით უნდა მოგროვდეს. "ეი-ი-ეს მტკვარში" "24 საათს" ისიც განუცხადეს, რომ მათ "თელასთან" არანაირი პრობლემა არა აქვთ, რადგან ეს უკანასკნელი ყოველთვის ყიდულობს მათ მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ერთ მესამედს. დანარჩენი ორი მესამედი, მემორანდუმის თანახმად, საბითუმო ბაზარმა უნდა შეისყიდოს და თანხების ჩარიცხვაც წინასწარ უნდა მოხდეს. "ეი-ი-ეს მტკვრის" ინფორმაციით, მემორანდუმის ფარგლებში მათთვის საბითუმო ბაზარს თანხა არ ჩაურიცხავს. ამრიგად, ვერც ერთი მხარე ვერ იძლევა კონკრეტულ პასუხს, თუ როდის ჩაირთვება მეცხრე ენერგობლოკი.

სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას განცხადებით, მეცხრე ენერგობლოკი 15 ნოემბერს უნდა ამუშავდეს და ამის ვალდებულება "ეი-ი-ესს" აქვს აღებული. "თელასის" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ცნობით კი, მეცხრე ბლოკის ამუშავება ნოემბრის ბოლოსთვისაა დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ მეცხრე ენერგობლოკის ამუშავებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ზამთარში თბილისის გასანათებლად.

# "მაიკროსოფტმა" ამერიკაში გაიმარჯვა, რჩება ევროპა

თორნიკე შარაშენიძე

ოთხი წლის წინ "მაიკროსოფტის" წინააღმდეგ დაწყებული ანტიმონოპოლიური პროცესი წარსულს ჩაბარდა. იგი დასრულდა ისე, როგორც უნდა დასრულებულიყო - კომპანია სრულფასოვან მოღვაწეობას გააგრძელებს. ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან "მაიკროსოფტის" საბოლოო გამარჯვება ყველასათვის აშკარა გახდა ჯერ კიდევ ორი წლის წინ, არჩევნებში რესპუბლიკელთა გამარჯვების შემდეგ. არჩევნების წინ ბუშის გუნდმა არაერთხელ და საკმაოდ არაორაზროვნად განაცხადა, რომ მათთვის ბილ გეიტსის კომპანია სულაც არ იყო ბოროტების ისეთი ბუდე, როგორადაც მას კონკურენტები სახავდნენ. გეიტსი რესპუბლიკელთა სიმპათიებით სარგებლობდა და, სავარაუდოდ, არც თავად დარჩენილა ვალში.

ვინც ასე თუ ისე თვალყურს ადევნებდა "მაიკროსოფტის" პროცესს, ის, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, რომ კომპანია მართლმსაჯულების რისხვას გადაურჩებოდა. პროცესზე პროგრამული უზრუნველყოფის გიგანტის წინააღმდეგ სენსაციური მასალები იქნა წარმოდგენილი, რომლებიც ცხადზე უცხადესად მოწმობდნენ, როგორ ბინძურ ილეთებს იყენებდა გეიტსი თავისი კონკურენტების წინააღმდეგ. მაგალითისთვის "ნეთსქეიფის" ისტორიაც იკმარებს. ამ კომპანიას უპირობო ლიდერის პოზიცია ეჭირა საინტერნეტო ბრაუზერების ბაზარზე, მაგრამ "მაიკროსოფტის" ხრიკებმა იგი ლამის გაკოტრებამდე მიიყვანა და ბოლოს "ნეთსქეიფი" "ამერიკა ონლაინს" მიეყიდა. გეიტსმა ეს ამგვარად მოაკვარახჭინა: იგი პერსონალური კომპიუტერების მწარმოებლებს ("აიბიემი," "კომპაქი," "სანი") უარს ეუბნებოდა "უინდოუზის" მიწოდებაზე, თუკი ისინი კომპიუტერში "მაიკროსოფტის" საინტერნეტო ბრაუზერ "ექსპლორერსაც" არ ჩატვირთავდნენ. ცხადია, კომპიუტერული კომპანიები ამაზე თანხმდებოდნენ, რადგან "უინდოუზის" გარეშე დარჩენა არავის სურდა. მომხმარებელი კი "მაიკროსოფტის" ბრაუზერით სარგებლობდა და "ნეთსქეიფი" აღარ სჭირდებოდა.

მმართველი პარტიის მხარდაჭერა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი ფაქტორია, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის, გეიტსის გუნდს საგანგებო გეგმაც ჰქონდა შემუშავებული, თუკი სასამართლო კომპანიის დაშლას ბრძანებდა. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ეს ასე არ მოხდა.

პროგრამული გიგანტის წინააღმდეგ გამოტანილ ე.წ. განაჩენში შემდეგი წერია:

"მაიკროსოფტმა" სხვა კომპანიებს უნდა გაუზიაროს ტექნიკური ინფორმაცია, რათა მათ "უინდოუზისათვის" თავად შექმნან პროგრამები;

არ უნდა განახორციელოს მტრული ქმედებები პერსონალური კომპიუტერების იმ მწარმოებელთა მიმართ, რომლებიც მის კონკურენტთა პროდუქციას იყენებენ;

შეიმუშაოს პირობები თავისი პროგრამების ლიცენზირებისთვის."

მოკლედ, "მაიკროსოფტს" პრაქტიკულად არაფერი დაკლებია და შეიძლება ითქვას, რომ ოთხი წლის განმავლობაში პროცესი ტყუილად მიმდინარეობდა. **"ამ წლებმა მხოლოდ ის გვასწავლა, რომ ბილ გეიტსს წინ არავინ არ უნდა გადაუდგეს,"** - ასე შეაფასა ყველაფერი "როიტერის" მიმომხილველმა.

მოკლედ, ამერიკა "მაიკროსოფტის" ფეხქვეშაა. რჩება ძველი კონტინენტი, რომელსაც თავისი პრეტენზიები აქვს მსოფლიოში უმდიდრესი კომპანიის მიმართ. საქმე ეხება "მაიკროსოფტის" მუსიკალურ-ვიდეო პროგრამა "მედია პლეიერს." ეს პროგრამა "უინდოუზს" ახლავს და, ევროკომისიის აზრით, არათანაბარ პირობებში აყენებს კონკურენტებს, რომლებიც ანალოგიურ პროდუქციაზე მუშაობენ. კერძოდ, საუბარია "რეალნეთუორქსა" და "ეფლის" მიერ კონტროლირებულ "ქუიქთაიმზე."

**"ამერიკული სასამართლოს გადაწყვეტილება ჩვენთვის ბევრს არაფერს ნიშნავს, ჩვენ ჩვენით გავარკვევთ საქმეს "მაიკროსოფტთან,"** - აცხადებს ევროკომისიის კონკურენციის კომისარი მარიო მონტი.

# ისლამისტების სრული ტრიუმფი თურქეთში

პირველი გვერდიდან

საფინანსო ბაზარი თავიდან ნეგატიურად შეხვდა ისლამისტების გამარჯვებას – თურქული ლირის კურსი ისტორიაში ყველაზე დაბალ ნიშნულამდე დაეცა, მაგრამ ინვესტორებს შორის პანიკა მაინც არ დაწყებულა. მოელიან, რომ ისლამისტური პარტია მჭიდროდ ითანამშრომლებს რესპუბლიკურ პარტიასთან და, განსაკუთრებით, მის ერთ-ერთ ლიდერ დერვიშთან, რომელსაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები კრიზისის დაძლევის იმედებს უკავშირებენ. რესპუბლიკელებმა 19 პროცენტი მიიღეს და ეს პარტია მომავალ პარლამენტში ერთადერთი ოპოზიციური ძალა იქნება.





REUTERS
რეჯეპ ტაიპ ერდოღანი

მიმომხილველთა აზრით, ჯერჯერობით, არც სამხედროები არიან განსაკუთრებით უკმაყოფილო. სწორედ არმიაა ქვეყანაში საბოლოო და უმაღლესი ინსტანცია და ყველაზე პოპულარული ინსტიტუტიც. ბოლო 42 წელიწადში სამხედროებმა სამჯერ მოაწყეს სახელმწიფო გადატრიალება. არმიას რომ არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოს, უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვებდა, – ამბობს თურქი მიმომხილველი.

ერდოქანის ტრიუმფს ერთი გარემოება ჩრდილავს – მას არ შეუძლია პრემიერის პოსტის დაკავება. სასამართლო აკრძალვის გამო იგი დეპუტატიც კი არ არის.

მიმომხილველთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მთავრობას სათავეში აბდულა გული ჩაუდგება, რომელიც პარტიის ერთ-ერთი ლიდერია. ბევრისათვის იგი კიდევ უფრო მისაღები კანდიდატურაა, ვიდრე ერდოქანი. თავმჯდომარისაგან განსხვავებით, რომელმაც არც ერთი უცხო ენა არ არის, არასოდეს უსწავლია საზღვარგარეთ და ახალგაზრდობაში, ოჯახის სარჩენად, იძულებული იყო, ლიმონათი გაეყიდა, გულს დოქტორის ხარისხი აქვს ეკონომიკაში, ფლობს საუცხოო ინგლისურს და მსხვილი კომპანიის მეპატრონეა. გულის უარყოფით მხარეებს შორის ასახელებენ მის რბილ ხასიათს. “აბდულას ლექსიკონში არ არის სიტყვა “არა”, – ამბობს მისი ერთ-ერთი მეგობარი.

და ბოლოს, “თეთრი პარტიის” მომავალი, გამარჯვების მიუხედავად, ეჭვქვეშ დგას, რადგან, პარტიის დაშლის მოთხოვნით, სასამართლოში საჩივარია შეტანილი, რომელსაც სასამართლომ პასუხი, დაახლოებით, ორი კვირის შემდეგ უნდა გასცეს. თუმცა, ექსპერტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ სასამართლო მმართველი პარტიის დაშლაზე არ წავა.

# დიდმა ბრიტანეთმა, შესაძლოა, მობილიზაცია გამოაცხადოს

დიდი ბრიტანეთი რეზერვისტების მობილიზაციას აცხადებს. გაზეთ "დეილი ტელეგრაფის" ინფორმაციით, ორშაბათს დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში გაფართოებული თათბირი ჩატარდა, რომელმაც ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების დეტალებზე იმსჯელა. თათბირის შემდეგ თავდაცვის მინისტრ ჯეფ ჰუნს თემთა პალატაში პარლამენტართა კითხვებისათვის პასუხის გაცემა მოუწევს. თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა “როიტერის“ კორესპონდენტთან ინტერვიუში ვერც უარყო და ვერც დაადასტურა თავდაცვის სამინისტროში თათბირის ჩატარების ფაქტი, მაგრამ გაზეთის ინფორმაცია მობილიზაციის გამოცხადების თაობაზე კატეგორიულად უარყო.

აღსანიშნავია, რომ სამხედრო ექსპერტები, უკვე დიდი ხანია, საუბრობენ იმის შესახებ, რომ ბრიტანეთს რეზერვისტთა მობილიზაცია სწორედ ნოემბერში უნდა გამოეცხადებინა. ექსპერტების ვარაუდით, თუკი ერაყის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციების განხორციელება გადაწყდება, ის აუცილებლად მომავალი წლის პირველ თვეებში დაიწყება, რადგან სამხედრო მანევრებისათვის ერაყში ამ დროს შესაფერისი ამინდები იქნება.

აღსანიშნავია, რომ თუ “დეილი ტელეგრაფის” ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება და ოფიციალურმა ლონდონმა მობილიზაცია მართლაც გამოაცხადა, ეს იქნება უპრეცედენტო შემთხვევა. კორეის ომის შემდეგ დიდ ბრიტანეთს ასეთი ნაბიჯისათვის ჯერ არ მიუმართავს. ჩვეულებრივ, ბრიტანელი რეზერვისტები სამხედრო სამსახურს ყოველ ორ წელიწადში 6 თვეს უთმობენ. ვინც ამჟამად იმყოფება არმიაში, მათ სამსახურის ვადა გაუგრძელდებათ. ასევე გაიწვევენ იმ რეზერვისტებსაც, რომლებიც ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტულ კამპანიაში მონაწილეობდნენ. “დეილი ტელეგრაფის” ინფორმაციით, სულ მობილიზებული იქნება, დაახლოებით, ათი ათასი რეზერვისტი.

## მოკლედ

**იემენი.** დედაქალაქ სანიდან 160 კილომეტრის მოშორებით მდებარე პროვინცია მარიბში, ავტომობილის აფეთქების შედეგად, ექვსი ადამიანი დაიღუპა, რომლებიც ექსტრემისტული ისლამისტური დაჯგუფების წევრობაში არიან ეჭვმიტანილები. დეტალები ჯერჯერობით უცნობია. **“პოლიციას ჯერ არ მოუხდენია გარდაცვლილთა გვამების იდენტიფიცირება, მაგრამ აფეთქების სიძლიერის მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაღუპულები ერთ-ერთ ექსტრემისტულ დაჯგუფებას მიეკუთვნებიან,”** - განაცხადა იემენის პოლიციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სააგენტო “ასოშეიტედ პრესთან” საუბარში. სააგენტო “როიტერის” ინფორმაციით კი, დაღუპულები საერთაშორისო ტერორისტული ქსელის “ალ ქაედას” ხელმძღვანელი პირები არიან.

■ ■ ■

**არგენტინა.** არგენტინის პოლიციამ დააპატიმრა პიროვნება, რომელიც, სავარაუდოდ, იტალიური გასამხედროებული ტერორისტული ორგანიზაციის - “წითელი ბრიგადების” ერთ-ერთი ლიდერია. არგენტინის პოლიციის ინფორმაციით, 51 წლის ლეონარდო ბერტულაცი “წითელი ბრიგადების” მიერ ჩატარებული ოპერაციების მატერიალურ-ტექნიკურ მხარეზე აგებდა პასუხს. ეჭვმიტანილი არგენტინის დედაქალ ბუენოს-აირესში დააპატიმრეს, სადაც ის ყალბი დოკუმენტებით ჩილედან ერთი თვის წინ ჩავიდა. იტალიის მოთხოვნით, ინტერპოლს მასზე საერთაშორისო ძებნა აქვს გამოცხადებული. ბერტულაცის იტალიაში ექსტრადირება ემუქრება. შეგახსენებთ, რომ 2002 წლის მარტში “წითელმა ბრიგადებმა” შრომის მინისტრის თანაშემწის მარკო ბიაჯის მკვლელობაზე აიღეს პასუხისმგებლობა.

■ ■ ■

**საუდის არაბეთი**. საუდის არაბეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ არ დაუშვებს მის ტერიტორიაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზების განთავსებას ერაყში შეჭრის მიზნით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ასეთი ოპერაციის ჩატარება გაერო-ს მიერ იქნება სანქცირებული. საუდის არაბეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრინცმა საუდ ალ ფაიზალმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა ერაყის პრობლემის პოლიტიკური მეთოდებით გადაჭრის მომხრეა და მხარს უჭერს ბაღდადში გაერო-ს სამხედრო ინსპექტორთა მისიის განახლებას.

■ ■ ■

**ავღანეთი.** ავღანეთის პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ დაკავებული პოსტებიდან ერთდროულად ოცი მაღალი თანამდებობის პირი გაათავისუფლა. ამ ნაბიჯს წინ უძღოდა კარზაის მკვეთრი განცხადება ქვეყანაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი და გადამწყვეტი ბრძოლის დაწყების შესახებ. ერთი კვირის წინ ავღანეთის პრეზიდენტმა ქვეყნის მოსახლეობას მიმართა და განაცხადა, რომ მისი მოთმინება ამოიწურა. მისი თქმით, ის არ დაუშვებს ავღანეთში კორუმპირებული ჩინოვნიკების ყოფნას, რომლებიც თავიანთ თანამდებობებს ბოროტად იყენებენ. ავღანეთის პრეზიდენტმა თავისი სიტყვების ქმედუნარიანობა მალევე დაამტკიცა. შაბათს ჰამიდ კარზაიმ მთავრობის სხდომა მოიწვია და ერთბაშად ოცი თანამდებობის პირი გადააყენა. მათ შორის ყველაზე მაღალჩინოსნები არიან – ყანდაჰარის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი და ნანდარგარის საბაჟო სამსახურის შეფი. ყველა გათავისუფლებულ ჩინოვნიკს პრეზიდენტმა ნარკოტიკების კონტრაბანდაში დასდო ბრალი. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მათ წინააღმდეგ, შესაძლოა, სისხლის სამართლის საქმეებიც იქნას აღძრული. ასევე სავარაუდოა, რომ ასეთი გადამწყვეტი ნაბიჯების შედეგად ჰამიდ კარზაის რეიტინგი მოსახლეობაში საგრძნობლად გაიზრდება.

■ ■ ■

**რუსეთი.** სააგენტო “ინტერფაქსის” ცნობით, მოსკოვში 5 ნოემბერს დანიის იუსტიციის მინისტრის ლენე ესპერსენის ოფიციალური ვიზიტია დაგეგმილი. სააგენტოს ამის თაობაზე რუსეთის ფედერაციაში დანიის საელჩომ აცნობა. ესპერსენი მოსკოვში ერთ დღეს დაჰყოფს. როგორც იუწყებიან, ვიზიტის მიზანი რუსეთისა და ევროკავშირის "ტროიკის" (ევროკავშირის წინა, მოქმედი და მომავალი თავმჯდომარე სახელმწიფოები) ქვეყნების იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრების შეხვედრაში მონაწილეობაა. მასთან ერთად, მოსკოვს ეწვევიან საბერძნეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მიხაილის ხრისოხოიდისი და ევროკომისიის წევრი ანტონიო ვიტორინო. რუსეთის მხარიდან შეხვედრაში მონაწილოებას მიიღებენ იუსტიციის მინისტრი იური ჩაიკა და შინაგან საქმეთა მინისტრი ბორის გრიზლოვი. როგორც მოსალოდნელია, შეხვედრის დროს საუბარი გაიმართება კოპენჰაგენში დაკავებული, იჩქერიის წარმომადგენლის აჰმედ ზაკაევის შესახებაც. ძირითადი თემა კი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა იქნება.

# ჩეჩნეთში დამსჯელი ოპერაცია დაიწყო

შოთა უტიაშვილი

რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის განცხადებამ ჩეჩნეთში "მასშტაბური და მკაცრი, მაგრამ ზუსტად გამიზნული" სპეცოპერაციის ჩატარების შესახებ, ჩეჩნურ ინტერნეტ-საიტებზე მწარე ირონია გამოიწვია. ქვეყანა თითქმის მთლიანად დანგრეულია, სახლების ნახევარზე მეტი საცხოვრებლად უვარგისია, 100 ათასი კაცი მოკლულია და 200 ათასი – ქვეყნიდან გაძევებული. ამაზე მეტი რაღა უნდა გვიქნანო, – წერენ ჩეჩენი ჟურნალისტები.

იმის შესახებ, თუ რა სახის იქნება სპეცოპერაცია, მხოლოდ ვარაუდები შეიძლება გამოითქვას, რადგან ჩეჩნეთიდან ინფორმაციის ნაკადს სამხედროები თითქმის მთლიანად აკონტროლებენ. მათ რომ დაუჯეროს კაცმა, აქამდე ომი უკვე სამჯერ მაინც უნდა იყოს დამთავრებული.

ჩეჩნეთში ამჟამად შეიარაღებული ძალების დაქვემდებარებაში მყოფი ასი ათასამდე კაცია განთავსებული. მიუხედავად არაერთგზის განცხადებისა, მათი რაოდენობის შემცირებისა და ხელისუფლების ადგილობრივი სამოქალაქო ადმინისტრაციის ხელში გადასვლის შესახებ, გენერალიტეტს თანდათან ჯარების გამოყვანაზე ან ძალაუფლების დათმობაზე არც უფიქრია. ამიერიდან ეს საკითხი დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნება. ივანოვმა განაცხადა, რომ გამოყვანის შეჩერების ბრძანება უკვე მიღებულია.

ჩეჩნეთში მკაცრი ზომების მიღებას რუსეთის მოსახლეობის სულ უფრო მზარდი ნაწილი უჭერს მხარს. მოსკოვის ტერაქტის შემდეგ ქვეყანაში სამხედრო-პატრიოტული ეიფორიაა. იზრდება პრეზიდენტის რეიტინგი. ანალიტიკოსთა თქმით, მძევალთა გათავისუფლების შემდეგ, პუტინს ორი გზით შეეძლო წასვლა: "გადამწყვეტი ბრძოლის" დაწყების ან სამშვიდობო მოლაპარაკებების გზით, რომელზეც იგი დიდი ფორით წარსდგებოდა. თუმცა, მეორე გზაზე კრემლს, როგორც ჩანს, არც უფიქრია.

ოპერაცია შეიძლება იყოს დამსჯელი ხასიათის, ან ბოევიკთა ლიდერების ლიკვიდაციას ისახავდეს მიზნად. პირველ შემთხვევაში, კრემლი შეეცდება, დაანახოს ბასაევსა და კომპანიას, რომ მათ მიერ რუსეთში განხორციელებული ყოველი ტერაქტის საპასუხოდ, ფედერალები შურს იძიებენ. ნაკლებ სავარაუდოა, ასეთმა ტაქტიკამ გაამართლოს, რადგან ომსა და უსამართლობას შეგუებული ჩეჩენი ხალხი უფრო აიტანს სადამსჯელო ოპერაციებს, ვიდრე თუნდაც ნაციონალიზმით გაჟღენთილი, მაგრამ მშვიდ ძილს შეჩვეული რუსეთის მოსახლეობა - ტერაქტებს. რაც შეეხება მეორე შესაძლო ამოცანას – ისიც არაპერსპექტიული ჩანს. მოვსარ ბარაევის სცენაზე გამოსვლა მოწმობს, რომ მოდის ბოევიკების მეორე თაობა, რომლისთვისაც კაცის კვლა ერთადერთი ხელობაა. მათი წინასწარ ამოცნობა და განადგურება კი თითქმის შეუძლებელი ამოცანაა. რაც შეეხება მთავარი ლიდერების - ბასაევისა და მასხადოვის განადგურებას, რუსეთი ამას, ოთხი წელია, უშედეგოდ ცდილობს. თანაც, რუსეთის სერიოზული პრობლემა ის არის, რომ ჩეჩნეთში დისლოცირებულ სამხედროებს ომის დასრულება ხელს არ აძლევთ.

ჩეჩნური წყაროების ცნობით, ოპერაციაში მონაწილეობას 60 ათასი ჯარისკაცი მიიღებს. რუსული გაზეთი “კომერსანტი” წერს: "ძნელი არაა იმის მიხვედრა, როგორი იქნება ოპერაცია. მთელი ძალით ამუშავდება არტილერია და ავიაცია, რომელიც ბოევიკების სავარაუდო პოზიციების დაბომბვას დაიწყებს. ამის შემდეგ საქმეში ჩაერთვებიან სადესანტო ასეულები. ერთი სიტყვით, განმეორდება ომის საწყისი ფაზა, დაანგრევენ ძლივს შეკოწიწებულ სახლებს, იქნება ახალი მსხვერპლი და ლტოლვილთა ახალი ნაკადი... პარტიზანებთან ომს კი არმია არ დაიწყებს, ეს მათი საქმე არ არის."

ოპერაციის მიმდინარეობის შესახებ, რომელსაც წინ უსწრებდა ამბოხებულთა მიერ კიდევ ერთი სამხედრო ვერტმფრენის ჩამოგდება, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მოდის: შაბათს ჩეჩნეთში ასამდე პიროვნება დააპატიმრეს, კიდევ რამდენიმე ათეული ჩეჩენი ეროვნების მამაკაცი დააკავეს მოსკოვში. ორშაბათს დილიდან ბლოკირებული იყო გროზნოში მიმავალი ყველა მაგისტრალი - სამხედროები კადიროვის პრომოსკოვური ადმინისტრაციის მანქანებსაც კი არ ატარებდნენ. როგორც ჩანს, კადიროვსა და სამხედროებს ერთმანეთთან ცალკე ანგარიშები აქვთ.

ამიტომ სპეცოპერაციის ყველაზე მეტად მშვიდობიან მოსახლეობას ეშინია. რუსები, რომლებიც ბოევიკებს ვერ მისწვდებიან, ჯავრს მათზე იყრიან. ჩეჩენთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ მოსკოვში მძევლების აყვანაც მათდა ჭირად მოხდა.

რა შეიძლება მოიტანოს სპეცოპერაციამ, თუკი ის უფრო სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ივანოვის ჩვეული ბაქიაობა?

რუსეთის ყველაზე ცნობილი მიმომხილველი თავდაცვის საკითხებში, პაველ ფელგენგაუერი ამბობს: სამხედროები, უკვე ოთხი წელია, ბოევიკების განადგურებას ცდილობენ. შედეგი - ნულოვანია. ივანოვის განცხადება მასობრივი და წერტილოვანი დარტყმების განხორციელების შესახებ, ალბათ, მასიურ საჰაერო და სარაკეტო დაბომბვებს უნდა ნიშნავდეს.

ალექსანდრ ჟილინი, ცნობილი სამხედრო ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ოპერაცია წარმატებული მხოლოდ მაშინ იქნება, თუ პუტინი თავის მოქმედებებს კორუმპირებული კლანების საწინააღმდეგოდ მიმართავს, რომლებმაც უზარმაზარი შემოსავლები მიიღეს იარაღით ვაჭრობისა და ნავთობის უკანონო გადამუშავების შედეგად.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვის ტერაქტი, გარკვეულწილად, მათ წისქვილზე ასხამდა წყალს.

მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორის რობერტ ნურიკის თქმით, ივანოვის განცხადება იმას გულისხმობს, რომ აქამდე მოსკოვი თავს იკავებდა სრულმასშტაბიანი ოპერაციების განხორციელებისაგან, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს. თუ ეს განცხადება იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან რუსების სამიზნე ნებისმიერი ჩეჩენი გახდება, ეს სამხედროებს ვერ მოუტანს იმაზე მეტ წარმატებას, ვიდრე აქამდე ჰქონდათ.

ანდრეი პიონტკოვსკი, სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის ანალიტიკოსი აცხადებს, რომ ახალი ოპერაცია მხოლოდ გაახანგრძლივებს ტერორი-შურისძიება-ტერორის მოჯადოებულ წრეს. ეს განცხადება საბოლოოდ ცხადყოფს, რომ პრეზიდენტს ჩეჩნეთის პრობლემის გადაჭრა არ შეუძლია. იგი სულ ერთსა და იმავე შეცდომებს იმეორებს.

რა შეიძლება მოჰყვეს მორიგ სისხლის ღვრას? ალექსეი არბატოვი, დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ჯერ კიდევ ოპერაციის გამოცხადებამდე წერდა: “გამორიცხული არ არის, მოსკოვის ტრაგედიამ რუსეთს სამხედრო მოქმედებათა ესკალაციისაკენ უბიძგოს... სამხედროები, სამართალდამცავები და საზოგადოება ხელისუფლებას სწორედ აქეთკენ ექაჩებიან. და მაინც, როგორც ჩეჩნეთის მთელი კამპანია გვიჩვენებს, ამ ტაქტიკით წარმატების მიღწევა შეუძლებელია. მისი ყველაზე სავარაუდო შედეგი - მთელი ქვეყნის მასშტაბით ტერორიზმის ტალღის აგორებაა.

ტერორს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ (იმ ფორმით, როგორც ეს ისრაელში ხდება: არა მძევლების აყვანა, არამედ აფეთქებები) მთელი რუსეთის პარალიზება შეუძლია... მით უმეტეს, რომ არმია და ძალოვნები არ არიან ისეთ მდგომარეობაში, რომ ვითარების გაკონტროლება შეძლონ".

ექსპერტთა მოსაზრებებიდან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება. ომმა, შესაძლოა, ფორმა შეიცვალოს და ჩეჩნეთის საზღვრებს გარეთ გავრცელდეს, მაგრამ ამ მეთოდებით მისი დასრულება შეუძლებელია. ხოლო თუ გამართლდა არბატოვის პროგნოზი და ჩეჩნეთი ახალ პალესტინად იქცა, მაშინ იმის საფრთხეც სერიოზული იქნება, რომ, შეიძლება, საქართველოს ამ ახალ "ახლო აღმოსავლეთში" ლიბანის როლის შესრულება მოუწიოს.

# ისრაელში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება

*ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი იმედოვნებდა, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს – ქნესეთის მიერ უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას გადაურჩებოდა, მაგრამ გუშინ მასზე პარლამენტარებმა ძლიერი იერიში მიიტანეს. არიელ შარონს ვადამდელი არჩევნების ჩატარებას თხოვენ. ისრაელში პოლიტიკური კრიზისი გრძელდება*

ლევან ღირსიაშვილი

ისრაელის შიდაპოლიტიკური ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც სამთავრობო კოალიციას შრომის პარტია გამოეყო. თანამდებობები დატოვეს ქვეყნის თავდაცვის მინისტრმა, შრომის პარტიის ლიდერმა ბენ ელიეზერმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შიმონ პერესმა. არიელ შარონი იძულებული გახდა, უკიდურეს მემარჯვენე პარტიებთან გაეფორმებინა შეთანხმება და ამით პარლამენტში უმრავლესობის შენარჩუნება ეცადა. განხეთქილება კი ბიუჯეტის პროექტმა გამოიწვია. არიელ შარონის პარტია “ლიკუდი“ პალესტინაში ებრაული დასახლებებისათვის დაფინანსების გაზრდას ითხოვდა, რასაც შრომის პარტია კატეგორიულად ეწინააღმდეგება. არიელ შარონმა, თავისი კაბინეტის გადარჩენის მიზნით, უკიდურეს მემარჯვენე და რელიგიურ პარტიებთან კოალიციის შეკვრა გადაწყვიტა. თუმცა, ეს ალიანსი, ჯერჯერობით, ოფიციალურად გაფორმებული არ არის. ყველაფერი პარლამენტის სხდომაზე გაირკვევა, რომელმაც 2003 წლის ბიუჯეტი უნდა დაამტკიცოს და, ამასთანავე, ისრაელის თავდაცვის მინისტრის პოსტზე შარონის ახალი კანდიდატურის - არმიის გენერლის საულ მოფაზის საკითხი განიხილოს. თუ პარლამენტმა არიელ შარონის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტს მხარი არ დაუჭირა, მაშინ პრემიერ-მინისტრს ახალი არჩევნების დანიშვნა და გადადგომა მოუწევს.

მანამდე კი არიელ შარონი პოზიციების განმტკიცებას ცდილობს. მან საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ისრაელის ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბენიამინ ნეთანიაჰუს შესთავაზა. ეს უკანასკნელი შარონის წინადადებას დათანხმდა, ოღონდ იმ პირობით, თუ ისრაელში ვადამდელი არჩევნები ჩატარდება. **“თუ არ ჩავატარებთ ვადამდელ არჩევნებს, ეს მთავრობა ვერ გადარჩება. მას არ შეეძლება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება, რაც, მე ვფიქრობ, ძალზე საჭიროა,“** - განაცხადა მან. ის ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებში განსაკუთრებული მკაცრი მიდგომით გამორჩეული პოლიტიკოსი და იასირ არაფატის პალესტინის ადმინისტრაციის ტერიტორიიდან გაძევების მთავარი ინიციატორია. აღსანიშნავია, რომ ნეთანიაჰუც და შარონიც პარტია “ლიკუდის” ლიდერები არიან. ორივე მათგანი პარტიის შიგნით პოზიციების გამყარებას ცდილობს. თუმცა, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე ნეთანიაჰუს დანიშვნით, არიელ შარონი იმ ულტრა-მემარჯვენე პარტიების გულის მოგებას ცდილობს, რომელთა მხარდაჭერის გარეშეც ქვეყნის ბიუჯეტი ვერ დამტკიცდება, რაც შარონის გადადგომას, მთავრობის დათხოვნასა და ახალი არჩევნების დანიშვნას ავტომატურად გამოიწვევს. ვითარების ასეთი სცენარით განვითარება კი შარონის რეიტინგს უკიდურესად დასცემს და არჩევნებში გამარჯვების შანსებს მინიმუმადე შეამცირებს. ნეთანიაჰუს დანიშვნით კი, არიელ შარონი, სავარუდოდ, შეძლებს ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებასა და თანამდებობის შენარჩუნებას. მართალია, იგი იძულებული გახდა, დათანხმებოდა ნეთანიაჰუს ულტიმატუმს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის შესახებ, მაგრამ თუ მისი რეიტინგი არ დაეცემა, ამ არჩევნებში გამარჯვება არიელ შარონს არ გაუჭირდება. მანამდე კი მისი პოლიტიკური კურსი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული ულტრა-მემარჯვენე მიმართულების იქნება, რაც პალესტინის ადმინისტრაციის მეთაურის იასირ არაფატის სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენს და არც თუ უსაფუძვლოდ.

რეგიონში სისხლიანი შეტაკებები კვლავ გრძელდება. გუშინ ისრაელის სამხედრო ვერტმფრენმა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ ნაბლუსში რაკეტა ესროლა ავტომობილს, რის შედეგადაც, სულ ცოტა, ერთი პალესტინელი გარდაიცვალა. ისრაელის არმიის წარმომადგენლებს მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებიათ, მაგრამ ვარაუდობენ, რომ დაღუპული პალესტინელი ერთ-ერთი ტერორისტული დაჯგუფების აქტივისტი იყო. თუმცა, ასეთი ინციდენტები ისრაელ–პალესტინის კონფლიქტში, რასაკვირველია, ახალი მოვლენა არ არის. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2000 წლის სექტემბრიდან დაღუპულია 1642 პალესტინელი და ისრაელის 623 მოქალაქე. სავარაუდოა, რომ ისრაელის მთავრობაში მემარჯვენე ძალების გაძლიერებით კონფლიქტი კიდევ უფრო დრამატულ ხასიათს მიიღებს.


REUTERS
არიელ შარონი

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისის ქუჩების გასანათებლად 50 ათასი გამანათებლიდან ამჟამად 16 ათასი ფუნქციონირებს. დედაქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან მეოთხე კვარტლისთვის გამოყოფილი თანხა - 428 ათასი ლარი „თბილქალაქგანათებას“, ჯერჯერობით, არ მიუღია. „თბილქალაქგანათების“ ხელმძღვანელის ლადო კვიჟიძის თქმით, შემუშავებულია გრაფიკი, რომლის მიხედვითაც დადგენილია გამანათებლების ჩართვისა და გამორთვის დრო. ნოემბერში ქუჩები საღამოს 18 საათიდან დილის 7.30-მდე უნდა განათდეს, განათების ქსელს კი ელექტროენერგია შეფერხებით მიეწოდება, რაც შესაბამისად, გრაფიკის დარღვევას იწვევს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ბოლო კვირის განმავლობაში ჩატარებული რეიდების შედეგად თბილისის სხვადასხვა რაიონში 33 უკანონო ნაგავსაყრელი აღმოაჩინეს. თბილისის სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ცნობით, საცხოვრებელ კორპუსებთან განთავსებული 41 ნაგვის ბუნკერი დაუცლელი იყო. რეიდის შედეგებზე სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციამ რაიონული კეთილმოწყობის სამსახურებს უკვე შეატყობინა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასულ კვირას თბილისის წყალსადენის სისტემის დაზიანების შემთხვევები გახშირდა. სანიტარული ზედამხედველობის ინსპექციის ინფორმაციით, სულ წყალსადენის დაზიანების 95 ფაქტი აღინიშნა. შპს „თბილწყალკანალის“ ინფორმაციით, დღეისთვის ყველა მათგანი ლიკვიდირებულია. დაზიანებებს წყლის ხარისხზე უარყოფითად არ უმოქმედია. კვირის განმავლობაში გამოკვლეული იყო სასმელი წყლის 86 სინჯი, რომლებშიც დარღვევები არ გამოვლინდა. ამავე პერიოდში 88-ჯერ დაზიანდა თბილისის საკანალიზაციო სისტემაც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც საქართველოს სოცუზრუნველყოფის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აცხადებს, საქართველოს რეგიონებში აგვისტოს თვის პენსიები ფინანსდება. უკვე გადარიცხულია 11.5 მილიონ ლარზე მეტი, აქედან 8.1 მილიონ ლარზე მეტი - სადაზღვევო და სოციალური პენსიებისთვის, 2.3 მილიონ ლარამდე - ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებისთვის, 64.1 ათასი ლარი - რეგრესული პენსიებისთვის და მილიონ ლარზე მეტი - საოჯახო დახმარებისთვის. რაც შეეხება დევნილ პენსიონერებს, აგვისტოს თვის პესნიები მათ უკვე სრულად მიიღეს. თბილისში კი ოქტომბრის თვის პენსიების დაფინანსება დაიწყო. უკვე გადარიცხულია 1.1 მილიონ ლარზე მეტი. აქედან ფოსტაში მიმღებთა პენსიები 500 ათას ლარს შეადგენს, ხოლო ბანკში მიმღებთა პენსიებისთვის გადარიცხულია 628.3 ათასი ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის ალექსანდრეს ბაღში უკანონო მშენებლობების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციას პარლამენტარი გურამ შარაძე უძღვებოდა. მისი თქმით, საქართველოში უკანონო მშენებლობები „კანონიერი“ ფორმით მიმდინარეობს.

შარაძემ, უპირველესად, ალექსანდრეს ბაღში მიმდინარე მშენებლობა დაასახელა. ბაღში რვასართულიან საცხოვრებელ სახლს, სავარაუდოდ, სამშენებლო კომპანია შპს „მეგობრობა“ აშენებს. ამ ბინის ერთ-ერთი მკვიდრის ნათელა გოგესაშვილის თქმით, მიწის ნაკვეთი თავდაცვის სამინისტროს მიერ არის პრივატიზებული და ვინმე ძიძიშვილმა შეისყიდა.

ამის გარდა, გურამ შარაძემ ამერიკისა და საფრანგეთის საელჩოების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზეც ისაუბრა. მან საელჩოები საქართველოს ისტორიული ძეგლების, გრიგოლ ორბელიანის ძმისშვილის სასახლისა და ორბელიანების სამსაუკუნოვანი ბაღის მიტაცებაში დაადანაშაულა. „თუკი საფრანგეთის სახელმწიფო და პარიზის მუნიციპალიტეტი საქართველოს ბულონის ტყეში საელჩოს მშენებლობის უფლებას მისცემს, მაშინ არაფერს ვიტყვი“, — აცხადებს შარაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ენერგოკრიზისის გაგრძელების შემთხვევაში "ეი-ი-ეს თელასი" თბილისში ელექტროენერგიის მიწოდების გრაფიკის შემოღებას არ გამორიცხავს. მართალია, ეს საკითხი ჯერ დღის წესრიგში არ დგას, მაგრამ თუ "ეი-ი-ეს თელასი" ენერგოსისტემიდან ელექტროენერგიას ისევ შემცირებული ლიმიტით მიიღებს, ამერიკული კომპანია, იძულებული იქნება, გრაფიკი შემოიღოს. "თბილისის მოსახლეობას ელექტროენერგია ქაოტურად მიეწოდება, რასაც სიხშირის ვარდნის გამო ავტომატური ამომრთველების გამორთვა განაპირობებს. ასე შეიძლება, თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელი ტექნიკურად დაზიანდეს, ამიტომ გრაფიკი გარდაუვალი იქნება," – აცხადებს "ეი-ი-ეს თელასი".

გუშინ პიკის საათზე მან ელექტროდისპეტჩერიზაციას მოთხოვნა 400 მეგავატზე გაუგზავნა, მაგრამ მხოლოდ 319 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგია მიიღო. ამიტომაც, გუშინ ქალაქში ელექტროენერგიის გამორთვის 43 შემთხვევა აღინიშნა, ქვესადგური "დინამო" 5 საათისა და 12 წუთის განმავლობაში იყო გამორთული. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი**. ამ კვირაში განათლების სამინისტრო ახლადგარემონტებულ პირველ კორპუსს ჩაიბარებს. როგორც განათლების სამინისტროს პრესცენტრის ხელმძღვანელმა გია კუპრავამ განაცხადა, გახსნის საზეიმო ცერემონიალს განათლების სფეროს წარმომადგენლებთან ერთად ქვეყნის პრეზიდენტი და სხვა ოფიციალური პირებიც დაესწრებიან.

სამინისტროს პირველი კორპუსი 1996 წელს ხანძრის შედეგად დაიწვა. კორპუსის აღსადგენი თანხის ძირითადი ნაწილი გამოყვეს იმ 60-მილიონიანი კრედიტიდან, რომელიც მსოფლიო ბანკმა საქართველოს განათლების სისტემის რეფორმისათვის გაილო, ნაწილი კი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩარიცხეს. "ამიერიდან საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის უფრო მეტი საშუალება გვექნება", - აღნიშნა კუპრავამ. **კავკას-პრესი**

სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს - „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს. თუ თქვენი შეკითხვა ჩაერის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

ხალხის პირისპირ

მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ. შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქციები კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:
ბინის მისამართი:
საფოსტო ინდექსი:
ბინის ტელეფონის ნომერი:
სამსახურის ტელეფონის ნომერი:
მობილური ტელეფონის ნომერი:

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

# ილია II-ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა

*გუშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა. გუშინდელი დღე, იმავდროულად, იყო იმ საიუბილეო ღონისძიებათა ერთი ნაწილი, რომელიც პატრიარქის დაბადებიდან 70 და აღსაყდრებიდან 25 წლისთავს ეძღვნება.*

ეთერ მამულაშვილი

პატრიარქს საპატიო დოქტორის დიპლომი საღვთისმეტყველო საკითხების კვლევაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისა და უნივერსიტეტის მიმართ მუდმივი მზრუნველობისა და თანადგომისთვის გადასცეს. დღემდე ეს წოდება სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიანიჭა პოლიტოლოგ ზბიგნევ ბჟეზინსკის, საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს, ამერიკელ დიპლომატს ჯორჯ შულცს და თურქეთის პრემიერ-მინისტრს სულეიმან დემირელს.

საპატიო დოქტორის დიპლომის გადაცემის ცერემონიალს ესწრებოდნენ საპატრიარქოს წარმომადგენლები, მღვდელ-მთავრები, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და რექტორი როინ მეტრეველი.

რექტორმა საზოგადოებას მოკლედ მოუთხრო პატრიარქის მიერ განვლილი ცხოვრების, მოღვაწეობისა და უნივერსიტეტისადმი გაწეული ღვაწლის შესახებ. როინ მეტრეველის თქმით, კათოლიკოს-პატრიარქმა უნივერსიტეტის ეზოში, დავით აღმაშენებლის სახელობის ტაძარს, მშენებლობის პერიოდში რამდენჯერმე სოლიდური თანხა შესწირა.

ბატონმა რექტორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატრიარქი ერთადერთი ადამიანია საქართველოში, ვინც დაჯილდოებულია დავით აღმაშენებლის ორდენით.



გუშინ უნივერსიტეტში.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გუშინ დიდხანს საუბრობდნენ ცოდნისა და რწმენის მჭიდრო კავშირზე. პატრიარქმა აღნიშნა, რომ ადამიანი ცოდნისა და რწმენის საშუალებით აღწევს სრულყოფილებას. **“მხოლოდ მორწმუნე ადამიანი არის მონა ღვთისა, ხოლო მორწმუნე და განათლებული ადამიანი არის მეგობარი ღვთისა”,** - გაიხსენა პატრიარქმა კლიმენტი ალექსანდრიელის სიტყვები. პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინდელ დღეს მეცნიერებისა და სულიერების ზეიმი უწოდა.

მისმა უწმინდესობამ აღნიშნა, რომ მომავალი წლისთვის დაგეგმილია, თბილისში ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია თემაზე “ცოდნა და რწმენა”. მისი ჩატარების იდეა მოსკოვში მოღვაწე ქართველ მეცნიერს ექვთიმე ფრანგიშვილს ეკუთვნის. 2004 წელს მსგავსი კონფერენციის მოსკოვში ჩატარების სურვილი რუსეთის პატრიარქს ალექსეი მეორესაც გამოუთქვამს.

მისმა უწმინდესობამ ილია მეორემ ისურვა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სასულიერო აკადემიასთან ერთად თბილისში შეიქმნას “ღრმა აზროვნების ცენტრი”, სადაც მეცნიერებსა და სასულიერო მოღვაწეებს შორის თანამშრომლობა უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს.

# არმსტრონგი გორის სამუსიკო სასწავლებელში

*გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს წელს 40 წელი უსრულდება. ის ჯერ კიდევ სახელმწიფოა. რომ არა საერთაშორისო ორგანიზაცია “Mercy Corps”, ადგილობრივი ბიუჯეტის იმედად ვერ მოხერხდებოდა იმ სამუშაოს ჩატარება, რამაც არა მარტო შენობის იერ-სახე განაახლა, არამედ საკონცერტო საღამოების გამართვაც შესაძლებელი გახადა.*

ვასილ გულეური

Mercy Corps აღმოსავლეთ საქართველოს სათემო მობილიზაციის ინიციატივის პროგრამას ახორციელებს, რომელიც აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ არის დაფინანსებული. როგორც Mercy Corps-ის შიდა ქართლის ოფისის კოორდინატორმა ნინო მძინარაშვილმა გვითხრა, გორის სამუსიკო სასწავლებლის სარემონტო სამუშაოებისთვის 10 000 აშშ დოლარი დაიხარჯა. შეიცვალა სახურავი, შესასვლელი რკინის კარი, გარემონტდა ოთახები, საკონცერტო დარბაზში დაიგო ახალი იატაკი. "პროექტი სიცოცხლისუნარიანია. დაფინანსების მესამე ეტაპზე გარემონტდა სასწავლებლის დასასვენებელი სახლი, საიდანაც შემოსული თანხა კვლავ სასწავლებელს მოხმარდება," – აღნიშნა მან.

პროექტის დახურვის პრეზენტაციაზე, რომელიც სასწავლებლის განახლებულ დარბაზში გაიმართა, ქართველი და ამერიკელი მსმენელის წინაშე წარსდგნენ თამარ გაბარაშვილი, ნანა დიმიტრიადი და გორის სამუსიკო სასწავლებლის ქალთა გუნდი (ხელმძღვანელი შალვა მოსიძე).

ქართული "ოროველას" და იოსებ კეჭაყმაძის ნაწარმოებების შესრულების შემდეგ ქალთა გუნდმა სიურპრიზი შესთავაზა მსმენელს – ლუი არმსტრონგის “Go down, Moses” (Let my people go).

USAID-ის კავკასიის მისიის დირექტორმა მაიკლ ფარბმანმა აღტაცება გამოხატა კონცერტის გამო. რაც შეეხება შესრულებულ სამუშაოს, მან მთავარ მიღწევად ამ საქმეში ადგილობრივი საზოგადოების აქტიური მონაწილეობა დაასახელა. სამომავლო დაფინანსების შესახებ მაიკლ ფარბმანმა განაცხადა: "ადგილობრივი საზოგადოების გადასაწყვეტია, თუ ინფრასტრუქტურის რა ნაწილის შეკეთება მოხდება. რაც საზოგადებისთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია, სწორედ მას დავაფინანსებთ."

კულტურის სამინისტროს წარმომადგენელმა ლია ბუაძემ მინისტრის სახელით მადლობა გადაუხადა Mercy Corps-ის და USAID-ის წარმომადგენლებს. ჩვენთან საუბარში კი აღნიშნა, რომ გორის სამუსიკო სასწავლებელი "ერთადერთია პერიფერიებში მოქმედი სასწავლებლებიდან, რომელიც ცენტრალურ ბიუჯეტზეა" და მიუხედავად ფინანსური პრობლემებისა, კომერციული სასწავლებელი არ გახდა. ამაში უდავოდ დიდია სასწავლებლის დირექტორის სანდრო კაჭარავას დამსახურება, რომელმაც საერთაშორისო ორგანიზაციების შემდგომი დახმარების იმედი გამოთქვა.

# ვერტიკალური საშიშროება

### ბავშვები შიდსით რომ არ იღუპებოდნენ

*შიდსის ეპიდემიის დაწყებიდან დღემდე, აივ ინფიცირებულ ბავშვთა რიცხვმა 3 მილიონს მიაღწია. მათგან, ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით, 2001 წელს 800 000 ბავშვი დაავადდა. გარდაიცვალა 580 000. აივ ინფიცირებული ბავშვების 90 პროცენტი მშობლის ორსულობის, მშობიარობის ან ძუძუთი კვების დროს ავადდება. აქედან 25-30 პროცენტი - ორსულობის პერიოდში, 70-75 პროცენტი - მშობიარობისას, 14 პროცენტი - დედის რძით კვებისას. განვითარებულ ქვეყნებში ქალთა თითქმის 90 პროცენტმა იცის, რომ ინფიცირებულია და, ასეთი შედეგების თავიდან აცილებას ცდილობს. სქართველოში ორსულთა შიდსზე გამოკვლევა არ ხდება. სახელმწიფოს ამისთვის თანხები არ ჰყოფნის.*

მაკა ჯაიანი

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, პრობლემის არსი კარგად ესმით უცხოეთში და მის მოსაგვარებლად ფულსაც არ იშურებენ. 1 დეკემბრიდან თბილისში ამოქმედდება “დედიდან ბავშვზე შიდსის გადაცემის პროფილაქტიკის” ორწლიანი პროგრამა, რომელიც ორსულებში შიდსის გამოვლენასა და პროფილაქტიკას ითვალისწინებს და ელიზაბეტ გლეიზერის პედიატრიული შიდსის ფონდის მიერ ფინანსდება. სწორედ ამ ამერიკულმა ორგანიზაციამ მოიწონა ქალთა და ბავშვთა დაცვის კავშირის მიერ შემუშავებული პროექტი, რომლის განხორციელებაში მონაწილეობას, ასევე, რეაბილიტაციის ცენტრი იღებს. გუშინ, რეაბილიტაციის ცენტრში პროგრამის, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოსამზადებელი ეტაპი - სამედიცინო პერსონალის მომზადება დაიწყო.

ერთთვიანი სემინარები თბილისის ყველა ქალთა კონსულტაციის წარმომადგენელს ჩაუტარდება. პროგრამის დირექტორის, მაია ბაწაშვილის განცხადებით, ეს აუცილებელია, რადგან, მიუხედავად შიდსის ცენტრის მრავალწლიანი ფართომასშტაბიანი საქმიანობისა, შიდსის შესახებ ყველაფერი ექიმებმაც კი არ იციან. **“ისეთი სტომატოლოგის ან გინეკოლოგის მოძებნა, რომელიც შიდსით ინფიცირებულის მომსახურებაზე დათანხმდება, ჯერ ისევ დიდ სიძნელესთანაა დაკავშირებული. ექიმები ცუდად არიან გათვითცნობიერებულნი შიდსთან დაკავშირებულ საფრთხეში. მათ უნდა იცოდნენ, როგორ დაიცვან თავი პაციენტიდან დაავადებისგან, როგორ გააუვნებელჰყონ დაბინძურებული მასალა და ა.შ.”** - ამბობს მაია ბაწაშვილი.

დიდი ხანი არ არის, რაც განვითარებული ქვეყნების ექიმებმა შიდსით ინფიცირებული პაციენტებისგან დაავადების შიში მოიხსნეს. ქართველი ექიმებისთვის ამ შიშის მოხსნას პროგრამის ავტორები იმ სახელმძღვანელოთი შეეცდებიან, რომელიც სპეციალურად ამ სემინარებისთვის შეიქმნა. იგი კვალიფიციური, ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირებული პრაქტიკოსების მიერ არის შედგენილი და უფასოდ დაურიგდება სწავლების ყველა მონაწილეს. პროექტის ავტორები იმედოვნებენ, რომ ეს ერთი თვე თბილისის ქალთა კონსულტაციების სამედიცინო პერსონალს საშუალებას მისცემს, არა მარტო შიდსთან დაკავშირებული პირველადი ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს ორსულს, არამედ შემოწმებაზეც დაიყოლიოს იგი.

ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან, საერთაშორისო კანონმდებლობა კრძალავს გამოკვლევაზე ვისიმე იძულებას. მიუხედავად იმისა, რომ, ამ შემთხვევაში, ერთი ადამიანის დაუდგენელი ავადმყოფობა, მეორის დაავადების მიზეზი შეიძლება გახდეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გამოც, რომ, ინფიცირების დროულად დადგენის შემთხვევაში, შესაძლებელია მნიშვნელოვნად შემცირდეს ახალშობილის ინფიცირების რისკი. ამის შესაძლებლობას იძლევა პროფილაქტიკური საშუალებები, რომელთაც, შიდსზე უფასო გამოკვლევის შემდეგ, ორსულები ასევე უფასოდ მიიღებენ. პროფილაქტიკური მკურნალობა 35-დან 5-10 პროცენტამდე ამცირებს ბავშვის დაავადების შემთხვევას. ეს მცირე განსხვავება არ არის.

პროექტის მიხედვით, გამოკვლევისთვის სისხლის აღება კონსულტაციებშივე მოხდება. კურიერი მათ დღის ბოლოს შეაგროვებს და, ლაბორატორიული შემოწმებისთვის, რეაბილიტაციის ცენტრში მიიტანს. შიდსით ინფიცირების შემთხვევაში, დაავადებისგან ბავშვის დაცვის მიზნით, ქალს რეკომენდაცია ეძლევა, საკეისრო კვეთა გაიკეთოს და ახალშობილი ძუძუთი არ კვებოს. რაც შეეხება პროფილაქტიკურ საშუალებას, მას ქალს უშუალოდ მშობიარობის დროს მისცემენ. სამწუხაროდ, თბილისში პროფილაქტიკის პირველი ვარიანტი არ გამოიყენება. იგი დედის წამლით უზრუნველყოფას მთელი ორსულობის განმავლობაში ითვალისწინებს და მის ჯანმრთელობასაც უწყობს ხელს. ეს ძვირი სიამოვნებაა და მას ჩვენ ჯერ ვერ შევწვდებით.

პრეპარატის სიძვირის გამო, პროექტი მხოლოდ თბილისში ხორციელდება. მისი ბიუჯეტი 143 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში იმედოვნებენ, რომ, ახლო მომავალში, “დედიდან ბავშვზე შიდსის გადაცემის პროფილაქტიკის” პროგრამა სახელმწიფო პროგრამების რიცხვს მიემატება და დანარჩენ საქართველოსაც მოიცავს. აქამდე, შიდსით დაავადების რისკ-ჯგუფებში ორსულების შეყვანა სახელმწიფომ ვერ მოახერხა. თუმცა, სერიოზულ საშიშროებად შიდსს ყველა ოფიციალურ შეკრებაზე აღიარებს. საქართველოს უკვე ჰყავს სამი პატარა, რომელიც შიდსით სწორედ ვერტიკალური გზით - დედიდან დაავადდნენ. კარგი იქნება, თუ ამ ციფრზე შევჩერდებით.

# ხუთი ჩეჩენი მეხუთე საპყრობილეში დააბრუნეს

*გუშინ გაძლიერებული ბადრაგის თანხლებით მეხუთე საპყრობილედან საოლქო სასამართლოში მიყვანილ ხუთ ჩეჩენ პატიმარს, სასამართლომ პატიმრობის ვადა კიდევ სამი თვით გაუგრძელა.*

ხათუნა ჯანგირაშვილი



*დაკავებულ ჩეჩნებს პატიმრობის ვადა სამი თვით გაუგრძელეს.*

საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფის მოთხოვნა საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონოდ დამრღვევთათვის პატიმრობის ვადის გაგრძელების შესახებ და ჩეჩენ პატიმართა ადვოკატებს უარი უთხრა მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლაზე. ადვოკატები ითხოვდნენ პატიმართა გათავისუფლებას პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ.

**"დადგენილი არ არის პატიმართა მუდმივი ან დროებითი საცხოვრებელი ადგილი. ამასთან, მათ ბრალი ედებათ მძიმე დანაშაულების ჩადენაში; რაც მთავარია, დადგენილი არ არის მათი ზუსტი ვინაობა. მიზანშეუწონლად მიმაჩნია პატიმართა პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გათავისუფლება",** - ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა ორსაათიანი დახურული პროცესის დასასრულს საოლქო სასამართლოს მოსამართლემ ომარ ჯორბენაძემ.

გუშინ, სასამართლოში, საზღვარზე დაკავებულმა, მეხუთე საპყრობილის პატიმრებმა – ასლან ხანოევმა, რუსლან მირჟოევმა, თემურ ბაიმურზაევმა და რუსლან უსმანოვმა - თავისი ნამდვილი სახელები და გვარები დაასახელეს. დაპატიმრების დროს გაცემულ დოკუმენტზე დაფიქსირებული გვარი არ გადათქვა მხოლოდ ისლამ ხაშოევმა. დანარჩენმა ოთხმა ჩეჩენმა კი, როგორც უკვე ითქვა, ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში წინასწარი პატიმრობის შეფარდებისას დასახელებული სახელები და გვარები გუშინ, საოლქო სასამართლოში შეცვალა. არადა, რუსეთიდან გამოგზავნილი მათი ბრალეულობის სქელტანიანი საქმე სწორედ პირველად გამჟღავნებულ სახელებზეა დაწერილი და მათ უმძიმეს დანაშაულებებზე მიუთითებს.

ერთი სიტყვით, მეხუთე საპყრობილეში დარჩენილი და ჯერ კიდევ არაექსტრადირებული ხუთი ჩეჩენის საქმეში ახლადაღმოჩენილი გარემოებებია. უშიშროების სამინისტრომ სწორედ ამ ახლადაღმოჩენილი გარემოებების გამო მიმართა საოლქო სასამართლოს პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე. **"ჯერ კიდევ ბევრი საგამოძიებო მოქმედებაა ჩასატარებელი. ბოლომდე დადგენილი არ არის ამ პატიმართა ვინაობა და წარმომავლობა. ყველაფერი გასარკვევი და დასადგენია. გამოძიებას კი საამისოდ დრო ესაჭიროება",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელმა მევლუდ ბაკაშვილმა. რაც შეეხება რუსეთისთვის გადაცემულ ხუთ ჩეჩენს, რომელთა ექსტრადიციასაც დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, მევლუდ ბაკაშვილი გუშინაც ირწმუნებოდა, რომ მათი იდენტიფიცირება ნამდვილად ჩატარდა და ექსტრადიციაც კანონის ფარგლებში მოხდა.

რაც შეეხება მეხუთე საპყრობილეში კიდევ სამი თვით დაბრუნებულ ხუთ ჩეჩენს, დამცველები აცხადებენ, რომ უკვე ზუსტად იციან მათი რეალური ვინაობა და გამოძიებას ამის შესახებ დოკუმენტაციას რამდენიმე დღეში გადასცემენ. **"მათი ნამდვილი ვინაობის გამჟღავნებისგან, ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ, რადგან არის საშიშროება, რომ ამ ახალ სახელებსა და გვარებზეც ახალი სქელტანიანი საქმე შეთითხნოს რუსეთმა",** – აცხადებენ ჩეჩენთა ადვოკატები.

მოკლედ, გამოძიება თითქმის თავიდან იწყება; თავიდან იწყება გამოძიებისთვის ჯერ კიდევ დაუდგენელი პიროვნებების დადგენა-იდენტიფიცირება.

# ტელეკომპანია „ოდიშის" დარბევას ერთი თანამდებობის პირი შეეწირა, ვინ იქნება მეორე?

პირველი გვერდიდან

ერთი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ზუგდიდში პოლიციელებმა თავისუფალ მედიაზე გაილაშქრეს. პოლიციის სამიზნე, რკინიგზის სადგურზე მიმდინარე აქციის დარბევის ამსახველი კადრების გადაცემის შემდეგ, თავად ტელეკომპანია "ოდიში" გახდა. ოფისში რობერტ ჩიქობავას ხელმძღვანელობით შეჭრილმა ოცდაათამდე სამართალდამცველმა ჯერ აპარატურა დაამტვრია, შემდეგ კი ჟურნალისტებს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყანა. ყველაზე მეტად დაზარალდა თავად სიუჟეტის ავტორი ემა გოგოხია. შურისძიების და შემდგომი დაშინების მიზნით, პოლიციელები მის სახლშიც შეიჭრნენ და ჟურნალისტს მოკვლით დაემუქრნენ.

ამ ფაქტს, საზოგადოების როგორც ქართველი, ისე უცხოელი წარმომადგენლების მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. პრეზიდენტმა, სამართლებრივი შეფასების მიზნით, საქმის გამოძიება მოითხოვა. მეტი ობიექტურობისთვის საქმე სამეგრელოს რეგიონს აართვეს და იმერეთის სამხარეო პროკურატურას დაუქვემდებარეს.

იმერეთის სამხარეო პროკურორის თამაზ ჭუმბურიძე: **"ტელეკომპანია "ოდიშის" ფაქტთან დაკავშირებით, საქმე აღძრულია სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით. სამხარეო პოლიციის უფროსის მოადგილე რობერტ ჩიქობავა კი უკვე ცნობილია ეჭვმიტანილად. ამჟამად მიმდინარეობს ხალხის დაკითხვა და დაპირისპირებები. არ არის გამორიცხული, რომ ძიების პროცესში სხვა პოლიციელთა ბრალეულობაც გამოიკვეთოს".**

გამოძიებით უკმაყოფილოა მთავარი დაზარალებული ემა გოგოხია. სამართლის საძებნელად ჟურნალისტი დედაქალაქში ჩამოვიდა. იგი საკუთარი უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად აპირებს შინაგან საქმეთა სამინისტროში მისვლას და მინისტრის სახელზე განცხადების დაწერას.

**"ჩემთვის დღემდე უცნობია, რას იძიებს პროკურატურა. მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ მთავარ დაზარალებულად ვითვლები, დაკითხვაზე აქამდე არავის დავუბარებივარ. არადა, გენერალური ინსპექციისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში ვწერდი, რომ დამნაშავეების შესახებ კონკრეტულად გამოძიებას მოვახსენებდი.**

**როგორც შევიტყვე, ჩიქობავა თანამდებობიდან დაუთხოვიათ, მაგრამ არანაირი შეფასება არ მიუციათ ზუგდიდის პოლიციის უფროსის მოადგილის, ბეგლარ ფილიას ქმედებისთვის, რომელმაც იარაღი მომადო შუბლზე და მოკვლით დამემუქრა. სამაგიეროდ, "ოდიშზე" მომხდარი ინციდენტის შემდეგ ყოველდღე მირეკავენ სხვადასხვა პირები და მემუქრებიან. ადგილობრივ პოლიციას მივმართე, მაგრამ დამნაშავეებთან თავად არიან დაკავშირებულები და სწორედ მათი დავალებით მიკრძალავენ მუშაობას. ახლა ზუგდიდში რუსთაველის ქუჩაზე ნარკოტიკების გამყიდველი პოლიციელები გადავიღე, ეს პოლიციასაც გავაგებინე და მემუქრებიან - თუ კადრებს "60 წუთს" გადასცემ, შენს მოჭრილ თავს კანალიზაციაში იპოვნიანო",** - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას ემა გოგოხიამ.

# პოლიციელები კოლეგების მშობლებსაც არ ინდობენ

*"არავის ვაპატიებ შეურაცხყოფას. მათ მთელი ოჯახის თვალწინ მცემეს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ სამაგიერო გადავუხადო," – გვითხრა სატელეფონო საუბრისას ირაკლი ჭინჭარაულმა, რომელიც, მისივე მტკიცებით, სამართალდამცველების მსხვერპლი გახდა. აღნიშნული საუბრიდან მეორე დღეს ჭინჭარაულს უნდა შევხვედროდით, რათა პირადად მოეყოლა პოლიციელებთან მომხდარი ინციდენტის შესახებ, მაგრამ შეხვედრა არ შედგა.*

თამარ კაციტაძე

**"გლდანის ხევის გადასასვლელთან გამაჩერეს რეიდზე მდგომმა პოლიციელებმა. ჯერ სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენეს, შემდეგ კი ავტომატის კონდახით მცემეს. გთხოვთ, მომცეთ თანხმობა ექსპერტიზაზე გასავლელად და ამასთან, პოლიციელთა ქმედებას მისცეთ შესაბამისი შეფასება",**- რამდენიმე თვის წინ აღნიშნული განცხადებით ირაკლი ჭინჭარაულმა გლდანი-ნაძალადევის პროკურატურას მიმართა.

მეორე დღესვე ჭინჭარაულს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა. ექსპერტის მტკიცებით, დაზარალებულს მთელ სხეულზე აღენიშნება მრავლობითი ნაჭდევები, რომლებიც მიყენებული აქვს ბლაგვი საგნით. დაზიანება, საბოლოო შეფასებით, მსუბუქ ხარისხს განეკუთვნება.

ჭინჭარაულის საქმე, ექსპერტიზის დასკვნის მიღების შემდეგ, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში გადაიგზავნა.

გენერალური ინსპექციისთვის მიცემულ ჩვენებაში ირაკლი ჭინჭარაული წერდა: **"21 ივლისს საკუთარი ავტომობილი "ურალით" თიანეთის რაიონიდან ხის მასალა მომქონდა. თბილისში შემოსვლისთანავე უმიზეზოდ ორმა პოლიციელმა გამაჩერა. ერთი ლეიტენანტი იყო, მეორე კი - სერჟანტი. ვუმტკიცებდი, რომ დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ - უშედეგოდ. პოლიციელებმა მართვის მოწმობა ჩამომართვეს და ჯარიმა დამაკისრეს. 23 ივლისს კვლავ თიანეთიდან მოვდიოდი, უკან "გაზ-31"-ით ჩემი შვილი, ლევან ჭინჭარაული და ოჯახის სხვა წევრები მომყვებოდნენ. გლდანის ხევის გადასასვლელთან, ისევ რეიდზე გამაჩერეს. რამდენიმე პოლიციელში მაშინვე შევიცანი ის ლეიტენანტი და სერჟანტი, რომლებმაც ორი დღის წინ საბუთები წამართვეს. პოლიციელებმა ჩხუბი დამიწყეს. ამასობაში ჩემი შვილიც მოგვიახლოვადა და კამათში ისიც ჩაერია. სერჟანტი და ლეიტენანტი ფიზიკურ ჩხუბზე გადავიდნენ და ავტომატის კონდახით მცემეს".**

მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ მძღოლის მიერ დასახელებულ დღეს, გლდანის ხევთან, რეიდზე გასულები იყვნენ შინაგან საქმეთა სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის მეორე განყოფილების თანამშრომლები – ლეიტენანტი მიხეილ ქვათაძე და სერჟანტი დავით ბერინაშვილი.

ჩვენებისას პოლიციელებმა უარყვეს მძღოლის და მისი შვილის ცემის ფაქტი. **"ჩვენ კი არა, მაგათ მოგვაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. "კამაზი" გავაჩერეთ თუ არა, ჭინჭარაულმა ჩხუბი დაგვიწყო. ცოტა ხანში მისი შვილიც მოვიდა, მე პოლიციის თანამშრომელი ვარ და როგორ ბედავთ მამაჩემის გაჩერებასო. ამის შემდეგ მამა-შვილი მუშტი-კრივზე გადავიდა, "** – უმტკიცებდნენ უფროსებს სამართალდამცველები. მიუხედავად ამისა, შეკრებილი მასალებით გენერალურმა ინსპექციამ მიიჩნია, რომ პოლიციელებმა მართლაც გადაამეტეს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. გლდანი-ნაძალადევის პოლიციის მეორე განყოფილების რვა თანამშრომელს დისციპლინარული სასჯელები ჩამოურიგეს არა მძღოლის ცემის გამო, არამედ დანაშაულის დაფარვისთვის - გლდანელ პოლიციელებს არც ერთი ინციდენტი ოფიციალურად არ ჰქონდათ დაფიქსირებული.

ამით გენერალურმა ინსპექციამ მუშაობა დაასრულა და მოკვლეული მასალები შემდგომი გამოძიებისთვის პროკურატურას გადაუგზავნა. გლდანი-ნაძალადევის პროკურატურის გამომძიებლის დავით ხიზანიშვილის თქმით: **"საქმეში აშკარად შეიმჩნეოდა დანაშაულის ნიშნები და ამიტომ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა",** მაგრამ აღნიშნული საქმის გამოძიებას ართულებს მოკვლევის პროცესში გამოკვეთილი კიდევ ერთი დეტალი - დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციელები გენერალური ინსპექციისთვის მიცემულ ჩვენებებში ირწმუნებოდნენ: სწორედ იმ დროს, როდესაც ტრასაზე ჩვენსა და მძღოლის ოჯახის წევრებს შორის საქმის გარჩევა მიდიოდა, მოულოდნელად ავტომობილი "ოპელ ვექტრა" გაჩერდა, საიდანაც ოთხი პიროვნება გადმოვიდა და მამა-შვილს ცემა დაუწყო. სიტუაცია ვეღარ განვმუხტეთ და იძულებულები გავხდით, რომ ჰაერში გვესროლა. ავტომატის ხმაზე თავდამსხმელებმა ჭინჭარაულებს თავი დაანებეს, ჩასხდნენ მანქანაში და გაიქცნენ. მამა-შვილი კი სახლში დაბრუნდაო. სამართალდამცველები ჭინჭარაულის სხეულის დაზიანებას სწორედ ამ ფაქტით ხსნიან. გამომძიებლის განცხადებით, შემთხვევის ადგილზე "ოპელ-ვექტრას" გამოჩენას და ოთხ პიროვნებასთან ჩხუბის ფაქტს არც მამა-შვილი უარყოფს. მაგრამ ვინ იყვნენ ისინი, ვერც ერთი მხარე ვერ აზუსტებს.

ერთ-ერთი ვერსიით, ირაკლი ჭინჭარაულზე (იგი ადრე პოლიციაში, ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებაში მუშაობდა, ამჯერად კი კადრების განყოფილების დაქვემდებარებაშია) შური იძიეს მისი პოლიციური საქმიანობის გამო. თუმცა, მეორე მხრივ, ძნელი დასაჯერებელია, რომ სამართალდამცველების თანდასწრებით, ვინმეს კიდევ შეეძლო მოქალაქეებისთვის ფიზიკური შეურაცხყოფა.

ცხადია, ამ საქმის გამოძიების ობიექტურად წარმართვა ბევრ საეჭვო დეტალს ახდიდა ფარდას. მაგრამ, დღევანდელი მდგომარეობით თუ ვიმსჯელებთ, გამოძიება, შესაძლოა, არც დასრულდეს და ჭინჭარაულის საქმეც იმ საქმეების გვერდით აღმოჩნდეს, რომლებსაც თაროებზე სწორედ დაზარალებულთა დამსახურებით ედება მტვერი.

ამის თქმის უფლებას თავად დაზარალებული ოჯახის წევრებთან საუბარი გვაძლევს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სატელეფონო საუბრისას ირაკლი ჭინჭარაული შეხვედრაზე დაგვთანხმდა. შეხვედრის ადგილის შესათანხმებლად მეორე დღეს ჭინჭარაულს კვლავ დავუკავშირდით, მაგრამ მან ჩვენთან საუბარი აღარ ისურვა და ყურმილი შვილს, პოლიციის თანამშრომელს რამინ ჭინჭარაულს გადასცა: **"მამაჩემი თქვენ არ შეგხვდებათ, რადგან არ გვინდა, რომ ეს ამბავი გახმაურდეს. მე პოლიციელი ვარ, იქით ბევრი ჩემი ახლობელი და ნაცნობია და არ მინდა ჩემი გვარი გამოჩნდეს,"** – გვითხრა ჭინჭარაულის პოლიციელმა შვილმა.

ამ ეტაპზე მოვერიდებით დასკვნების გაკეთებას იმის თაობაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს სამართლის მაძიებელი მამის, პოლიციელი შვილისაგან ასეთი თავშეკავება. ფაქტი ერთია – ირაკლი ჭინჭარაულს განცხადება-საჩივარი პროკურატურიდან, ჯერჯერობით, არ გამოუტანია.

*უცხოეთი*

# კასპიისკის ტერაქტის ორი ორგანიზატორი დააკავეს

კვირას, დაღესტანში, კასპიისკის ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი ორი პიროვნება დააკავეს.

დაღესტნის შს სამინისტროს ოპერატიული შტაბის ცნობით, მურატ აბდურაზაკოვის (მეტსახელად - "აფხაზი მურატის") და სულეიმან ციმპაევის დაკავება დაღესტნის დაბა ხადჟალმახიში განხორციელდა. ორივე მათგანზე ფედერალური ძებნა იყო გამოცხადებული.

წელს, 9 მაისს, კასპიისკში განხორციელებულმა ტერაქტმა 45 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 100 დაიჭრა. ტერაქტის მთავარი სულისჩამდგმელი რაპანი ხალილოვი, იგივე ადამ დეკუშევი, საქართველოს სპეცსამსახურებმა დააკავეს დაბა ურეკში, სადაც იგი პანკისის ხეობიდან გაიტყუეს. დაკავებული ხალილოვი მაშინვე რუსეთის სამართალდამცველებს გადაეცათ. რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის ვლადიმირ კოლესნიკოვის თქმით, ხალილოვმა ჩეჩნეთიდან დაღესტანში გადაგზავნა დივერსანტ-ტერორისტების 18 კაციანი ჯგუფი, რომელსაც კაზიმ აბდურზაკოვი ხელმძღვანელობდა. ბოროტმოქმედებმა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი "მონ-90" შეიძინეს ბუინაკსკში დისლოცირებული მოტომსროლელი ბრიგადის ჯარისკაცებისგან. 7 ჯარისკაცი, შეიარაღების გაყიდვის ბრალდებით, დაპატიმრებულია და ისინი სასამართლოს წინაშე წარსდგებიან.

ტერაქტის სხვა შემსრულებელთა და ორგანიზატორთა ძებნა კი კვლავ გრძელდება.

# ახმედ ზაკაევს ბორის ბერეზოვსკი ეხმარება

გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ოთხშაბათს, კოპენჰაგენში დაკავებულმა ახმედ ზაკაევმა დანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა, სიმართლეს არ შეესაბამება. ამის თაობაზე ზაკაევის დანიელმა ადვოკატმა ტიუგე ტრირმა განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკურ თავშესაფარზე საუბარი მოგვიანებით დაიწყება და რუსეთ-ჩეჩნეთის კონფლიქტის არსებობა და ზაკაევის პოლიტიკური მოღვაწეობა სრულიად საკმარისი საფუძველი იქნება იმისათვის, რომ ნებისმიერმა ცივილიზებულმა ქვეყანამ მისი დაცვის ქვეშ მყოფის თხოვნა დააკმაყოფილოს. ტრირი არ აკონკრეტებს, რატომ მიაჩნია ნაადრევად ზაკაევისთვის პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნა. არ არის გამორიცხული, იგი რუსეთის გენპროკურატურიდან ისევ დოკუმენტების მიღებას ელოდეს. როგორც ცნობილია, დანიის იუსტიციის სამინისტრომ რუს სამართალდამცველებს უარი უთხრა ზაკაევის გადაცემაზე იმ მოტივით, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურიდან მიღებულ მასალებში მისი მონაწილეობა ტერორიზმში დასაბუთებული არ იყო. დანიის იუსტიციის მინისტრმა ლინ ესპერსენმა ერთი თვის ვადა მისცა რუს სამართალდამცველებს, რომ მათ ამ დროში უფრო ამომწურავი ინფორმაცია წარუდგინონ დანიელ კოლეგებს ზაკაევის ტერორისტობის შესახებ. "წინააღმდეგ შემთხვევაში მას გავათავისუფლებთ", - განაცხადა ესპერსენმა.

რუსეთში არც ისე პესიმისტურად უყურებენ ზაკაევის გადაცემის შესაძლებლობას. მაგალითად, რუსეთის დუმის დეპუტატის მიხაილ მარგელოვის აზრით, საქმის დადებითად გადაწყვეტის შანსი არსებობს. მარგელოვი თავის იმედებს დანიის იუსტიციის მინისტრის მოსკოვში მოსალოდნელ ვიზიტსა და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და გენპროკურატურის ეფექტურ მუშაობას უკავშირებს.

თუმცა, ამ იმედების ახდენას სერიოზული საფრთხე დაემუქრა ამჟამად რუსი სამართალდამცველების მიერ დევნილი ოლიგარქის ბორის ბერეზოვსკის მხრიდან. სამოქალაქო უფლებების ფონდმა, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ბერეზოვსკი გახლავთ, ახმედ ზაკაევი თავისი ადვოკატების მომსახურებით უზრუნველყო. საერთო აზრით, უმაღლესი კლასის ადვოკატები ადვილად შეძლებენ ზაკაევის ექსტრადირების პროცესის გაწელვას. თავად ბერეზოვსკიმ "ეხო მოსკვი"-სთვის მიცემულ ინტერვიუში დაუფარავად განაცხადა, რომ მისი ფონდის დახმარებითა და ფინანსური ხელშეწყობით შეიკრიბა ინგლისისა და ჰოლანდიის უძლიერეს ადვოკატთა ჯგუფი, რომელიც ზაკაევის უფლებების დაცვას უზრუნველყოფს. "მე დარწმუნებული ვარ, რომ მის წინააღმდეგ აღძრული საქმე შეთითხნილია",- ამბობს ბერეზოვსკი.

*მოკლედ*

**ქუთაისი.** ზესტაფონის რაიონში უბედური შემთხვევა მოხდა. სოფელ პირველ სვირში მცხოვრებმა, 12 წლის თამაზ ჭულუხაძემ მამის სანადირო თოფი შემთხვევით გაისროლა და საკუთარი და, 1980 წელს დაბადებული მედეა ჭულუხაძე სასიკვდილოდ დაჭრა.

დაზარალებული რაიონის ცენტრალურ საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ, რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ზესტაფონის პოლიციის მონაცემებით, სანადირო თოფი რეგისტრირებული იყო და დიდი ხანია, ოჯახში ინახებოდა.

მოკვლევას ზესტაფონის რაიონის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს. **"ინტერ-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.**. დიდი ოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე.

43 წლის ფახრად ისლამ-ოღლი გასანოვს აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 4 ე.წ. "ბაშად" დაფასოებული, 4,15 გრამი ჰეროინი.

გასანოვის დაკავების ოპერაცია დავით აღმაშენებლის გამზირზე ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურისა და დიდუბე-ჩუღურეთის შს სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა განახორციელეს.

გამოძიებას აწარმოებს საგამოძიებო დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამსახური. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** უახლოეს ორ-სამ კვირაში შესაძლებელი იქნება იმის თქმა, რომ პანკისის ხეობა თავისუფალია ტერორისტებისა და კრიმინალებისგან. ამის შესახებ ორშაბათის ბრიფინგზე განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

შევარდნაძემ უარყო იმის შესაძლებლობა, რომ თითქოს მძევლების აყვანის დროს ბარაევს კავშირი ჰქონდა აბონენტთან საქართველოში. ეს ინფორმაცია გაავრცელა რუსეთის ტელეარხმა "როსიამ".

"რუსეთის პრეზიდენტთან ბოლო სატელეფონო საუბრის დროს, რომელიც ტერორისტთა ლიკვიდაციის მომდევნო დღეს შედგა, პუტინს საქართველოს მისამართით ამგვარი ბრალდებების შესახებ არაფერი უთქვამს", - აღნიშნა შევარდნაძემ.

მისი თქმით, რუსეთის პრეზიდენტმა იგივე განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშთან საუბრის დროსაც, რომ საქართველო არ ირიცხება იმ ქვეყნების რიცხვში, რომელთაც ტერორისტთა ხელშემწყობად თვლიან. **"კავკას-პრესი".**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე თედო ჯაფარიძე, პრეზიდენტის განკარგულებით, მოსკოვს გაემგზავრა, რათა განიხილოს ორმხრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული აქტუალური პრობლემები, მათ შორის, აგვისტოში ქართველ მესაზღვრეთა მიერ დაკავებული 13 ჩეჩნიდან რუსეთისთვის რვის გადაცემის საკითხი.

როგორც ორშაბათის ბრიფინგზე ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, საქართველომ დაახლოებით ერთი თვის წინ 5 ჩეჩნის ექსტრადიცია უკვე მოახდინა, რაც შეეხება დანარჩენებს – მათთან დაკავშირებით სამართლებრივი ხასიათის პრობლემები გაჩნდა.

მან "არასრულყოფილი" უწოდა ჩეჩნების შესახებ რუსეთიდან მოწოდებულ მასალებს.

"გვარებიც კი ყოველთვის ზუსტად არ სახელდება", - თქვა ედუარდ შევარდნაძემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ადამიანთა უფლებების დაცვის ევროსასამართლომ, რომელიც სახელმწიფოებს შორის მსგავს საკითხებს არეგულირებს, საქართველოს "სერიოზული კითხვები" გამოუგზავნა, რასაც თბილისმა უნდა უპასუხოს. **"პრაიმ-ნიუსი".**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრი როლანდ გილიგაშვილი კატეგორიულად ითხოვს, რომ მისი სამინისტროს დაქვემდებარებაში დარჩეს სპეცსახსრები და მათი განკარგვის უფლება. მიუხედავად ამისა, იგი უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ სპეცსახსრების თემა გადაიზარდა სახელმწიფო მინისტრსა და ფინანსთა მინისტრს შორის პიროვნულ დაპირისპირებაში. "მე არასდროს დამიყენებია საკითხი ისე, როგორც ეს ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ გაავრცელა, თითქოს ვიმუქრები, რომ თანამდებობაზე ან მე უნდა დავრჩე, ან გოგიაშვილი და ჯორბენაძე", - აცხადებს გილიგაშვილი.**"24 საათი".**

■ ■ ■

**ანტიგუა.** ანტიგუას ხელისუფლება აცხადებს, რომ ხელთ აქვს უტყუარი დამადასტურებელი საბუთები იმისა, რომ ცოტა ხნის წინ დაკავებული "ვაშინგტონელი სნაიპერი", ჯონ ალან მუჰამედი აპირებდა გამოსასყიდის მისაღებად მათი პრემიერ-მინისტრის, ლესტერ ბერდის, გატაცებას. ყველა გარემოების გამოძიებამ ანალოგიურ დასკვნამდე მიიყვანა ამერიკის სპეცსამსახურებიც. როგორც ირკვევა, შეერთებულ შტატებში ჩასვლამდე მუჰამედი ერთი წელი ცხოვრობდა ანტიგუაში, ოღონდ მაშინ იგი ჯერ კიდევ ჯონ ალან უილიამსად იწოდებოდა.**"24 საათი".**

■ ■ ■

**ვაშინგტონი.** ამერიკის შეერთებულ შტატებში დასრულდა სასამართლო დავა იუსტიციის დეპარტამენტსა და კორპორაცია "მაიკროსოფტს" შორის. როგორც ცნობილია, სასამართლო ითხოვდა კორპორაციის ორ ნაწილად – საოპერაციო სისტემებისა და პროგრამული დანართების მწარმოებლად – გაყოფას. თუმცა, საბოლოოდ მხარეები კომპრომისულ გადაწყვეტილებამდე მივიდნენ. "მაიკროსოფტი" რჩება ერთიან სტრუქტურად, მაგრამ ვალდებულებას იღებს, კონკურენტებს მიაწოდოს ყველა აუცილებელი ტექნიკური ინფორმაცია იმისათვის, რომ მათი პროგრამები "მაიკროსოფტისას" შეესაბამებოდეს. **"24 საათი".**

■ ■ ■

**ჩიტა.** ჩიტის ოლქის სამართალდამცველებმა დააკავეს სკოლის მოსწავლე ორი გოგონა, რომლებმაც პირველკლასელი ბავშვი გაიტაცეს და მშობლებისგან გამოსასყიდს ითხოვდნენ. ჩიტის ოლქის გუბერნატორის თქმით, შემთხვევა ამ შაბათ-კვირას მოხდა. ორმა მერვეკლასელმა პატარა გოგონა გაიტაცა. მათ ტყვე ტყეში წაიყვანეს, გაკოჭეს და მიწაზე დაწვენილი დამალეს ჩამოყრილ ფოთლებში. მილიციამ მალევე მოახერხა შვიდი წლის მძევლის გათავისუფლება და მცირეწლოვან დამნაშავეთა დაკავება. **"24 საათი".**

# ვისაუბროთ სერიოზულ თემაზე: „მოდი, გავაკეთოთ რამე, მოდი, გავაკეთოთ ერთად"


ანდრო კანდელაკი


დავით ზურაბაშვილი


თამარ ჩხიკვაძე


თამარ ლებანიძე


ზაალ სამადაშვილი

ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გასულ კვირაში რამდენიმე მართლმადიდებლური ორგანიზაციის მიერ მოწყობილ აქციაზე სექსუალურ წარღვნაზე საუბრობდნენ და განათლების სამინისტრო ლამის ანათემას გადასცეს იმის გამო, რომ მან გამოფენა-გაყიდვაზე გამოიტანა წიგნი, რომლის მიზანიც, შემდგენელთა აზრით, მხოლოდ მოზარდი თაობის სექსუალური განათლება იყო.*
*"24 საათის" რედაქციაში სექსუალური განათლების პრობლემებზე საუბრობენ ექიმი-სექსოლოგი ანდრო კანდელაკი, ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიატრი დავით ზურაბაშვილი, მეორე გიმნაზიის ბიოლოგიის მასწავლებელი თამარ ჩხიკვაძე, მწერალი ზაალ სამადაშვილი და ზემოთნახსენები წიგნის ავტორი და გამომცემელი, ფსიქოლოგი თამარ ლებანიძე.*

დალი კუპრავა

**"24 საათი":** რეაქცია, რომელიც წიგნმა გამოიწვია, ხომ არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ სექსუალური განათლება არის პრობლემა, რომელსაც გადაჭრა სჭირდება?

**დავით ზურაბაშვილი:** ოთხი წლის წინ გამოცემულმა წიგნმა თუ დღეს გამოიწვია ხმაური, ეს ნიშნავს, რომ წიგნი ვიღაცამ წაიკითხა, საზოგადოება ამაზე დაფიქრდა და ამ თემაზე სასაუბროდ მომწიფდა. ეს კარგია. ასეა, ზოგი აქციას მოაწყობს, ზოგი წიგნს მოიწონებს, ზოგი ნაკლს აღმოუჩენს. კი ბატონო. რაც უფრო მეტს ვისაუბრებთ, მეტი საშუალება იქნება, რომ გამოვცეთ სხვა წიგნიც, უკეთესი. ცუდის თქმა ადვილია. საქმე ის არის, რა შეგვიძლია შევთავაზოთ უკეთესი.

**ანდრო კანდელაკი:** ექიმ-სექსოლოგთა ასოციაციამ, 1996 წელს გავაანალიზეთ ბოლო ათი წელი, 1986 წლიდან. იმ პერიოდიდან, როცა დაიწყო "პერესტროიკა" და, ასე თუ ისე, გაჩნდა ლიტერატურა, გადაცემები, წამოვიდა თაობა, რომლის საინფორმაციო ველი გაიშალა. შედეგი ასეთია: იმათ შორის, ვინც ჩვენ მოგვმართავდა, 38 პროცენტის აქტიურობა განპირობებული იყო სექსუალური გაუნათლებლობით. პაციენტის როლში ორგანულად სრულიად ჯანმრთელი ადამიანები იყვნენ. აღმოჩნდა, რომ სექსუალური გაუნათლებლობის დონე მაღალია, სექსუალური კულტურისა კი – დაბალი. მაგალითად, სერიოზულად არსებობს "ვირგოგამია", რაც ქალწულებრივ ქორწინებას ნიშნავს. წყვილი შეუღლდა და ქალი რჩება ქალწულად, ჩვენს მიერ აღრიცხული შემთხვევებიდან, მინიმუმ ექვსი თვე და მაქსიმუმ 13 წელიწადი(!). ეს წყვილის ურთიერთობის კონტექსტში ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებების უცოდინარობითაა გამოწვეული და დემოგრაფიული პრობლემაა.

თავდაპირველად სექსოლოგთა საზოგადოება ორიენტირებული იყო მკურნალობაზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მკურნალობა ბოლო ეტაპია. ამიტომ ფუნქციები ასე ჩამოყალიბდა: განათლება, კვლევა და მკურნალობა. პრაქტიკაში ორიენტირებული არა ვართ მხოლოდ სიმპტომზე, ორგანოზე - **სექსუალობა მხოლოდ ერექცია არ არის, ის უნდა ავიდეს პიროვნული ღირებულების დონეზე, რაც მხოლოდ განათლებას შეიძლება მოჰყვეს.**

**დავით ზურაბაშვილი:** მე ბოლო ხანებში სოციალური ფსიქიატრიის ასპექტში ვმუშაობ. იგულისხმება ის ურთიერთობა, რომელიც არსებობს მშობლებსა და შვილებს შორის და მათი ურთიერთობა გარემოსთან. პაციენტებს სექსოლოგიური პრობლემებით სპეციალისტებთან ვუშვებთ. სექსუალური განათლების პრობლემაზე რომ ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა განისაზღვროს, რომელ ასაკში რა დონის განათლება უნდა მივცეთ.

**თამარ ჩხიკვაძე:** ჩვენი საზოგადოება ამ თემაზე საუბარს ახლა იწყებს. თოთხმეტი წელია, სკოლაში ბიოლოგიას ვასწავლი და ყოველთვის, როცა გამრავლებას ვხსნი, ბავშვებისგან ერთსა და იმავე რეაქციას ვაწყდები: უხერხულად აწრიალდებიან, წითლდებიან, უკბილოდ ხუმრობენ. თუმცა, მთელი წლის განმავლობაში, ვიდრე სხვა თემებზე ვსაუბრობთ, მათი ინტერესი მიმართულია სახელმძღვანელოს ბოლოსკენ, სადაც თემა გამრავლებაა თავისი ილუსტრაციებით. ცოდვა გამხელილი სჯობს: ჩემი მასწავლებლობის პირველ წელიწადს მეც ვიგრძენი უხერხულობა და ბავშვებს ეს თავი დამოუკიდებლად წასაკითხად მივეცი. მე მოძღვარი მყავს და ეს საკითხი ეკლესიურად მაქვს გააზრებული, თუმცა, მოსწავლეებს ჩემს შეხედულებებს თავს არ ვახვევ, ვეუბნები, რომ სასქესო ორგანოები ჩვენი სხეულის ისეთივე ნაწილებია, როგორც ხელ-ფეხი. მათი ხსენებისას ხომ არ ვიცინით?!

რა თქმა უნდა, სექსუალური განათლება აუცილებელია, მაგრამ როდის, სად და რა ფორმით? ეს, მე მგონი, უფროსებსაც სჭირდებათ.

**ანდრო კანდელაკი:** გეთანხმებით. მშობელს ვერ შევეხებით, მაგრამ ყველა მასწავლებელს არცა აქვს უფლება, ბავშვს ამ თემაზე ესაუბროს. ზოგიერთი პედაგოგი უმაღლეს სკოლაში, როცა სტუდენტს ბილეთში "გენიტალიების აგებულება" აქვს, ეუბნება, რომ სხვა საკითხზე გადავიდეს. აი, თქვენ შეძელით, გადაგელახათ უხერხულობა, გეყოთ რესურსი, მაგრამ ზოგიერთი ამას ვერ ახერხებს. გარდა ამისა, არსებობს ე.წ. სხეულის ენა-მიმიკა, სახის ფერი, მოძრაობა. ბავშვი გრძნობს ამას და თუ არ გესმის, რას და რისთვის აკეთებ, შეიძლება ამ ყველაფერმა საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვიოს. არაერთი შემთხვევა მქონია, როცა უფროსების ამ საკითხში ჩარევა ტრაგიკული აღმოჩნდა.

ერთ-ერთ სკოლაში, გაუნათლებლობის მიზეზით, დრამატული შედეგი მივიღეთ - ოთხი ოჯახი ერთმანეთს საქმეს ურჩევდა. დამრიგებელს სასპორტო დარბაზში დაუნახავს ოთხი ბიჭი, რომლებიც ტაიჭზე ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ. ატეხა ერთი ამბავი, "ეს ის იყოო". ჩაერია დირექტორი, დაიწყო გარკვევა, ვინ იყო აქტიური, ვინ - პასიური... ეს არის ჭაბუკური ბუნებრივი ჰომოსექსუალური ლატენტური თამაშები. როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, დირექტორმა მთხოვა, იქნებ მობრძანდეთ და წაგვიკითხოთ რამე, რომ გავნათლდეთო. ასეთი მზაობაც კარგია, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ მოზარდების თანდასწრებით ხდებოდა.

შედარებაც არ შეიძლება დღევანდელ ეროტიკულ ინფორმაციულ ველსა და ადრინდელს შორის. ჩემს დროს ჟურნალ "სპორტოვეცის" გარეკანზე მხატვრული ტანმოვარჯიშის ფოტო, ნახტომში, ყველაზე დიდი ეროტიკა იყო. დღეს კომპიუტერმა ეროტიკული წყარო ისე გააღრმავა... ვირტუალურმა სექსმა ლამის გამოდევნოს პრაქტიკული და, თქვენ წარმოიდგინეთ, პარტნიორიც: ის, ვისაც უნდა, გამოიძახებს და "შეერწყმის". წარმოიდგინეთ, მასტურბაციაც, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია სექსუალობის სოციალიზაციისთვის, აღარ არის.

**ზაალ სამადაშვილი:** საინტერესოა, რასაც ვისმენ, მაგრამ აქცენტს გავაკეთებ იმაზე, თუ როგორ უნდა "განვანათლოთ", ანუ ფორმაზე. ნებისმიერ ტექსტს, რისი მოყოლაც გინდა, თავისი ფორმა სჭირდება. როგორ მოვუყვეთ, რომ ამოცანა შესრულდეს და ზემოქმედება მოვახდინოთ. ძალიან კარგი მწერლები უნდა ახორციელებდნენ ამ ამოცანას. სკოლაში კი, რა გითხრათ, დეფიციტია იმ ადამიანებისა, რომლებსაც "გადამდებად" საუბარი შეუძლიათ. განა ბევრია ისეთი პედაგოგი, რომელიც ამას შეძლებს? ბანალურია, მაგრამ რამდენი შესანიშნავი ლიტერატურული ტექსტი ჩვენ სკოლაში შეგვაძულეს...

**ანდრო კანდელაკი**: მე მგონი, ბავშვები აღარ კითხულობენ. მაგალითად, როცა სტუდენტებთან ოიდიპოსის კომპლექსზე ვსაუბრობ, ვხვდები, რომ დიდ ნაწილს თეატრალურ დონეზეც კი არა აქვს ინფორმაცია, არამცთუ ლიტერატურულად და, იძულებული ვარ, დაიჯესტი მივაწოდო. ძალიან მცირეა ის ნაწილი, რომელიც საუბრის დროს ხვდება და იჭერს.

**თამარ ლებანიძე:** ბავშვის წიგნთან მიყვანა მაინც შეიძლება. ჩვენ ავტორიტეტები ვახსენეთ... მე ვიცი კარგი უცხოელი მწერალი, რომელიც მოზარდებისთვის წერდა წყვილში -ავტორიტეტულ ფიგურებთან, როკმუსიკოსებთან, სპორტსმენებთან ერთად. ის ეძებს საინტერესო ბიოგრაფიებს, უკავშირდება ამ ხალხს და მათთან შეთანხმებით წერს, თუმცა, რეალური ავტორი თვითონ არის. მე მაინც ვფიქრობ, რომ წიგნი საუკეთესო მედიატორია. ოთხი წლის წინ ჩვენს წიგნს ახლდა კითხვარი ბავშვებისთვის, რათა გაგვერკვია, მიაღწია თუ არა მიზანს. მივიღეთ ბევრი ბარათი, მათ შორის, რეგიონებიდანაც და მივხვდით, რომ შრომა წყალში არ ჩაგვეყარა. ასეთი წიგნი საჭიროა. მაგრამ პრობლემას ისევ უფროსები ქმნიან, ისინი, ვინც ცდილობს, საკუთარი შეხედულება ბავშვს თავს მოახვიოს და გასაქანს არ აძლევს.

**თამარ ჩხიკვაძე:** ჩემთვის სექსი და სიყვარული განუყრელია და მართლმადიდებლობაც ამას ქადაგებს. მაგრამ დღეს სხვა ვითარებაა და სხვა ფასეულობების დამკვიდრებაზეა საუბარი. თუნდაც, მოდად ქცეული შეფასება "რა სექსუალურად გამოიყურები", რომელსაც მოზარდებიც და მოზრდილებიც უაპელაციოდ იყენებენ, თანაც, დადებით კონტექსტში. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი გავაშიშვლოთ, დავტოვოთ რამე ამოსახსნელადაც, მაგრამ ვესაუბროთ.

**ზაალ სამადაშვილი:** ლიტერატურაც იმისთვისაა მოწოდებული, რომ სწორი დამოკიდებულება შექმნას. ბეკი ტატჩერს, ლამაზი, ბაფთიანი, ტომის რომ კოცნის... ეს ფანტასტიკურია, თუმცა, სექსზე არ არის საუბარი, მაგრამ აბა, სხვა რა იგულისხმება, თუ არა სიყვარული. დიდი ლიტერატურა ზრდის პატარა გოგონებს და ბიჭებს. იმ დიდ მწერლებს მოძებნილი ჰქონდათ მიმოხვრის ის ფორმა, რასაც ჩვენ განათლებას ვეძახით, იმიტომ, რომ განათლება სინათლეს ნიშნავს, სულში სინათლეს. მე ვამბობ "განათლება" და არა "ინფორმაცია".

**თამარ ლებანიძე:** მთავარია, მოზარდის ფსიქიკაში არ დაწყვილდეს ცნებები: სექსი და ცუდი. ეს ბევრ პრობლემას უქმნის პიროვნების განვითარებას. სექსი ძალიან ინტიმურია, მაგრამ სხვა ინტიმური თემებიც არსებობს: რელიგია, სიკვდილი...

მაგრამ, რაკი ეს სარისკო თემაა და შეიცავს საფრთხეს ჯანმრთელობისთვის, ამიტომ არის მძაფრი და საჭიროა მისი მოგვარება. განათლება სრულიად აუცილებელია.

**დავით ზურაბაშვილი:** ბანალურ შეკითხვას - "როგორ გავჩნდი" - მშობელი ფაქიზად უნდა მოეკიდოს. სასაცილოა, დღეს ბავშვმა დაიჯეროს, რომ კომბოსტოში იჯდა, ან წერომ მოიყვანა მშობლებთან. მე ასეთი მიდგომა მიმაჩნია სწორად: ბავშვს ავუხსნათ - უფალმა ღმერთმა მოგვცა შენი თავი, რადგან ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი.

**ანდრო კანდელაკი:** საერთოდ, სექსუალური განათლება ძალიან საფრთხილო თემაა და მისი ლოკალურად გადაჭრა შეუძლებელია. ის ტოტალურ მიდგომას მოითხოვს. წიგნები კარგია, მაგრამ თუ ვერ შევძლებთ, ამ საკითხს სახელმწიფოებრივად მივუდგეთ, ცალ-ცალკე არაფერი იმუშავებს.

ამას წინათ ერთმა პაციენტმა, რომელიც ბიზნესშია, მადლიერების ნიშნად, ჩვენი ორგანიზაციისთვის თანხის გადმორიცხვა შემოგვთავაზა. სიხარულით დავთანხმდით და გავუმზადეთ საბუთები. წაიღო და კარგა ხანს აღარ გამოჩნდა. დავურეკე და ამბავი ვკითხე. იცით, რა მითხრა? ბუღალტერს ეს საბუთი როგორ მივცე, აქ "სექსოლოგთა ასოციაცია" წერია, იქნებ დასახელება შეცვალოთო(!) ეს კაცი საზოგადოებაში ავტორიტეტით სარგებლობს. აი, კიდევ, მამა, რომელიც ზრუნავს შვილზე და, მის "გასანათლებლად", მეგობარს სთხოვს, ქალებში წაიყვანოს. ისიც მზადაა, დაეხმაროს. მიჰყავს საუნაში, ფულს უხდის ქალბატონს, რომელიც შორსაა გეიშას ან ჰეტერას მდგომარეობიდან და, გამარჯვებული მოზარდის მოლოდინში, მამა-შვილი ბიჭის დაკაცებას აღნიშნავენ. იქ კი სრული ფიასკოა, რომელსაც მამა ბერძნული ტრაგედიის დონეზე განიცდის. თუმცა, შვილი სრულიად ჯანმრთელია, სრულიად სალი რეაქცია ჰქონდა: მან ვერ შეძლო, აქტი ინსტინქტის დონეზე დაეყვანა, რადგან ეს ქალი მისთვის უცხო აღმოჩნდა. ასეთია დღეს ჩვენი საზოგადოების დამოკიდებულებისა და განათლების ხარისხი...

**დავით ზურაბაშვილი:** ძალიან მნიშვნელოვანია ქუჩა, ორი ასპექტით: როგორც მოზარდთა განათლების წყარო და როგორც საზოგადოებისგან ალალბედზე მიშვებული. დღეს ქუჩის ბავშვები ნაკლებად გვხვდება თვალში. ვგულისხმობ, რომ ჩვენს თვალს კი აღიზიანებენ, მაგრამ იმდენად არა, რომ ამაზე სერიოზულად დავფიქრდეთ. იქმნება ქუჩის ბავშვების არმია. მათ უკვე დანაწილებული აქვთ ქალაქი საკუთარი ბიზნესისთვის, აქვთ თავისი კანონები. "ქუჩის კარიერის გენერლები" და "მიწისქვეშეთის ბავშვები" უკვე ქალაქის რეალობაა. როცა ეს გამოჩნდება, იმხელა არმია იქნება, რომ მასთან ბრძოლა, პრაქტიკულად, შეუძლებელი იქნება. რა უნდა გაკეთდეს? ეს სოციუმის საქმეცაა და სახელმწიფო სტრუქტურებისაც. მაგალითად, უბნის ინსპექტორის ინსტიტუტი ურიგო არ იყო, მაგრამ ინსპექტორი უნდა იყოს პროფესიონალი და არა პოლიციელი, ბანალური გაგებით. მას უნდა ჰქონდეს ურთიერთობა სექსოლოგებთან, ფსიქოლოგებთან, ფსიქიატრებთან და სოციალურ სამსახურებთან.

**ზაალ სამადაშვილი:** მე, შესაძლოა, ძალიან ვამუქებ, მაგრამ ქუჩის სუბკულტურა საშინელ პერსპექტივას მიმანიშნებს - ყმაწვილები, რომლებმაც "წითელი ბრიგადები" შექმნეს, საიდანაც მოვიდნენ მოტოციკლებით და ავტომატებით დაუშინეს, მათი აზრით, ბურჟუებს. გაიზრდებიან წითელი ბრიგადელები, გაიკრავენ ზურგზე ავტომატებს და, რა გარანტია გვაქვს, რომ გვერდიგვერდ ცხოვრებას შევძლებთ? ან იქნებ, არ მივუშვათ საქმე იქამდე. აი, რა საშიშროება ემუქრება საზოგადოებას.

**დავით ზურაბაშვილი:** ტერორიზმი აზროვნების სახეა. ჩვენი გაგებით, ტერორისტი არის ადამიანი, ვინც აიღო ყუმბარა, შეაგდო და ააფეთქა, მაგრამ რატომ გადადგა ეს ნაბიჯი, ამაზე ნაკლებად ვფიქრობთ. ეს ხანგრძლივი პროცესია. ტერორისტებად იზრდებიან და ჩვენ, ქვეყნისათვის, ასეთი ბავშვები ხომ არ ვზრდით?!

**ანდრო კანდელაკი:** სექსუალური განათლების პრობლემა არც ერთ ქვეყანაში სრულად არ არის გადაჭრილი, მაგრამ ჩვენთან მხოლოდ ახლა იწყება საუბარი...

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დეფინიცია ასეთია: **სექსუალური ჯანმრთელობა არის ბაზისური ადამიანური უფლება, რომელიც გულისხმობს თავისუფლებას შიშისგან, სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობისგან, სხვა ნეგატიური ფსიქოლოგიური ფაქტორებისგან. იგი არის გზა პოზიტიური გამდიდრებისკენ, რომელიც ზრდის პიროვნული თვითღირებულების განცდას და შობს სიყვარულს.**



www.24hours.ge
24 B

## კულტურა

### თბილისის ახალი კინოთეატრი კინომოყვარულებს ელის

ხუთშაბათს ამ მოვლენას ვიწრო წრე აღნიშნავს, პარასკევს კი განახლებული კინოთეატრი "ელისო" პირველ მაყურებელს ელის.

B2

### აკა მორჩილაძე რუსულ-ქართული ურთიერთობების შესახებ

ბოლოჯერ მოსკოვში ორი წლის წინათ, გავლით მოვხვდი. გავლით მოვხვდი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ორი დღით ვიყავი ერთი გაუთავებელი სამწერლობო მოგზაურობის დროშის ქვეშ. მანამდე დიდებულ ქალაქებში დაგვატარებდნენ და მოსკოვიც ჩვენს გზაზე იყო, თავის ასევე სამწერლობო შეხვედრებით.

B2

## განათლება

### მითი და რეალობა გერმანიაში სწავლის შესახებ

*მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ნაქებ გერმანულ საგანმანათლებლო სისტემას (რომელზედაც გერმანიის მთავრობა წელიწადში 78.67 მილიარდ ევროზე მეტს ხარჯავს) ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, საქართველოს მოქალაქეთათვის იგი მაინც რჩება განსაკუთრებულ ქვეყნად ორი ერთმანეთისგან გამომდინარე მიზეზის გამო: ამ ქვეყანაში ერთობ მაღალგანვითარებული სოციალური პირობებია, თანაც, იქაურ საგანმანათლებლო სასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოს ეკუთვნის და მათში სწავლა უფასოა.*

B4

### უფრთხილდით ქართველ „სტუდენტებს"!

ყველას არ ვგულისხმობ, ოდესღაც ჩემი დიდი მეგობრებიც სწავლობდნენ გერმანიაში. ოღონდ ისინი სწავლობდნენ, თან კარგად - ხალხი ჭრელია. ახლა მხოლოდ ყველაზე წაქცეული ხალხის შესახებ მოვახსენებ გერმანიაში სასწავლებლად წასვლის მსურველს: ინფორმირებული შეიარაღებულიაო...

B5

## სპორტი

### ახალი რეკორდი ევროპაში

გასულ უქმეებზე ერთი უნიკალური რეკორდი დამყარდა. შვეიცარიის ჩემპიონატში "ვილმა" 11:3 მოუგო "სენტ გალენს". ეს შვეიცარიის ახალი რეკორდია. წინა მიღწევა დაფიქსირდა 1962 წელს, როცა ჟენევის "სერვეტმა" "გრენჰენი" გაანადგურა - 11:2. აღსანიშნავია, რომ "ვილი" უძლიერესთა შორის წლეულს გადავიდა და პირველივე სეზონში ახალი რეკორდი დაამყარა. ამ მოგებით გუნდმა სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურზე გადაინაცვლა, მაგრამ ეს სულაც არ იყო ევროპის სტადიონებზე მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

B7

### ზვიადაურმა გრანპრი მოიგო

შარშან მოსკოვში, გრანპრის სახით, ძიუდოს ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. საჭიდაო სახეობები შეჯიბრებების სიუხვით არ გამოირჩევა. შეიძლება ითქვას, რომ, გრანპრის დაარსებით, მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა.
ყოველ შემთხვევაში, ძიუდომ ამისკენ ნაბიჯი გადადგა.
წლეულს კი რიგით მეორე გრანპრი გაიმართა.
მასში, ისევე როგორც შარშან, ქართველი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.

B7

### ბურგუნდიას „დათვები„ შეესივნენ

წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას ევროპის რეგიონთა თასზე ბათუმის "დათვები". გუშინწინ აჭარის რეგიონის სახელით მოასპარეზე გუნდმა გათამაშების მერვედფინალში საფრანგეთის ბურგუნდიის პროვინციის ნაკრები დაამარცხა - 13:9.

B7

## დღის პერსონა


ვანო ზოდელავა

მაია ჭალაგანიძე

*მიხეილ სააკაშვილი უკვე იყო კანონმდებელიც და აღმასრულებელიც. ახლა მას დიდი სახლმმართველობის ხელმძღვანელობა და, ძირითადად, მოსახლეობის ყველაზე გაჭირვებული ფენისთვის ყველაზე ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად მოუწევს შრომა. იქნებ, ფიზიკურიც...*
*ეს მისთვის ახალი ამპლუაა და, ალბათ, აქაც ისტორიაში ჩასაწერ ნაბიჯებს გადადგამს. თუ ეს ასე იქნება, საკრებულო სულ მალე ერთ-ერთ პოპულარულ (და, იმედია, არა პოპულისტურ) ორგანოდ მოგვევლინება. ხუთთვიანი გარღვევა დასრულდა. საინტერესოა, როგორ იმუშავებენ ერთად კორუფციასთან მებრძოლი ნაციონალისტი სააკაშვილი და ლეიბორისტი ჟვანია, კორუმპირებულობაში არაერთხელ დადანაშაულებულ, ენერგიულ ქალაქის თავთან. ეს საკითხი დღეს ბევრს სერიოზულად აინტერესებს, ბევრისთვის კი საქილიკო თემად ქცეულა. მიშა სააკაშვილი კორუფციასთან შეგუებას არ აპირებს და აცხადებს, რომ კანონიერი ბერკეტებით შეებრძოლება ქალაქში არსებულ ყველა უკანონობას, მათ შორის, მუნიციპალურ სტრუქტურებში მოკალათებულ კანონდამრღვევებს. ჭორებსა და ბრალდებებს შეჩვეული ვანო ზოდელავა კი თავმდაბლად ამბობს, რომ ახალ საკრებულოშიც გამოიძებნებიან ადამიანები, ვისაც დედაქალაქისთვის სიკეთის მოტანა შეუძლია.*


მიხეილ სააკაშვილი

# მე ჩემი პროგნოზები მაქვს - ამბობს ქალაქის თავი ახალ საკრებულოზე

**- საკრებულოში საკმაოდ ძლიერი ოპოზიციური ჯგუფი შეიკრიბა. როგორ აპირებთ მათთან თანამშრომლობას?**

- ვინც თბილისისთვის სასიკეთოდ იმუშავებს, ყველასთან სათანამშრომლოდ მზად ვარ.

**- მიუხედავად იმისა, რომ ამ საკრებულოში თქვენთან აშკარად დაპირისპირებული პარტიები და პიროვნებები არიან?**

- ყველას შეიძლება დაუპირისპირდე, მაგრამ, იმედია, საღი აზრი გაიმარჯვებს. თავად ნახავენ, რა ბიუჯეტია, რა საკითხები წყდება და რისი გაკეთება შეეძლო ქალაქის მერიას. ალბათ, საღი აზრი გაიმარჯვებს...

**- როგორ შეხვდნენ რაიონის გამგებლები, არქიტექტურული და სხვა მუნიციპალური სამსახურები საკრებულოს თავმჯდომარედ მიხეილ სააკაშვილის არჩევას?**

- მიშას ყველა იცნობს.

**- ამიტომაცაა საინტერესო.**

- არ მქონია იმის დრო, რომ ჩემს სამსახურებთან ამ საკითხზე გვემსჯელა. ვინც კარგად ვერ შეხვდება საკრებულოს, იმისი საქმე ცუდად იქნება.

**- თქვენ "მოქალაქეთა კავშირი" და ავთანდილ ჯორბენაძე აშკარად გადანაშაულებდნენ იმაში, რომ მათი პარტია არჩევნებში დამარცხდა... როგორ გგონიათ, მთლიანად ქალაქის მუნიციპალიტეტს ხომ არ ემუქრება მოქალაქეთა კავშირის ოპოზიციურ ორგანოდ ჩამოყალიბება?**

- ჯერ ერთი, ჯორბენაძისგან დადანაშაულება არ გამიგია. მეორეც, რა ბერკეტი გვაქვს?! ვიყავი რიგითი "მოქალაქე", რომელმაც მხოლოდ 4 დღით ადრე დაიწყო თავისი უფლება-მოვალეობების შესრულება (გახსოვთ, სასამართლოები მიმდინარეობდა). 4 დღეში ყველაფერს ვერ შეძლებდა "მოქალაქეთა კავშირი." წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა... საერთოდ, ეს რთული თემაა. ჩემს გარდა, ყველას შეგიძლიათ დაუსვათ ეს შეკითხვა და გადააბრალოთ "მოქკავშირის" მარცხი. გამარჯვებაც კი არ იქნებოდა მერიის დამსახურება, არათუ მარცხი. მერიას არავითარი წვლილი არ მიუძღვის, ეს აბსურდია.

**- ხუთი თვე საკრებულოს გარეშე იმუშავეთ. საქმეს აუდიოდით, თუ გიჭირდათ რიგი საკითხების გადაჭრა, მაგალითად, ბიუჯეტის განაწილება?**

- ჯერ ერთი, საკრებულო წელიწადში ერთხელ ამტკიცებს ბიუჯეტს. ჩვენ ძველი საკრებულოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტით ვმუშაობდით და ახალი ბიუჯეტის განხილვა ახლა არ უწევდა. დღის წესრიგში იყო ბევრი პრობლემა, რაც საკრებულოს უნდა განეხილა. მაგალითად, უკანონო მშენებლობები, გარე ვაჭრობასთან ბრძოლა, პარკირება... ამ საკითხებში საკანონმდებლო ვაკუუმია. ბევრი საკითხი რჩებოდა ღიად, რადგან საკრებულოს გარეშე არ გვქონდა მათი გადაწყვეტის უფლება.

**- დღევანდელი საკრებულოს თავმჯდომარე უკანონო მშენებლობებს თავისებური ფორმით ებრძოდა. თუ მან ეს გააგრძელა, რა პოზიციას დაიკავებთ?**

- ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ ქვეყანას და კანონმა უნდა იკანონოს. იურისპრუდენციამ თავისი სიტყვა უნდა თქვას და სასამართლოს წესით უნდა გადაწყდეს ყველა დავა. რაც მთავარია, პარლამენტმა უნდა შეიმუშაოს ისეთი ბერკეტები, როგორიც ადრე იყო. ადრე უკანონო მშენებლობა სისხლის სამართლის კანონებით ისჯებოდა. დიდი ხანია, ეს საკითხი პარლამენტში მაქვს დაყენებული.

**- პირველი მოწვევის საკრებულოშიც ოპოზიციური ძალები მოვიდნენ უმრავლესობით, მაგრამ სურათი მალე შეიცვალა და საკრებულო, ერთი შეხედვით, ბუტაფორულ ორგანოდ იქცა. რა იყო მაშინ ამის მიზეზი და იგივე ხომ არ მოხდება ამ საკრებულოშიც?**

- წინა საკრებულოშიც ბევრი ღირსეული პიროვნება მოვიდა, ის, ვინც მართლა კაცურად იღვაწა დედაქალაქის საკეთილდღეოდ. დარწმუნებული ვარ, ასევე იქნება ამ საკრებულოშიც. თუმცა, ეს რთული თემაა. საკრებულო კანონმდებელი არ არის, კანონმდებელია პარლამენტი, რომელიც ნორმატივებს გვიმტკიცებს და, გულითაც რომ გინდოდეს, ვერაფერს გააკეთებ. როგორ უნდა ვმართოთ შემოსავლები და დანახარჯი, როცა ზღვარს ზემდგომი გიწესებს. საგადასახადო რომ არ გეყოლება, საბაჟო და არც ერთი მაკონტროლებელი ორგანო რომ არ დაგექვემდებარება, ძალიან ძნელია. ამაზე გაუთავებლად ვლაპარაკობ მას შემდეგ, რაც ქალაქის მერი ვარ.

**- მაინც როგორ გგონიათ, პირველი საკრებულოს მსგავსად, აქაც მალე ხომ არ შეიცვლება ძალთა განლაგება?**

- დრო გვიჩვენებს. მე ჩემი პროგნოზები მაქვს, მაგრამ დღეს ყველაფერს ვერ ვიტყვი.

**- განსაკუთრებით რომელ ძალას დაეყრდნობით? არიან ამ საკრებულოში თქვენი მეგობრები?**

- ძირძველი თბილისელი ვარ და, როგორ ფიქრობთ, არ მეყოლება?

**- ზოგჯერ მეგობრები მტრებად იქცევიან...**

- ჰო, ვისაც ჩააცმევ, ის გაგხდის ხოლმე.

**- გამოცდილი გაქვთ, ალბათ...**

- რა თქმა უნდა.

**- ამ საკრებულოშიც ხომ არ არიან თქვენს მიერ შემოსილები?**

- არა. აქ ბევრი ახალი სახეა. სხვათა შორის, ახალ საკრებულოში, წინა საკრებულოსაგან განსხვავებით, ბევრი პოლიტიკოსია.

**- ამ საკრებულოს უფრო ოპტიმისტურად ხომ არ უყურებთ?**

- მინდა, წინა საკრებულოსაც მადლობა გადავუხადო. ამ საკრებულოშიც, დარწმუნებული ვარ, ბევრი ისეთი საკითხი გადაწყდება, რაც ქალაქის მოსახლეობას წაადგება.

# მიხეილ სააკაშვილი: მერიის ყველა კორუმპირებულ ჩინოვნიკს დავუპირისპირდები

**- ზოდელავამ მოგილოცათ საკრებულოს თავმჯდომარედ არჩევა?**

- ვერ მიპოვა და ვერ მომილოცა. მართალი გითხრათ, არც ვიცი, მეძებდა თუ არა... ტელეფონით გია შერაძემ და უამრავმა სხვა ადამიანმა მომილოცა.

**- იმთავითვე რატომ არ მოიხსენით პარლამენტის დეპუტატის უფლებამოსილება?**

- უფლებამოსილების მოხსნაზე მე განცხადება დავწერე. პარლამენტმა ხვალაც და კიდევ ექვსი თვე შეიძლება არ მომიხსნას უფლებამოსილება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ რამეს ვარღვევ. მე ჩემი ვალი მოვიხადე. მოხსნა უკვე პარლამენტის პრობლემაა. კონსტიტუციაში არ წერია, რომ პარლამენტის წევრი არ შეიძლება იყოს საკრებულოს წევრი. საარჩევნო კანონი ორგანული კანონია. იქ კი წერია, რომ საკრებულოს წევრობის კანდიდატს შეუძლია, უფლებამოსილება მოიხსნას არჩევნებამდე ორი დღით ადრე (ე.ი. 30 მაისს), ან საკრებულოს პირველსავე სხდომაზე დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ. დღის წესრიგი კი თავმჯდომარის არჩევის შემდეგ მტკიცდება. ჩემი იუსტიციის მინისტრობის დროს ექვსი თვე მქონდა შეუთავსებლობა, მაგრამ საკითხი არავის დაუყენებია. ასლან აბაშიძეს 4 წელი ჰქონდა შეუთავსებლობა... ეს ამ პარლამენტში მუდმივი პროცესია.

**- რამდენად კანონიერად მოიქცნენ შენგელაია, თევდორაძე და ბარამიძე, როცა კენჭისყრაში მიიღეს მონაწილეობა?**

- მათ თავისი ვალდებულება მოიხადეს და დაიცვეს კანონის უკლებლივ ყველა ნორმა. მათ შეეძლოთ, იქ ყოფილიყვნენ და ხმა არ მოეცათ, მაგრამ ისინი მოიქცნენ ისე, როგორც ავალდებულებდათ კანონი. სხვათა შორის, გიორგი თარგამაძეც იქ იყო და დებატებში მონაწილეობას იღებდა, მაგრამ მის შეუთავსებლობაზე არავინ საუბრობს.

ცალკე მინდა აღვნიშნო რეზო შავიშვილის საქციელი. რაც მან გააკეთა, ეს თანამედროვე პოლიტიკაში ცივილური პრინციპების დანერგვას ნიშნავს. შავიშვილი მოვიდა, ხმა მოგვცა, თქვა, რომ მან სხვა პარტია შექმნა და "ნაციონალური მოძრაობის" სახელით საკრებულოში ყოფნის უფლება არ ჰქონდა. შემდეგ კი უფლებამოსილება მოიხსნა. შავიშვილს, შეიძლება, ბევრად მეტი უფლება ჰქონდა ჩვენი სიით დასწრების, ვიდრე საკრებულოს ნებისმიერ სხვა წევრს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანი ყველაზე სასურველი პარტნიორი იქნება ჩვენთვის.

**- "სოციალისტების" სარჩელის დასაკმაყოფილებლად სასამართლოს სამი დღის ვადა აქვს. ამიტომ ხომ არ გადაიტანეთ საკრებულოს შემდეგი სხდომა ერთი კვირით?**

- შეგნებულად არ მივეცით "სოციალისტებს" საკრებულოს პირველი სხდომის ჩაშლის საშუალება. "ახალმა მემარჯვენეებმა" დაინახეს, რომ გაჩეჩილაძე ვერ გადიოდა და სხდომა დატოვეს. თუ ახლა სასამართლო საკრებულოს მუშაობას შეაჩერებს, ამაზე უკეთეს საჩუქარს შევარდნაძე ქართულ რევოლუციას ვერ გაუკეთებს.

**- როგორ აპირებთ ქალაქის მერთან მუშაობას?**

- არ ვაპირებ ზოდელავასთან თანამშრომლობას, ეს არ არის სწორი ფორმა. ჩვენ ყველასთან ვიმუშავებთ, ოღონდ ვიმუშავებთ ჩვენი მიზნების განსახორციელებლად. სხვათა შორის, შევარდნაძესთანაც ვიმუშავებთ. ჩვენი მიზანი შევარდნაძესთან მიმართებაში ბატონი ნათელაშვილის უკვდავი ფორმულით გამოიხატება - "შევარდნაძის რეჟიმის დემონტაჟი", ან უფრო სახალხოდ და ქართულად - "თბილისი შევარდნაძის გარეშე". მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და "ლეიბორისტები" ბევრი რამით განვსხვავდებით, გვაქვს ერთობლივი პლატფორმა, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენ ამ დღეებში დავსხდებით და ჩამოვყალიბდებით. მინდა ვთქვა, რომ ბატონ ნათელაშვილს, მერიის ყველა კორუმპირებულ იერარქიასთან დაპირისპირებაში, წინასწარ აღუთქვი სრული მხარდაჭერა.

**- თქვენ შეხება გექნებათ ძალზე კონკრეტულ პრობლემებთან: წყალი, გაზი, ნაგავი და ა.შ. როგორ აპირებთ ამის მოგვარებას?**

- პირველ რიგში, მინდა ვთქვა, რომ ჩვენი ხალხის ყიდვა შეუძლებელია, ამაში დარწმუნებული ვარ. ნაციონალურ მოძრაობას თავისი შვიდი კომისია ჰყავს, მათ შორის, საქალაქო მეურნეობისაც, რომელიც, ორი თვეა, ძალზე ინტენსიურად მუშაობს კონკრეტულ პროექტებზე, განსაკუთრებით – უკანონო მშენებლობებზე, წყალმომარაგებაზე, ენერგეტიკაზე... ეს საინტერესო, ინტელიგენტი ხალხია და მათ გამოშვებას ვაპირებთ წინა ხაზზე. ჩვენ უკვე მზად გვაქვს პროექტები, რომელიც განხორციელებადია.

**- უკანონო მშენებლობებთან ბრძოლის არცთუ კანონიერი ფორმა გქონდათ არჩეული. ახლა, როცა საკრებულოს თავმჯდომარე ხართ, იგივეს გააგრძელებთ, თუ სხვა ბერკეტებს გამოძებნით?**

- დღეს ავედით მამადავითზე და მივხვდი, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საკრებულოს მუშაობა. იქ ისეთი მშენებლობებია გაჩაღებული, რომ სამ-ოთხ თვეში მამადავითი არსაიდან აღარ გამოჩნდება. ჩვენ მივიღებთ ზონირების ახალ წესებს და ყველა ასეთ მშენებლობას, უბრალოდ, ავკრძალავთ.

**- უკვე უკანონოდ პრივატიზებულ მიწებთან დაკავშირებით რა ზომების მიღებას აპირებთ?**

- უკვე უკანონოდ გაყიდულ მიწებზე ხეს არ მოვაჭრევინებთ და სახლს არ ავაშენებინებთ.

**- ძიძიძგურს ამ ერთ კვირაში უკვე მეორედ უთხრეს უარი რეგისტრაციაში გატარებაზე...**

- ჩვენ სასამართლოში ვიჩივლებთ. დღეს იყო არგუმენტები, რომ ის ხიდებს აფეთქებდა და ა.შ. სინამდვილეში, ეს იყო ხელისუფლების იაფფასიანი შურისძიება იმის გამო, რაც საკრებულოში მოხდა.

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4-B5 განათლება | B6 განცხადებები | B7 სპორტი | B8 სხვადასხვა

აკა მორჩილაძის სვეტი

# ბოლო ყოფნაზე



ბოლოჯერ მოსკოვში ორი წლის წინათ, გავლით მოვხვდი. გავლით მოვხვდი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ორი დღით ვიყავი ერთი გაუთავებელი სამწერლობო მოგზაურობის დროშის ქვეშ. მანამდე დიდებულ ქალაქებში დაგვატარებდნენ და მოსკოვიც ჩვენს გზაზე იყო, თავის ასევე სამწერლობო შეხვედრებით.

რაღა დაგიმალოთ და მოსკოვში ყოფნა სულაც არ მინდოდა, მაგრამ ამ მოგზაურობის კონტრაქტი გულისხმობდა, რომ ორი დღით უნდა გავჩერებულიყავით და უხერხული იყო რამეების წამოწყება, აი, აქ არ მინდა და იქ მინდათქო. ისე არ მინდოდა, რომ ერთი რჯულზეც გამოვთვერი იქ ჩასვლამდე. იქაურ გაზეთებში მაინც ასე დასწერეს, მწერალთა ერთობა კი არა, სპორტული იერის ლოთები გვეწვივნენო.

მოგვათავსეს სწორედ იქ, სადაც "მიმინოს" გმირები ცხოვრობენ და გავცქეროდი ფანჯრიდან პირდაპირ კრემლს. სართულის მორიგეს თეთრი ხალათი ეცვა, ვითომ ექთანი ყოფილიყოს. ისე, კარგი ბებო იყო, ყველაფერს მიგასწავლიდა, სამწერლობო სემინარები და დისკუსიები იმართებოდა, ბოლოს კიდევ ლუჟკოვი დაგპატიჟებთო. ცხადია, ყველაფერი გავაცდინე, და ვიფიქრე, ამ ორ დღეს სასტუმროს ჰოლში გავატარებ-მეთქი. სასტუმროს ფოიეში სათამაშო ავტომატები დაედგათ და იქ პოკერის თამაშში გამყავდა დრო. კარგი ბიჭებიც გავიცანი: სამსახურივით ჰქონდათ - დილით მოვიდოდნენ და რომ იცოდეთ, შეღამებულზე მოგებით მიდიოდნენ. ერთ ორ დღეს რომ გავჩერებულიყავი, მეც მასწავლიდნენ როგორ უნდა მომეგო. ის პირველი დღე ამგვარ დროის კვლასა და რუსული გაზეთების კითხვაში გავატარე, მეორე დილით კი ვიფიქრე, მოდი ამ წითელ მოედანზე მაინც გავივლი მეთქი. იქ რომ ისტორიული მუზეუმია, ის ადრეც მიყვარდა.

გადავედი მოედანზე, მივედი მუზეუმში და ვიყიდე უცხოელის ბილეთი. ცალ-ცალკე იყო, რუსისა და უცხოელისა. მიზნობრივი გამოფენა იყო, ნიკოლოზ პირველის დროის საგნები, სამოსი და თოფ იარაღი. თვითონ ამ ნიკოლოზის მუნდირებიც იყო, პატარა კაცი ყოფილა, თუ ვიწროდ კერავდნენ არ ვიცი. დიდი მამაცობის კაცი იყო, დიდი გამტანობის, მაგრამ გონება-ჭკუით რუსის პოლკოვნიკს ვერ გასცდებოდაო. მე მაშინ ისე დავატყვე, რომ მოდაში იყო, ლენინგრადშიც უდგას აქამდე სადღაც შენახული ძეგლი. ზედა სართულში სტალინის კიტელი იყო, მაგრამ მაინც ნიკოლოზაზე ვთქვათ. ერთხელ იუნკრების დასათვალიერებლად მისულა და იქაურ გენერალს ერთი მოწაფე გამოურჩევია, აი, ყველაზე ნიჭიერიო და ჭკვიანიო. ამპირატურს (რუსგლეხურად ასე ითქმის) კი მიუგია, მე ჭკვიანები არა მჭირდება, მორჩილები მჭირდებაო. ახ, რა პოემებს უწერდნენ, პეტრე პირველი გაგვიცოცხლდა და ტახტზე გვყავსო. ასეთ კაცზე ვოცნებობდითო და რას აღარ ამბობდნენ. რა პეტრე იყო, კარგად გამოჩნდა. ძაღლს ძაღლური სიკვდილიო, წვიმაში დაგდებულ მოკლულ ლერმონტოვზე ეთქვა. თბილისში ეტლი გადაუბრუნდა ახლა რო ლაგუნა ვერეა სადღაც იქ და გადარჩა. მოკლედ, ჩემის ვიწრო გაგებით, დავტყე, რომ მოდაში შემოჰყავდათ. ლენინგრადშიაც ტყუილა არ დაუდგამდნენ ცხენიან ძეგლს. მგონი მისი ძეგლი იყო, რა ვიცი. სხვას ვის დაუდგამდნენ, მაგის მეტს. დღესაც მაგისი რუსეთია, ნიკოლოზა, რომელიც თითქმის პეტრეა და ის პეტრეც, რო გითხრათ. . .

კარგი, ეს მუზეუმი პატიოსნად დავათვალიერე და გამოვბოდიალდი გარეთ. გამოვყე წითელ მოედანსა, გავხედე ლენინსა, კედლის საფლავებსა და მოვადექი აქეთ "ლობნოე მესტოს." ეს ადრევე მქონდა ნანახი და გამეგონა, რომ დამნაშავეებს აქა სჭრიდნენ თავს. ესაც არ ვიცი წესიერად, მაგრამ, რუსებში მომწონს "რუსკი ბუნტ" და ამ "ლობნოე მესტოსკენაც" იმიტომ გამიწია გულმა, რო ვფიქრობდი, ეგება ემელკა პუგაჩოვი აქ დაკლეს მეთქი. ემელკაზე რამეები წამიკითხავს და წარმოვიდგინე, ნეტავ თუ მართლა აქ იყო ის ამბავი-თქო.

მივედი და დავდექი. ხალხი უტრიალებს, ინდუსებიც, სხვათა შორის. მოვიდა ხნიერი რუსი, კარგი სათვალით, ჭაღარა თმით, "ლაკოსტას" მწვანე მაიკით. კაი, კულტურული კაცი, ტანდაბალი, მაგრამ ასე ვთქვათ და ინტელიგენტი. მოიყვანა სამი -ოთხი წლის გოგო, კრასავიცა შვილიშვილი და ათვალიერებინებს. არც არის დიდი სათვალიერებელი, ოდნავ რომ თვალი დავხუჭოთ, კარგად ნაშენი მომრგვალებული ყორეა და ეუბნება, ეს ხნიერი კაცი შვილიშვილს, აი, ლობნოე მესტოოო. ეგ რა არის, ბავშვს, ცხადია, აინტერესებს. რა არისო და სიტყვსიტყვით ასე უთხრა: ვოტ პაიმაემ შამილია ბასაევა, ი კაზნიმ ივო ტუტ ვსემ მირომო.

შამილა ხომ გაგიგიათ? და იმაზე თქვენი აზრიც გექნებათ. მაგრამ ეგებ ამ ბაბუაზეც გექნეთ აზრი, სამი ოთხი–წლის სასაეირნოდ გამოყვანილ შვილიშვილს რომ ზრდის. კი არ უთხრა, აქ ძველ დროში დამნაშავეებს სჯიდნენო. არა, აი, აქ მოვჭრით თავს ჩვენი ხალხის მტრებსაო. ყველა ერთად მოვჭრითო, მე და შენო, ჩვენო, დედაწულიანადო.

კიდეც არიან ჩუმად, თორემ ემელკამ კი თქვა, ბახალა დამიჭირეთ, თორემ ყვავი ცაშიაო. ის ყვავი მე იქ ვერ ვნახე, ნიკოლოზას მუნდირები კი იცოცხლე.

მე კიდე წამოვედი და დავჯექი ავტომატებთან, პოკერის სათამაშოდ. შორიახლოს გოგო იჯდა, მკლავზე დაკლაკნილი ხვლიკი ეხატა. ზუსტად ისე იყო, როგორც ძველ ფილმშია. ა ტამ ჟენშჩინა კურილაო.

შებნელებულზე წამოვედით, ბელარუსსკი ვაგზლიდან. მგონი ეგ ვაგზალი იყო. პერონზე რომ მარქსის და ლენინის ბიუსტები დგას.

აღარ ვიცი, კიდევ როდის მოვხვდები იქა, არ მირჩევენ, წვერულვაში გაქსო.

# კულტურული დივერსია

## საქართველო-რუსეთის "კულტურული" ოფიციოზის პატრონყმური ურთიერთობების ფონზე

*მოსკოვში, ალბათ, საქართველოზე მორიგ გამარჯვებას ზეიმობენ. ამჯერად რუსულმა შოუ-ბიზნესმა აჯობა ქართულს: "ნორდ-ოსტის" გახმაურებული მოვლენების შემდეგ ჯორჯ ბენსონის ორივე მოსკოვური კონცერტი უცვლელი რჩება, ამერიკელი მუსიკოსის აღმოსავლური ტურნე კი, "მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის" გამო, თბილისის გარეშე დაიწყება. ბენსონს საქართველოში ჩამოსვლა ქართველმა ბიზნესმენმა არ ურჩია.*

ვერა ნეფარიძე



ჯორჯ ბენსონი

ინფორმაცია, რომ ბენსონი თბილისში ვეღარ ჩამოდიოდა, ჯერ კიდევ გუშინწინ საღამოს გახმაურდა. მოსკოვში მომხდარი ტერაქტების გამო, ბენსონის ჩამოსვლასთან დაკავშირებული ეჭვის მიუხედავად, ეს ინფორმაცია ქართული მუსიკალურ-კულტურული საზოგადოებისთვის მოულოდნელი იყო. კონცერტის ორგანიზატორი "ისთერნ პრომოუშენი" შეეცადა, საზოგადოება სიტუაციაში გაერკვია – კომპანიის გუშინდელი პრეს-კონფერენციის მიზეზიც ეს იყო. თუმცა, სხვადასხვა დამადასტურებელი მტკიცებულებების მიუხედავად, სამწუხაროდ, ყველაფერი მაინც ცოტა ბუნდოვანია.

ხშირ შემთხვევაში, რამდენადაც პოლიტიკა მოკლებულია კულტურას, იმდენადაა კულტურა პოლიტიზირებული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ამის ყველაზე არგუმენტირებული მაგალითია. მარტო ამ გაზაფხულიდან მოყოლებული, რუსეთის ძალოვანებისა და ოფიციალური წარმომადგენლების საქართველოსადმი ყოველ მუქარას ქართველი "კულტურული" მოღვაწეების მხრიდან რუსეთისადმი კეთილგანწყობილი ჟესტები მოჰყვა. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში სამი ფესტივალი მიეძღვნა ქართულ-რუსულ ურთიერთობებს; გაიმართა სხვადასხვა კულტურულ-შემოქმედებითი საღამოები მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, რომ ამ ორ ერსა და ქვეყანას შორის ყველაფერი რიგზეა, რომ ძალიან გვიყვარს ერთმანეთი და ა.შ. რეალურად კი, ჩვენი მეზობლები დივერსიას ახალი ეფექტით, კულტურის სფეროდანაც ცდიან – ყოველ შემთხვევაში ასეთი, საკმაოდ არგუმენტირებული სურათი დაიხატა გუშინდელ პრეს-კონფერენციაზე.

"სამწუხაროდ, ეს ინციდენტი სცდება ორ კერძო კომპანიას შორის ურთიერთობას და ქვეყნებს შორის ურთიერთობების რანგშია აყვანილი", - თქვა მომხდარის კომენტირებისას "ისთერნ პრომოუშენის" გენერალურმა დირექტორმა, მიშა გიორგაძემ. ასეთი დასკვნის საფუძველს მას, როგორც ჩანს, ის დოკუმენტაცია აძლევს, რომელიც გუშინვე მასმედიის წარმომადგენლებს გაგვაცნო. ყველაფერი შემდეგი თანმიმდევრობით წარმოგვიდგინეს - როგორც ცნობილია, ექვს ნოემბერს ფილარმონიის კონცერტით ჯორჯ ბენსონი იწყებდა აღმოსავლურ ტურნეს, რომელიც რვა დეკემბერს ავსტრალიაში დასრულდება (სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინათ "24 საათი" წერდა ინტერნეტით გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომელიც აღმოსავლეთში ბენსონის კონცერტების ჩაშლის შესახებ იტყობინებოდა). თბილისის შემდეგ, შვიდ და რვა ნოემბერს, დაგეგმილი იყო ბენსონისა და მისი ჯგუფის კონცერტები მოსკოვში: მსხვილი ევროპული სავაჭრო ცენტრის "კროკუს სითის" გახსნაზე და კრემლის დარბაზში. მოსკოვში მომხდარი ტერაქტის მიუხედავად, ამერიკელ მუსიკოსს არცერთ პროექტზე არ უთქვამს უარი, ბენსონის სააგენტო სრულ სამზადისში იყო და ფრანკფურტში გააგზავნეს კიდეც საკუთარი აპარატურა; ორ ნოემბერს კი თბილისში ბენსონის ტექნიკურ პერსონალს ელოდნენ. პირველ ნოემბერს მიშა გიორგაძე იღებს ელექტრონული ფოსტით ბობ ზივერსის, ჯორჯ ბენსონის პირადი აგენტის წერილს. მანამდე "ისთერნ პრომოუშენის" სახელზე კრემლის კონცერტის ორგანიზატორებისგან მოდის წერილი, რომლითაც ისინი ქართველ კოლეგებს აუწყებენ თბილისის კონცერტის ჩაშლის შესახებ და თან ურთავენ ბობ ზივერსის მათდამი გაგზავნილ წერილს. როგორც ირკვევა, ბენსონის სააგენტოს წარმომადგენლობას აქტიური წერილობითი კავშირები ჰქონდა ბენსონის მოსკოვური კონცერტების ორგანიზატორებთან. ერთ-ერთი ასეთი მიმოწერისას "კროკუს სითის" ოფიციალურმა წარმომადგენელმა აშშ-ში, ვინმე აიკმა, იგივე ირაკლი კავილაძემ ბობ ზივერსი გააფრთხილა. **"ახლახან შევიტყვე აიკისგან, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური პრობლემებია, რამაც, შესაძლოა, ხელი შეუშალოს თბილისიდან მოსკოვში ჩაფრენას. აიკი მატყობინებს – რუსეთის მთავრობა საქართველოს არცერთ რეისს მოსკოვში დაფრენის უფლებას არ აძლევს; იგი ამბობს: ერთადერთი სანდო რწმუნებულება, რომ თბილისის რეისი მოსკოვში დაფრინდება, მიღებული უნდა იქნეს რუსეთის მთავრობისგან. იგი გვირჩევს, რომ თუ ამ რწმუნებულებას ვერ მივიღებთ, შეთანხმების ვადა გავაუქმოთ. სასწრაფოდ მჭირდება შენი კომენტარები ამასთან დაკავშირებით და მინდა ვიცოდე, შეგიძლია თუ არა, რომ ოფიციალური მოსკოვისგან თანხმობის მიღებაში დაგვეხმარო",** - წერს ბობ ზივერსი კრემლის კონცერტის ორგანიზატორს, ნადია სალავიოვას. გასათვალისწინებელია, რომ ეს ყველაფერი ხდება კვირის ბოლოს, მუსიკოსების თბილისში გამოფრენამდე ერთი დღით ადრე და ამერიკელებს სიტუაციაში გასარკვევად საჭირო დრო თითქმის აღარ რჩებათ, მითუმეტეს, არც რუსი ორგანიზატორები იწუხებენ თავს დახმარებით: "დღის ბოლოა და, სამწუხაროდ, ვერაფერში დაგეხმარებით", - ასეთი იყო სალავიოვას პასუხი, რომელიც მან ბენსონის აგენტს მისწერა.

მას შემდეგ, რაც ამერიკელები ვერ იღებენ სათანადო პასუხს რუსი პარტნიორებისგან, "ისთერნ პრომოუშენში" მიშა გიორგაძის სახელზე მოდის ბობ ზივერსის წერილი, სადაც კონსულტაციებისა და რეკომენდაციების, თუნდაც ვინმე აიკის მიწოდებული ინფორმაციის გადამოწმების ნაცვლად, იგი კომპანიის წარმომადგენლებს "სინანულის გრძნობით" აცნობებს თბილისის კონცერტის გადადების შესახებ. "მსოფლიო პოლიტიკური კლიმატი დღეს ისეთია, რომ ამჟამად ამ რეგიონში მოგზაურობა დაკავშირებულია დიდ რისკთან. გვირჩიეს, რომ ეს რისკი არ გაგვეწია", - წერს ბობ ზივერსი და იქვე სთხოვს კომპანიას, კონცერტი ივლისში გადაიტანონ.

წერილების მიღებისთანავე, კომპანიასთან ერთად, საქმეში ჩაერთნენ ოფიციალური სტრუქტურები თუ პირები (აშშ-ს საელჩო საქართველოში, ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი; საქართველოს უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი თედო ჯაფარიძე); გაიგზავნა ოფიციალური მიმართვები ბენსონის სააგენტოს სახელზე; როგორც "ისთერნ პრომოუშენში" ამბობენ, ამ ყველაფერს ერთადერთი შედეგი ჰქონდა – ამერიკელები დარწმუნდნენ, რომ მათი თბილისში ჩამოსვლა არანაირ რისკს არ უკავშირდება, მოსკოვში ჩაფრენასაც არ სჭირდება რუსეთის ხელისუფლებისგან განსაკუთრებული ნებართვა, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლა უკვე გვიან იყო...

ცხადია, უპასუხოდ რჩება ლოგიკური შეკითხვა - რატომ იქონია ამხელა მნიშვნელობა ვინმე ირაკლი კავილაძის რჩევამ? ამას გუშინ ერთადერთი პასუხი გაეცა – მხოლოდ იმიტომ, რომ "კროკუს სითი" ბენსონის სააგენტოს პარტნიორია. "ისთერნ პრომუშენის" წარმომადგენლები სიტუაციაში ვერც ირაკლი კავილაძესთან სატელეფონო საუბრის შემდეგ გაერკვნენ. "თავიდან მისალმებისთანავე მკითხა, რა პრობლემებია თქვენთან თვითმფრინავებთან დაკავშირებითო? ჩემი პირადი ელექტრონული ბარათის წაკითხვის შემდეგ კი ყველაფერი უარყო", - გვითხრა მიშა გიორგაძემ.

გაურკვეველია ისიც, ვინ აუნაზღაურებს "ისთერნ პრომოუშენს" ზარალს. რამდენიმე დღეში კომპანია უკან ჩაიბარებს გაყიდულ ბილეთებს. ვისგან მოითხოვენ, სასამართლოს ძალით, მორალური და ფინანსური ზარალის ანაზღაურებას კომპანიის წარმომადგენლები? ამ თემაზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა.

# კვლავ „ელისო"

## თბილისის ახალი კინოთეატრი კინომოყვარულებს ელის

*ხუთშაბათს ამ მოვლენას ვიწრო წრე აღნიშნავს, პარასკევს კი განახლებული კინოთეატრი "ელისო" პირველ მაყურებელს ელის.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

სწორედ "ელისო" ერქვა თბილისელებისთვის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ დარბაზს. სახელწოდება "კომკავშირელი" საბჭოეთის ხანის გადმონაშთია. ამ შემთხვევაში ელისო არც დირექტორის ცოლის და არც არქიტექტორის ქალიშვილის სახელი არაა, კინოთეატრს ასე პირველი სრულმეტრაჟიანი ქართული ფილმის, ნიკოლოზ შენგელაიას "ელისოს" პატივსაცემად ჰქვია.

უკანასკნელმა ათწლეულმა, ისედაც არცთუ საუცხოო მდგომარეობაში შემონახული დარბაზი, საბოლოოდ გააჩანაგა. ბოლოს მეც ასეთად მახსოვდა, რაღაც უცნაური, ნახევრადპორნოგრაფიული რეპერტუარით და დამამშვიდებელი წარწერით, დარბაზი თბებაო.

ამჟამად ყველაფერი გარემონტებულია და ძალიან ლამაზი: უახლესი ტექნიკით აღჭურვილი კინოდარბაზი, სადაც რბილი სავარძლები დგას; ბარი, რომელშიც ჩამოჯდომა და ყავის დალევაც შეიძლება; თანამედროვე ინტერიერი, კინომსახიობთა პორტრეტებით დამშვენებული კედლები. ბატონმა დავით მარმა, "ელისოს" დირექტორმა, ღიმილით მითხრა, "ილუზიონივით" გამოგვივიდა, სულ ჩვენი თაობის მსახიობთა პორტრეტებიაო, მაგრამ ამასაც ხომ თავის ხიბლი აქვს!

ისევე, როგორც სხვა თბილისურ კინოთეატრებში, აქაც ქართულ ენაზე დუბლირებული ფილმების ნახვას შევძლებთ. თუმცა, განსხვავებები მაინც არსებობს.

პირველ რიგში – მართალია, ამ პუნქტზე კინოთეატრის მესვეურები ყურადღებას მაინცდამაინც არ ამახვილებენ - ფილმის ნახვა "ელისოში" შედარებით იაფი სიამოვნებაა, რაც




კინოთეატრი "ელისო"

ალბათ მისი მუდმივი მაყურებლის რაოდენობას გაზრდის და არამარტო აღმაშენებლის გამზირის მიდამოში მცხოვრებ, არამედ მთელი ქალაქის კინომოყვარულებსაც მიიზიდავს. გარდა ამისა, - ეს, ცხადია, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, - "ელისოს" ე.წ. "არტ-ჰაუზის" სპეციალიზაცია ექნება. ეს პუნქტი ალბათ განსაკუთრებულ ახსნა-განმარტებას მოითხოვს, ყოველ შემთხვევაში, პირადად მე ეს აშკარად დამჭირდა.

საქმე ის გახლავთ, რომ დღის სეანსებზე, რომლებიც 1, 3, 5 და 7 საათზე იწყება, "ელისოში" ისეთსავე ფილმებს აჩვენებენ, როგორსაც თბილისის სხვა კინოთეატრებშიც ნახავთ. ამ რეპერტუარში საბავშვო ფილმებიც შედის. ხოლო რაც 9 და 11 საათიან სეანსებს შეეხება, კინომოყვარულებს საავტორო, ე.წ. "კარგი ფილმების" ნახვის შესაძლებლობა ექნებათ. ეს, ძირითადად, არაკომერციული ფილმებია, მაგალითად, ალმადოვარის, გაი რიჩის და სხვათა შემოქმედება. უფრო დასაკონკრეტებლად ბ-ნმა დავით მარმა ფილმი "ამელი" მოიყვანა მაგალითად. მისი თქმით, "ელისოს" ეს სპეციალიზაცია, "არტ-ჰაუზი", ერთგვარი შუალედური შრე იქნება მასობრივ კინოსა და იმ ფილმებს შორის, რომელთაც, ვთქვათ, "ფსიქოში" გვთავაზობენ. გარდა ამისა, ფილმის გაშვების ერთ-ერთი პირობა ისიცაა, რომ სურათი ახალია, ანუ რეტროსპექტივებს "ელისოში" ადგილი არ ექნება.

მაშ, ვეწვიოთ "ელისოს". ოფიციალურ გახსნის დღეს, პარასკევს, ორი სხვადასხვა სურათის ნახვას შევძლებთ - "გზა არაფრისკენ" და "ჰოლივუდური დასასრული". იმედია, ვისიამოვნებთ. და საერთოდ, იმედია, თბილისში "კინოში სიარულის კულტურა" აღდგება. ვნახოთ.

კალენდარი

## 5 ნოემბერი



"მე არ ვარ კინო-ვარსკვლავი, მე მსახიობი ვარ. ვარსკვლავობა საშინლად ყალბ ცხოვრებას ნიშნავს, ცხოვრებას ვარსკვლავობისთვის ყალბი ღირებულებებით. მსახიობები კი უფრო დიდ ხანს რჩებიან. მათთვის ყოველთვის მოიძებნება შესანიშნავი როლი," – ასე ფიქრობდა ქალი, რომელიც, გრეტა გარბოსა და მერლინ დიტრიხთან ერთად, სილამაზის ეტალონი სიცოცხლეშივე გახდა. თუმცა, ვივიენ ლი თავის ბრწყინვალე გარეგნობას საუკეთესო სახასიათო როლების შექმნისთვის იყენებდა და არად დაგიდევდათ კომპლიმენტებს, რომლებიც მხოლოდ მის გარეგნულ მშვენებას შეეხებოდა.

თამაში მისი ბედისწერა შვიდი წლის ასაკიდან გახდა. სანამ ხელოვნების სამეფო აკადემიაში სწავლას დაასრულებდა და პირველ კინო-როლს მოიპოვებდა, დაქორწინდა და ქალიშვილი გააჩინა. პირველი წარმატება სასცენო როლმა მოუტანა. სპექტაკლზე ის ალექსანდრ კორდამ აღმოაჩინა და კონტრაქტიც გაუფორმა. ასე ითამაშა პირველად ლორენს ოლივიესთან ერთად ფილმში Fire Over England და ასე დაიწყო მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი სიყვარულის ისტორია...

"ქარწაღებულნი" ლიმ 1936 წელს წაიკითხა და მაშინვე მოუნდა, სკარლეტ ო`ჰარას ხასიათს მისი როლის განსახიერებით ჩაწვდომოდა. მიზანს მიაღწია და ბრწყინვალედ შესრულებული როლისთვის კინო-აკადემიის ჯილდოც მოიპოვა. ამ ქალზე ვივიენ ლი ამბობდა: "მგონი, მაქვს ერთი თვისება, რაც სკარლეტისგან განმასხვავებს. ეს იუმორის გრძნობაა. და იმედი მაქვს, მას აქვს ერთი თვისება, რომელიც მე არასდროს მქონია – ეს ეგოიზმია"... შემდეგ იყო უკვე გახმაურებული ნამუშევრები – "ვატერლოოს ხიდი", "ლედი ჰამილტონი" და მეორე "ოსკარი" ფილმისთვის A Streetcar Named Desire.

მეოცე საუკუნის კლასიკური კინოს მშვენება, საოცარი ბიოგრაფიის მქონე მსახიობი-ქალი, **ვივიენ ლი** 1913 წლის 5 ნოემბერს დაიბადა. ის 53 წლის ასაკში, 1967 წლის 7 ივლისს, ტუბერკულოზით გარდაიცვალა. მეორე დღეს, მსოფლიო პრესის ყველაზე მნიშვნელოვანი სათაური ასე ჟღერდა: "ვივიენ ლი მკვდარი იპოვეს"...

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევასაც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

## პროფტექნიკუმიდან პროფკავშირამდე

### "არაფორმალური განათლება" საქართველოსა და გერმანიაში

*თუ, შემთხვევით, მაღაზიაში საყიდლებზე წასვლას გადაწყვეტთ, მზად უნდა იყოთ იმისთვის, რომ გამყიდველი არამც და არამც არ გაგიღიმებთ. თუ პედიკიურის ოსტატთან მიხვალთ, წინასწარ უნდა იცოდეთ - პანარიციუმის მკურნალობა ბევრად ძვირი დაგიჯდებათ, ხოლო, სამკურნალოდ მისულს, არ გაგიკვირდეთ, თუ ექთანი, სანამ ნემსის წვერს მიზანში მოახვედრებს, ჯერ თქვენს სხეულზე წაივარჯიშებს. სამწუხაროდ, ეს ტიპური ქართული მოვლენაა, რასაც, როგორც წესი, ცხოვრების არანორმალურ პირობებს და გაფუჭებულ ნერვებს ვაბრალებთ.*

მარიკა ერქომაიშვილი

ძნელი წარმოსადგენია, რომ რომელიმე ქართველს, თუკი საზღვარგარეთ წასვლის შანსი მიეცა, იქ დრო ხელობის შესწავლასა და პროფესიული განათლების მიღებაში დაეხარჯოს. საქართველოში პროფტექნიკური სასწავლებლები დღემდე განათლების ერთ-ერთ ყველაზე არაპრესტიჟულ სექტორს წარმოადგენს, მაშინ, როდესაც, გერმანიაში, სადაც უმაღლესი განათლება უფასოა, თუ სტატისტიკას დავუჯერებთ, ახალგაზრდობის 70% სკოლის დამთავრებისთანავე ამგვარ დაწესებულებებში აგრძელებს სწავლას. ინტერესი, მართლაც, გასაოცრად დიდია და ამას, როგორც ჩანს, არაერთი ფაქტორი განაპირობებს. ოსტატების აღზრდით დაინტერესებულია არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ საწარმოც და ამიტომ შესაბამის სტრუქტურებში ისინი არცთუ უმნიშვნელო თანხებს აბანდებენ. სხვა მხრივ, ამას ხელს უწყობს პროფესიული სწავლების ე.წ. "დუალური სისტემა". მოსწავლე კვირაში მხოლოდ ორ დღეს ატარებს სასწავლებელში, ხოლო დანარჩენს - ევროპული სტანდარტებით აღჭურვილ საწარმოსა თუ სახელოსნოში, რადგან პრაქტიკული მეცადინეობა პრიორიტეტულია. შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც ორი მხარე კისრულობს - საწარმო და პროფსასწავლებელი. ამგვარად, ახალგაზრდა, სწავლის დამთავრების შემდეგ, შესაბამის პროფესიასთან ერთად, საკმაოდ პრესტიჟულ დიპლომს ან სერტიფიკატს, შესაბამისად კი, სამუშაო ადგილს იღებს.

თუ ამ ნაბიჯს მაინც გადადგამთ და მოინდომებთ, ხელობას თქვენც ევროპაში, ტექნიკურად სათანადოდ აღჭურვილ გარემოში დაეუფლოთ, იმისთვისაც უნდა შეემზადოთ, რომ, შესაძლოა, სამშობლოში ევროპული სერტიფიკატის გამოყენება, უბრალოდ, გაგიჭირდეთ, ან, სულაც, ვერ მოახერხოთ. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ტექნიკურ-მატერიალური ბაზა მოიკოჭლებს. საქართველოს კონსტიტუციაში ჩადებული ერთი მუხლის მიხედვით, "უცხო ქვეყანაში გაცემულ დაწყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს საქართველოში გაცემულ სერტიფიკატთან ეკვივალენტობის დადგენა და აღიარება" ესაჭიროება (II, 7, 2, დ). არადა, ვისაც გარდამავალ პერიოდში გვიხდება ცხოვრება, ხშირად იძულებულნი ვართ, გადავდოთ დიპლომი და ახალი პროფესიისა თუ ხელობის დაუფლებაზე ვიზრუნოთ. იმისთვის, რომ დასაქმებული აღმოჩნდე, საერთაშორისო სტანდარტებზე უნდა იყო ორიენტირებული. ჯერ უნდა გაერკვე, საერთოდ, რა მოგეთხოვება, ხოლო შემდეგ მრავალი დამატებითი ცოდნისა და უნარ-ჩვევის შესაძენად გაისარჯო.

ზრდასრულ მოქალაქეთა განათლება, ანუ, სხვაგვარად, "არაფორმალური განათლება" ჩვენს პირობებში განსაკუთრებით მტკივნეული საკითხია. ამგვარი პროცესების ხელშესაწყობად და წასახალისებლად 2002 წლის იანვარში "გერმანიის სახალხო უნივერსიტეტების ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტმა" თბილისში ამიერკავკასიის ფილიალი გახსნა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ორგანიზაციის მეთოდი საიმედოდ აპრობირებულია, რადგან იგი, აგერ უკვე 30 წელიწადია, მუშაობს აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, აღმოსავლეთ ევროპაში, დსთ-ს ზოგიერთ რესპუბლიკასა და ბალტიისპირეთში. თავისი საქმიანობის ხანმოკლე პერიოდში ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კონკრეტული ღონისძიებები აღძრავს იმედს, რომ მათი საქმიანობა, შეიძლება, მართლაც ნაყოფიერი და სასარგებლო აღმოჩნდეს მოსახლეობის აქამდე შედარებით უყურადღებოდ დარჩენილი ფენისთვის. გერმანულმა ორგანიზაციამ საქმიანობა, პირველ რიგში, თანამედროვე სასწავლო სტანდარტების შემუშავებით და პროფტექნიკური განათლებისთვის აუცილებლი სახელმძღვანელოების გადამუშავებით დაიწყო. გარკვეული თანხა მოხმარდა თბილისში უმუშევართა პროფესიულ გადამზადებას. ინსტიტუტის მოქმედების სპექტრი საკმაოდ ფართოა და, რაც მთავარია, ორიენტირებულია არა მხოლოდ დედაქალაქზე, არამედ რაიონებზეც. ამჟამად მიმდინარეობს, ერთი მხრივ, შრომის ბაზრის კვლევა, ხოლო, მეორე მხრივ, იმ საგანმანათლებლო სტრუქტურების შესწავლა, რომლებიც ზრდასრულთა მომზადებითა და გადამზადებითაა დაკავებული. იქმნება მონაცემთა ბაზა, რათა გამოვლინდეს დასაქმების რეალური სფეროები. მათი ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს, დანარჩენი NGO-ებისგან განსხვავებით, **ლუდმილა კლოცი** ზრდასრულთა განათლების სფეროში სისტემური ცვლილებების ხელშეწყობაში ხედავს.

ნიშანდობლივია, რომ პროფტექნიკუმების პრობლემით სწორედ უცხოური ორგანიზაცია დაინტერესდა. გერმანიის ინტერესი ამიერკავკასიის მიმართ, ალბათ, ღრმა ინტელექტუალურ წიაღსვლებს არ საჭიროებს, მაგრამ რით უნდა აიხსნას ოფიციალური საქართველოს ინდიფერენტიზმი? საბედნიეროდ, პროფესიული განათლების სისტემის სახელმწიფო დოტაციიდან მოხსნის მცდელობა საქართველოში, სომხეთისგან განსხვავებით, არ განხორციელდა. დღესდღეობით საქართველოს კონსტიტუცია ფორმალურად აღიარებს "პროფესიული განათლების პრიორიტეტულობას" (I, 4, 1) და აცხადებს, რომ "ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების დაცვის მიზნით... დაწყებითი პროფესიული განათლების სისტემა საქართველოს მოქალაქეებს უქმნის პირობებს პროფესიის მისაღებად და კვალიფიკაციის ასამაღლებლად". სინამდვილეში კი, პარლამენტართა ნაწილს, თურმე, დღემდე ვერ გაურკვევია პროფტექნიკუმსა და პროფკავშირს შორის არსებული განსხვავება. როგორც ჩანს, ვერც ის გაუგია, რომ, ტექნიკუმში აღზრდილი პროფესიული კადრების არარსებობის პირობებში, მათი კავშირი ვერც ვერასდროს ჩამოყალიბდება.

### საინტერესო საიტები

**http://www.daad.de/info-f-a/de/fuehrer/index.html**
**http://www.daad.de/info-f-a/de/profile/index.html**

ეს მისამართები გთავაზობთ განმარტებებს გერმანიის უნივერსიტეტების და სპეციალიზირებული უმაღლესი სასწავლებლების ტიპების შესახებ. აქვე შეიტყობთ, თუ როგორ მიმდინარეობს სასწავლო პროცესი გერმანიაში.

**http://www.hrk.de**

hrk (Hochschulrektorenkonferenz), ანუ უმაღლესი სასწავლებლების რექტორების საბჭო, წარმოადგენს სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უნივერსიტეტთა რექტორების ნებაყოფლობით გაერთიანებას. მასში გაწევრიანებულია 258 უმაღლესი სასწავლებელი. ამ საიტზე წააწყდებით თქვენთვის საინტერესო, თითქმის ყველა საკითხს, ინფორმაციას კვლევის, სწავლის, სწავლების, შემდგომი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ.

მისაამართი გთავაზობთ 315 უმაღლესი სასწავლებლის გვერდებსა და მონაცემთა ბაზას.

**http:/www.hochschulkompass.hrk.de/**

ე.წ. უმაღლეს სასწავლებელთა კომპასის საიტი გთავაზობთ სახელმწიფო და სახელმწიფოს მიერ აღიარებულ უმაღლეს სასწავლებლელთა გვერდებსა და ინფორმაციას მათი შემოთავაზებების შესახებ - როგორც სწავლის, ასევე სამეცნიერო ხარისხის მოპოვების თაობაზე.

**http://www.educat.hu-berlin.de/diss-online**

ჰუმბოლტის უნივერსიტეტის ამ საიტზე წარმოდგენილია სადისერტაციო ნაშრომთა ელექტრონული ვარიანტები. აქვე ნახავთ სხვა მსგავსი მისამართების ჩამონათვალს.

**http:/www.arbeitsamt.de**

ამ მისამართზე გამოქვეყნებულია შემოთავაზებები სამუშაო ადგილების შესახებ სტუდენტებისთვის და კურსდამთავრებულთათვისაც.

**http:/www.studentenwerke.de/**

ამ მისამართის დახმარებით შესაძლებლობა გეძლევათ, გაეცნოთ გვერდებს, რომლებზეც ინტერნეტში განთავსებული სტუდენტური ნაშრომებია წარმოდგენილი; შეგიძლიათ, მოიპოვოთ თქვენთვის სასურველი ინფორმაცია სტიპენდიების, საცხოვრებლის და კვების შესახებ, მიიღოთ ფსიქოლოგიური, სამართლებრივი თუ სოციალური სახის რჩევები, გაერკვეთ დაზღვევის საკითხებში.

ინფორმაცია წარმოდგენილია გერმანულ და, ნაწილობრივ, ინგლისურ ენებზე.

# მითი და რეალობა გერმანიაში სწავლის შესახებ

### განათლების გერმანული სისტემა და ქართველები

*მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ნაქებ გერმანულ საგანმანათლებლო სისტემას (რომელზედაც გერმანიის მთავრობა წელიწადში 78.67 მილიარდ ევროზე მეტს ხარჯავს) ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა, საქართველოს მოქალაქეთათვის იგი მაინც რჩება განსაკუთრებულ ქვეყნად ორი ერთმანეთისგან გამომდინარე მიზეზის გამო: ამ ქვეყანაში ერთობ მაღალგანვითარებული სოციალური პირობებია, თანაც, იქაურ საგანმანათლებლო სასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა სახელმწიფოს ეკუთვნის და მათში სწავლა უფასოა. პოსტ-საბჭოთა სივრციდან იქ ჩასულნი ხშირად ხუმრობენ ხოლმე, რომ ხრუშჩოვის დანაპირები კომუნიზმისკენ მსწრაფი სოციალიზმი სწორედ იქ, იმ დალოცვილ კაპიტალისტურ მიწა-წყალზე აღმოაჩინეს.*

ნინო ცინცაძე

ბოლო წლებში თითქმის აღარ მოიძებნება ქართული ოჯახი, რომლის წევრი, წევრები, ახლო ნათესავები თუ მეგობრები გერმანიაში სასწავლებლად ან სამუშაოდ არ იყვნენ წასულები, ანდა ამას ახლო მომავალში არ აპირებდნენ. ამ ჯგუფში ყველა ასაკის საქართველოს მოქალაქე შედის. ამის გამო, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის უინტერესო არ უნდა იყოს, თვალი გაადევნოს გერმანული განათლების სისტემას ბაღებიდან დაწყებული, ვიდრე უმაღლეს განათლებამდე.

### ბაღები

სკოლამდელი აღზრდა გერმანიაში სასკოლო საგანმანათლებლო სისტემის ნაწილი არ არის, იგი ბავშვთა და მოზარდთა სოციალური დაცვის სამსახურებს ეხება. მათ უმრავლესობას ეკლესიები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, მუნიციპალური სისტემები, თუ სხვადასხვა ფირმები კურირებენ. განსაკუთრებული მრავალრიცხოვნებით ევანგელისტური, კათოლიკური, მუნიციპალური და ვალდორფის ბაღები გამოირჩევიან. თუ კათოლიკურ ბაღში მოხვედრილს ხატებისა და ჯვრების სიმრავლე მოგჭრით თვალს, ევანგელისტური ბაღებისთვის გადამწყვეტი მაინც სასარგებლო, ბავშვის უნარ-ჩვევათა განსავითარებელი სათამაშოებია. მუნიციპალური ბაღები ცოტათი ჩვენსას ჩამოჰგავს - თითო ჯგუფში 40 ბავშვითა და განუწყვეტელი ღრიანცელით, თუმცა, ჩვენი ბავშვებისგან განსხვავებით, იქაურ ბავშვს ექიმითა და ნემსით არავინ აშინებს და, მითუმეტეს, არავინ სცემს. ვალდორფის ბაღების რიცხვი შედარებით უფრო მცირეა და საფასურიც უფრო დიდია. მაგრამ მათ სულ უფრო ხშირად ირჩევენ ეკოლოგიურ-ჰარმონიულ აღზრდაზე ორიენტირებული, "სვეცკი" გერმანელი მშობლები. რადგან გადასახადი ვახსენეთ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბაღები, ზოგადად, ძვირია, თუმცა - არა ყველასთვის. აქ ძალიან კარგად მუშაობს სოციალური მექანიზმი და თუ მშობლების საერთო შემოსავალი მინიმალური ზღვარისაკენ იხრება, მაშინ მათთვის ბაღის საფასურიც მინიმალურია. უნდა ითქვას ისიც, რომ სხვა ევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით ბავშვების ბაღში ყოფნის დრო უცნაურადაა ორგანიზებული. ბაღების უმრავლესობა 9-იდან 12, ან 14 საათამდე ფუნქციონირებს - საკმაოდ ძნელია სრულდღიანი ბაღების პოვნა, თანაც ასეთები ორჯერ უფრო ძვირია.

მოქალაქეობის და აღმსარებლობის მიუხედავად, გერმანიაში ყველა ბავშვს ყველანაირ ბაღში მოხვედრის უფლება აქვს. მაგრამ ხშირად ისე ხდება, რომ იქ ჩასული უცხოელი თავისი შვილისთვის ბაღში ადგილს, უბრალოდ, ვერ პოულობს (განსაკუთრებით დიდ და საუნივერსიტეტო ქალაქებში), რადგან ყველა ადგილი გაზაფხულიდანვე დაკავებულია. ამიტომ იმ ჩვენს თანამემამულეებს, რომლებიც გერმანიაში პატარებთან ერთად ხანგრძლივი დროით მიემგზავრებიან, ბავშვების ბაღში მოწყობაზე დროულად ზრუნვას ვურჩევთ. ჯერ ერთი, ორგანიზაციათა უმრავლესობას საკუთარი ბაღები გააჩნია და მშობელს შეუძლია, პირველ რიგში, ბაღის ადგილის მოძიების თხოვნით მიმართოს თავის მასპინძელ ორგანიზაციას. გარდა ამისა, ნებისმიერი გერმანული ქალაქის მერიის (**Rathaus**) ბავშვთა და მოზარდთა განყოფილებაში არსებობს ყველა ბაღის ნუსხა - მისამართებით, აღწერილობებით, დაკავებული და დაუკავებელი ადგილების რაოდენობით. მშობელს შეუძლია, ამ განყოფილების დახმარებით მოაწყოს თავისი შვილი რომელიმე ბაღში ან მოსაცდელ სიაში ჩაეწეროს. ბავშვის ბაღში მიყვანის ნუ შეგეშინდებათ – იქ ატირებულ ბავშვს მშობელს გულიდან არავინ გლეჯს. ადაპტაციის პერიოდს შეგიძლიათ თქვენც დაესწროთ, რამდენი დღეც არ უნდა გაგრძელდეს იგი.



გოტინგენის უნივერსიტეტი

### სკოლები

აი, სკოლებში კი ადგილი გერმანიაში სამ თვეზე დიდი ხნით ჩასული ნებისმიერი ბავშვისთვის მოიძებნება. უფრო მეტიც, ყველა მოზარდისთვის, 7-15 წლამდე, სკოლაში სიარული სავალდებულოა. უფრო სწორედ, ეს პროცესი ექვსნახევარი წლიდან იწყება, როდესაც მოზარდი სასკოლო-სამედიცინო შემოწმებაზე მისასვლელ მოსაწვევს იღებს. ამ შემოწმებას მოზარდთა აბსოლუტური უმრავლესობა დიდი წარმატებით გადის, რადგან ის ერთობ ადვილია და თანაც, გერმანული ენის ცოდნას არ საჭიროებს. ამიტომაცაა, რომ იქაური კლასები ინტერნაციონალური, ძირითადად კი, გერმანულ- თურქულ-რუსულია. გერმანიაში ე.წ. დაწყებითი სკოლის პერიოდი ოთხ წელიწადს (ბერლინსა და ბრანდერბურგში ექვს წელს) გრძელდება. ამის შემდეგ მოსწვლეებს სწავლის გაგრძელება სამი ტიპის სკოლაში (გიმნაზია (5-13 კლასი), "რეალშულე" (5-10 კლასი), ანდა ათწლიანი სასწავლებელი (5-9 ან 10 კლასი)) შეუძლიათ. ამ სკოლებში მოზარდების გადანაწილება მათი შესაძლებლობებისა და სურვილების მიხედვით ხდება. ათწლედებში შედარებით დაბალი შესაძლებლობების ბავშვები შედიან, რომელთაც შემდგომში სწავლის გაგრძელება რაიმე პროფესიული პროფილით სურთ. "რეალშულე" თავისი სტატუსით ათწლედებსა და გიმნაზიებს შორის დგას. სავალდებულო ხუთწლიანი პროგრამის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს საშუალო სკოლის ატესტატი ეძლევათ, რომლითაც მოზარდს სწავლის გაგრძელება Berufsfachschule-სა და Fachoberschule-ში შეუძლია (არასავალდებულო საშუალო განათლების უფრო მაღალი პროფესიული და ზოგადი საფეხურები). "რეალშულესა" და ათწლედებისაგან განსხვავებით, გიმნაზიაში სწავლა 9 წელიწადს გრძელდება. აქ საგნები სამ ძირითად კატეგორიად - ჰუმანიტარულ, სოციალურ და ტექნიკურ საგნებად - იყოფა. მოსწავლე ამ სამი ძირითადი კატეგორიიდან ერთერთს ირჩევს. სწავლების ბოლო წელს (რომელიც გიმნაზიელებისათვის, საერთო ჯამში, 13 წელი გრძელდება) ისინი ოთხ ან ხუთ საგანში ე.წ. "აბიტურს" აბარებენ, რაც მათ შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში უგამოცდოდ მოხვედრის საშუალებას აძლევს.

მიუხედავად ასე დანაწევრებული სტრუქტურისა, ბოლო წლებში ჩატარებულმა რამოდენიმე საერთაშორისო ტესტირებამ აჩვენა, რომ გერმანიში საშუალო განათლების სისტემას საკმაოდ ბევრი ხარვეზი გააჩნია. განათლების ზოგიერთი სპეციალისტი ამ ვითარებას, სწორედ, ასეთი სახის დანაწევრებულობას აბრალებს. სხვები სკოლების "გადაჭარბებულ ინტარნაციონალურობაში" ეძებენ მიზეზებს და დაწყებით კლასებში უცხოელებისთვის გერმანული ენის დამატებითი საათების შემოღების აუცილებლობას უსვამენ ხაზს. გერმანიის ზოგიერთ მიწაზე, ახლად წამოწყებული პროექტის მიხედვით, დაწყებითი სკოლებში ბავშვებს 5, ზოგს 4, წლის ასაკშიც კი იღებენ, რადგან ბევრი თვლის, რომ შვიდი წელი სწავლის დასაწყებად ძალიან გვიანია. ზემოთ ჩამოთვლილ, თუ სხვა მიზეზთა გამო ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო მატულობს კერძო და ვალდორფის სკოლების პოპულარულობა.

პირველადი სავალდებულო საშუალო განათლების დასრულების შემდეგ (ბუნებრივია, ეს გიმნაზიელებს არ ეხებათ) 15-16 წლის ასაკში გერმანელ მოზარდებს სწავლის გაგრძელების რამოდენიმე საშუალება ეძლევათ - სრული პროფტექნიკური სასწავლებელი და ნაწილობრივი პროფესიული სასწავლებელი სწავლების დუალური სისტემით, რომლებშიც მოსწავლეებს უფლება ეძლევათ თავიანთი სასწავლო დრო სკოლებსა და საწარმოებში გაანაწილონ. გარდა ამისა, მათ უფლება აქვთ, სწავლა განაგრძონ მეორად, სასკოლო საშუალო განათლების რგოლებში - იქნება ეს გიმნაზია თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა.

### სკოლის შემდგომი განათლება

სკოლის დამთავრების შემდეგ, ქართველებისგან განსხვავებით, გერმანელი ახალგაზრდების უმრავლესობა (თითქმის 70%) პროფესიულ განათლებას ირჩევს. პროფესიული სწავლება, სწავლების დუალური სისტემით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ძალიან კარგად არის ორგანიზებული და ამის გამო შრომის ბაზართან მისასვლელ უმოკლეს გზას წარმოადგენს. პროფესიული განათლების მიმცემი დაწესებულებებიდან განსაკუთრებით ბადენ-ვურტემბერგის მიწაზე არსებულ **Berufsakademie**-ებს გამოვყოფთ ორი მიზეზის გამო: ამ აკადემიის კურსდამთავრებულთა დიპლომი გერმანიის ტერიტორიაზე, სამუშაო უფლების თვალსაზრისით, უმაღლესი სკოლების (Hochschule) დიპლომს უტოლდება და თანაც, მათთან საქართველოს მენეჯმენტის ევროპული სკოლა (**ESM**) პარტნიორობს. ამ სამწლიან სასწავლებელში სწავლის პროცესში მუდმივად ხდება თეორიული და პრაქტიკული კურსების მონაცვლეობა. ყოველ სამ თვეში ერთხელ სტუდენტი აკადემიის პარტნიორ ფირმაში გადის პრაქტიკას, რაც მას შემდგომში სამსახურის შოვნას ერთობ უადვილებს. ამ აკადემიების კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია. ორწლიანი კურსის დამთავრების შემდეგ ისინი, დარგების შესაბამისად, მრეწველობის, ეკონომიკის და ინჟინრის ასისტენტის დიპლომს იღებენ, სამწლიანი კურსის შემდეგ კი ამავე დარგების სპეციალისტის დიპლომს. ბადენ-ვურტემბერგის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით, **ESM**-ის ბაკალავრის კურსის დამთავრება (აქაური 4 წელი) იქაურ ასისტენტის დიპლომს უტოლდება. ეს კი ჩვენს სტუდენტებს აკადემიის ბოლო კურსის გავლის საშუალებას აძლევს. თავის მხრივ კი, საქართველოს განათლების სამინისტროს დადგენილებით, ასეთ სტუდენტებს საქართველოში, არც მეტი არც ნაკლები, მაგისტრის სტატუსი ენიჭებათ.

### უმაღლესი განათლება

გერმანიას საუნივერსიტეტო ცხოვრების საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიციები გააჩნია. ამ ქვეყნის უძველესი, ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი 1386 წელს დაარსდა. ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის მიერ მე-19 საუკუნეში შემოტანილი პრინციპი - "სწავლებისა და მეცნიერების ერთიანობა" დღემდე რჩება გერმანიის უნივერსიტეტების დევიზად. ვერ გეტყვით, ამ თუ სხვა მიზეზთა გამო, მაგრამ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, აქაურ უნივერსიტეტებში სწავლა ყველაზე დიდხანს გრძელდება. თუმცა, მე-20 საუკუნის შუა წლებიდან ამ მეცნიერებისკენ ერთობ ორიენტირებულ დაწესებულებებს ალტერნატივა გამოუჩნდა. პრაქტიკული სამუშაოს უფრო სწრაფად შოვნის სურვილმა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში უმაღლესი სკოლები ე.წ. **Hochschule**-ები გააჩინა. ამ სასწავლებლებში სწავლა უფრო ხანმოკლე, უფრო პრაქტიკული და შრომითი ბაზრისკენ ორიენტირებულია. თანაც ეს სკოლები, ისევე როგორც უნივერსიტეტები, სახელმწიფოს ეკუთვნის, უფასოა და უმაღლესი განათლების დიპლომსაც იძლევა. მაგრამ თუ მაინცდამაინც მეცნიერება, ანდა უნივერსიტეტებსა და გიმნაზიებში მასწავლებლობა გიტაცებს, მაშინ ბებერ გერმანულ უნივერსიტეტებს გვერდს ვერ აუვლი. ქართველთა უმრავლესობასაც, როგორც მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე ერის წარმომადგენლებს, სწორედ იქითკენ მიუწევს გული. საქართველოში ამ ბოლო წლებში, თერგდალეულების ანალოგიით, რაინდალეულთა ცნებაც კი გაჩნდა, თუმცა ამ უკანასკნელთა როლი, პირველებისგან განსხვავებით, ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველია.

გერმანიის უნივერსიტეტებში, პირობითად რომ ვთქვათ, სწავლა ორსაფეხურიანია – Grundstudium და Hauptstudium. პირველი ოთხსემესტრიანი საფეხურის დამთავრებისა და ე.წ. შუალედური გამოცდების ჩაბარების შემდეგ სწავლების მეორე, ხუთსემესტრიან საფეხურზე გადადიხარ, რომლის დამთავრებისა და სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ უნივერსიტეტის დიპლომის მფლობელი ხდები. თუ სწავლების პირველი ეტაპი უფრო ზოგადი, შესავლითი და ლექციური სახისაა, მეორე ეტაპის ძირითად სტრუქტურას სემინარული სისტემა შეადგენს. ჩვენი უმაღლესებისაგან განსხვავებით, გერმანიის უნივერსიტეტებში არ არსებობს მყარი ცხრილი, რომელიც სტუდენტმა აუცილებლად უნდა გაიაროს. სწავლის დაწყებისას თითოეულ სტუდენტს ეძლევა სავალდებულო და დამატებითი ლექციებისა და სემინარების სია, რომლის მიხედვითაც ის საკუთარ გრაფიკს თავად ადგენს - თავად წყვეტს, რამდენ ლექციას უნდა დაესწროს კვირაში და რამდენი დაიტოვოს ინდივიდუალური მუშაობისათვის. ამაში სტუდენტს ძალიან ეხმარება Vorlesungsverzeichnis - პატარა ბროშურა, რომელიც ყოველი სემესტრის დასაწყისისთვის თითოეული ფაკულტეტისთვის ცალკე იბეჭდება და რომელშიც მოცემულ სემესტრში წარმოდგენილი ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკულების მოკლე შინაარსები და მოთხოვნებია მოცემული.

იმისათვის, რომ უნივერსიტეტის სტუდენტი გახდე აუცილებელია სასურველი უნივერსიტეტიდან დაშვება (Zulassung-ი) მიიღო. ამ დაშვების მისაღები პირობა აბიტურია - სრული საშუალო განათლების, ანუ სიმწიფის ატესტატი, რომელსაც გიმნაზია, ანდა უნივერსიტეტებთან არსებული ე.წ. "Studienkolleg-ი" იძლევა. Studienkolleg-ს, როგორც წესი, უცხოელები მიმართავენ, რომელთაც გერმანული გიმნაზიები არ დაუმთავრებიათ, მაგრამ მაინცდამაინც გერმანულ უნივერსიტეტებში უნდათ მოხვდნენ. ეს ორგანიზაცია Abitur-ს ერთწლიანი კურსის გავლისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ იძლევა. რადგან ჩვენი სკოლების



დაწყებით სკოლაში

ატესტატი იქაურ "აბიტურს" სულაც არ უდრის, ამიტომ ქართველ სტუდენტებს ორი შანსი რჩებათ – ერთწლიანი კურსი გერმანიაში გაიარონ, რაც თავისთავად ძვირი და შედარებით ძნელად მოსახერხებელია, ან იქაურ უნივერსიტეტებს ჩვენს უმაღლესებში ორწლიანი სწავლის (ოთხი სემესტრი) შემდეგ მიმართონ, რადგან გერმანიის უნივერსიტეტების უმრავლესობა, არაფორმალურად, ჩვენს ოთხ სემესტრს იქაურ აბიტურად მიიჩნევს. სხვათაშორის, დიდი მნიშვნელობა არ აქვს, საქართველოში ოთხი სემესტრი გაქვს გავლილი თუ მთლად დიპლომირებული სპეციალისტი ხარ - ყოველი უნივერსიტეტი ავტონომიურად წყვეტს, თუ რომელ კურსზე დასვან მსურველი. მოკლედ, ასეა თუ ისე, უნივერსიტეტში მიღების შემდეგ ე.წ. იმატრიკულაციის პროცესი იწყება, რომელსაც ყველა უმაღლეს სასწავლებელთან არსებული **Auslandsamt**-ი( უცხოელ სტუდენტთა მომსახურების ცენტრი) განსაზღვრავს. სტუდენტმა აქ დამფინანსებლის საბუთი – მიღებული სტიპენდიის ცნობა, ან მის ანგარიშზე (კონტოზე) არსებული გარკვეული თანხის დასტური და სამედიცინო დაზღვევა უნდა წარადგინოს. დანარჩენი საბუთები: დიპლომის, ჩათვლის წიგნაკისა და ატესტატის ნათარგმნი ასლები, წესით, უკვე ამ განყოფილებაში უნდა იყოს. იმატრიკულირებულ სტუდენტს ეძლევა სტუდბილეთი, რომელიც მას უამრავ პრივილეგიას, ფასდაკლებებსა და შესაძლებლობებს სთავაზობს. სხვათა შორის, საქართველოდან წარგზავნილი საბუთების ასლებით გერმანელი კოლეგები არ კმაყოფილდებიან და ხშირ შემთხვევაში ორიგინალებსაც ითხოვენ ხოლმე, რადგან ქართველი სტუდენტებისგან უკვე არაერთ გაყალბების ფაქტს ჰქონია ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მსურველთაგან გერმანიაში უნივერსიტეტის დასამთავრებლად, ანუ **Abschluss**-ის გასაკეთებლად, ძალიან ცოტა მიემგზავრება. შეიძლება სურვილი ბევრს ჰქონდეს, მაგრამ ეს ძალიან დიდ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს. უცხოელი სტუდენტების ძირითადი მასა გერმანიაში ე.წ. **Aufbaustudium**-ითაა დაკავებული. ანუ ისინი ერთი (ან მაქსიმუმ ორი) წლით გერმანიის უნივერსიტეტების თავისუფალ სტუდენტებად ირიცხებიან, სარგებლობენ ყველანაირი პრივილეგიით, უფლება აქვთ" დაესწრონ ნებისმიერ ლექციასა და სემინარს, ითანამშრომლონ იქაურ პროფესორ-მასწავლებლებთან, ისარგებლონ უნივერსიტეტის, ფაკულტეტისა თუ ქალაქის ბიბლიოთეკებით, ინტერნეტ-სერვისით, მენზით (უნივერსიტეტების სასადილოა ერთგვარი) და ა.შ.. მათ უფლება აქვთ, ეს ყველაფერი არც გააკეთონ, უფრო სწორედ - მათ ამას არავინ შეუმოწმებს.

გერმანიაში სასწავლებლად წასასვლელად ყველაზე მოსახერხებელი გზა DAAD-ეს, EKD-ეს (გერმანიის ევანგელისტური ეკლესია), KKD-ეს (გერმანიის კათოლიკური ეკლესია), ან რაიმე სხვა ფონდის მეშვეობით სტიპენდიის მიღებაა (DAAD-ის ბიურო თბილისშიც არსებობს, დანარჩენებს კი პირდაპირ გერმანიაში ინტერნეტის მეშვეობით შეგიძლიათ დაუკავშირდეთ). თუ გერმანიაში ერთი წლით რაიმე სტიპენდიით მოხვდით, მაშინ ვალდებული არ ხართ, ენის გამოცდა ჩააბაროთ. თანაც, ცოდნის გასაღრმავებლად თითქმის ყველა უნივერსიტეტებთან არსებული უფასო ენის კურსებიც შეგიძლიათ გაიაროთ. თუ სწავლის გაგრძელებას მოინდომებთ (რაც, თავისთავად, გერმანიაში დარჩენის კარგი შანსია, ენის კურსებით და სტუდენტის ბილეთით ვიზის გაგრძელება მრავალი წელი შეიძლება ამ შანსს განსაკუთრებული გულმოდგინებით იყენებენ გერმანიაში "ბეიბისიტერებად" წასული ახალგაზრდა ქართველი გოგონები), ასეთ შემთხვევაში ენის გამოცდა **DSH** აუცილებლად უნდა ჩააბაროთ. ამ გამოცდის გაგონებაზე ბევრ ქართველ სტუდენტს ცივი ოფლი ასხამს, თუმცა გამოსავალს აქედანაც პოულობენ (ამის შესახებ ამავე გვერდზე იხილეთ ანა კორძაია-სამადაშვილის მასალა). სხვათა შორის ბევრ უნივერსიტეტში, ენის გამოცდიდან გოეთეს ინსტიტუტის დიპლომი - **ZMP (Zentrale Mittelstufenpruefung)** ათავისუფლებს.

ქართველების უფრო მცირე პროცენტი მიემგზავრება გერმანიაში მეცნიერული მუშაობისთვის, ანდა დისერტაციის (Promotion) დასაცველად. ამ მიზნებისათვის ისინი DAAD-ის, ადენაუერის, ჰუმბოლდტის, "Volkswagen"-ის თუ სხვა სერიოზულ ფონდებს მიმართავენ. ამ ქვეყანაში დისერტაციის დაცვა ნებისმიერ დარგში, თეორიულად, ყველა დიპლომირებულ ქართველს შეუძლია, ოღონდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად ფაკულტეტი წყვეტს, რამდენი დამატებითი კურსი უნდა მოისმინოს და რამდენი გამოცდა უნდა ჩააბაროს კანდიდატმა. უფრო ხშირად ქართველი მეცნიერები თემაზე მუშაობას გერმანიაში, დისერტაციის დაცვას კი საქართველოში ამჯობინებენ - ასე ბევრად მოსახერხებელია. თანაც, გერმანიაში მუდმივ პოზიციაზე დარჩენას არც დიპლომის აღებისა და დისერტაციის დაცვის მერე შეგეხვეწებათ ვინმე. ასე რომ, თერგდალეულებისა არ იყოს, სჯობს უკან დაბრუნდეთ და სამშობლოს რაიმეში გამოადგეთ.

## გერმანიაში ცხოვრება

ბუნებრივია, უცხოეთში მიმავალი ადამიანი, პირველ რიგში, ბინაზე იწყებს ზრუნვას. ფონდების უმრავლესობა ამ საკითხს თავადვე აგვარებს და სტიპენდიანტებს საუნივერსიტეტო საერთო საცხოვრებლებში ანაწილებს. აქ თქვენ დაგხვდებათ ერთი მოცუცქნული ოთახი, მინიმალური საჭირო ავეჯით, საერთო (მაგრამ სუფთა) ტუალეტით და საერთო სამზარეულოთი, რომლის სისუფთავე და იქ გამეფებული ატმოსფერო თავად მობინადრეებზეა დამოკიდებული. ოთახის ფასი ასეთ საერთო საცხოვრებლებში 75-იდან 225 ევრომდე მერყეობს. თუ გერმანიაში ჩასული უბინაოდ დარჩით, მაშინ რამოდენიმე ღამით, სანამ ბინას იშოვით, სჯობს, Jugendherberge-ებს ან Privatpension-ებს მიაკითხოთ. ამ ტიპის სასტუმროებში ერთი ღამე 10-დან 55 ევრომდე დაგიჯდებათ. ბინის ძებნაში უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა განყოფილება, სტუდენტური გაერთიანება (Studentenwerk), ან უნივერსიტეტების ფოიეებსა და მენზაში გამოკრული განცხადებები დაგეხმარებათ (თუ ამ საქმეში უკვე იქ მცხოვრები თქვენი თანამემამულე არ არის მთელი ძალით ჩართული). საერთო საცხოვრებლების გარდა, შეგიძლიათ, ოთახი კერძოდ იქირაოთ (თვეში 200-იდან 500 ევრომდე), ან გეზი ე.წ. WG-ებისკენ აიღოთ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს სამ ან ოთხოთახიან ბინას ერთი სამზარეულოთი და ერთი აბაზანა-ტუალეტით, რომელსაც რამოდენიმე ადამიანი ერთად ქირაობს. ქართველები ჩივიან, რომ ასეთ ბინებში "გერმანული მაფია" მუშაობს და უცხოელებს (განსაკუთრებით ქართველებს) არ აჭაჭანებენ. მაგრამ ეს ტყუილია – როცა არ ხმაურობ, არ იპარავ და მიღებულ წესებს პატივს სცემ, ნამდვილად არავინ გერჩის. არ დაგავიწყდეთ - ბინის ქირაში შედის ყველანაირი კომუნალური გადასახადი, გარდა ელექტროენერგიისა.

ბინის პრობლემის მოგვარების შემდეგ სასურველია, ჩასვლიდან მეორე დღესვე ჯანმრთელობის დაზღვევის "ამბავზე" იზრუნოთ. სულ ერთია, უამისოდ მაინც ნაბიჯს ვერ გადადგამთ. ვინც გერმანიაში სასწავლებლად 30 წლამდე ჩადის, მათ ნამდვილად გაუმართლა, რადგან უფლება აქვთ, სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევეას შეაფარონ თავი, სემესტრში, დაახლოებით, 350 ევრო გადაიხადონ და ნებისმიერი ექიმის მომსახურებით უფასოდ ისარგებლონ. უფრო მეტიც, ასეთ დროს ექიმის მიერ გამოწერილ რეცეპტში აფთიაქში ფულსაც კი არავინ გამოგართმევთ. 30 წელს ზევით კი უკვე კერძოდ უნდა დაეზღვიოთ. ეს უფრო ძვირიცაა და ექიმის მომსახურებაც გაცილებით შეზღუდულია.

რაც შეეხება კვებას, ამ მოთხოვნას ბევრი სტუდენტი უნივერსიტეტის მენზაში იკმაყოფილებს. აქ შეგიძლიათ, თვიური ტალონი შეიძინოთ და მაშინ თითო სადილი, დაახლოებით, 2-3 ევრო დაგიჯდებათ. თუ მენზის საჭმელს ვერ შეეგუებით (გემოვნების ამბავია), მაშინ შეგიძლიათ, სუპერმარკეტებს მიაკითხოთ: ALDI- ყველაზე იაფი და უხარისხოა, Plus-საშუალო, სტუდენტურ-მუშურ-გლეხური, Rewe კი საშუალო ბურჟუაზიული. ხოლო იმ შემთხვევაში თუ ფული საკმარისად გაქვთ (ღმერთმა ბევრი მოგცეთ), ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების სუპერმარკეტებსა (Reformhaus) და ხორცისა და საცხობების პატარა მაღაზიებს გვერდს ნუ აუვლით.

## DAAD-ის პროგრამები საქართველოში

გერმანიაში სასწავლებლად ან სამეცნიერო მუშაობისათვის წასულთა ყველაზე დიდი პროცენტი გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD-ის) სტიპენდიანტებზე მოდის. ჩვენი ქვეყნიდან გერმანიაში წელიწადში, დაახლოებით, 100-მდე DAAD-ის სტიპენდიანტი მიემგზავრება. ამ ორგანიზაციის ბიურო თბილისში 2000 წელს დაარსდა. მანამდე კი თბილისში მხოლოდ მათი წარმომადგენლობა არსებობდა, ხოლო წასვლის მსურველთა საბუთების გადარჩევა მოსკოვში ხდებოდა. ახლა გერმანულ-ქართული კომისია (ზოგიერთი პროგრამისთვის მხოლოდ გერმანული) თბილისშივე მუშაობს და შემდეგ მათ მიერ გადარჩეული საბუთები პირდაპირ ბონში იგზავნება, სადაც იქაური კომისია კონკურსის მეორე ეტაპის შედეგებს წყვეტს.

ბოლო ორი წელია, სხვა სიახლეც არსებობს: DAAD-ი, სოროსის ფონდთან ერთად (OSI), სამხრეთ კავკასიისა და წინა აზიის ქვეყნებში სოციალური მეცნიერებების განვითარების დასახმარებლად ერთობლივ პროგრამებს ახორციელებს. პროგრამით, რომელიც საქართველოში ორ წელიწადში ერთხელ ხორციელდება, ბაკალავრის, მაგისტრის, ან სამეცნიერო ხარისხის დიპლომის მქონე ახალგაზრდა პირებს შესაძლებლობა ეძლევათ, ორჯერ, სამ-სამი თვით, სამეცნიერო სტაჟირებისათვის, 2 წლით კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ანდა 3 წლით სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად DAAD-OSI-ს ერთობლივი სტიპენდია მიიღონ. ეს პროგრამა უპირატესობას ანიჭებს პოლიტოლოგიას, სოციოლოგიას, საერთაშორისო ურთიერთობებს, სამართალს, ეკონომიკას, სახელმწიფო მართვას, განათლების მართვას, საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და ფილოსოფიას.

გარდა ამისა, გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური ქართველ მსურველებს, 1-იდან 10 თვემდე, კვლევით და სასწავლო სტიპენდიებს სთავაზობს საინჟინრო, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო დარგებში, ხელოვნებასა და ფილოლოგიაში. ცალკე გაიცემა ერთწლიანი სტიპენდიები ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის და ასევე სემესტრული სტიპენდიები გერმანისტებისათვის. არსებობს საგანგებო პროგრამა "DAAD-ლაიბნიცის სტიპენდიები" ასპირანტებისა და მეცნიერებათა კანდიდატებისათვის. ეს პროგრამა ახალგაზრდა მეცნიერებს შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი კვლევითი სამუშაო გერმანიის ლაიბნიცის ინსტიტუტებში ჩაატრონ. DAAD-ის პროგრამის ფარგლებში ასევე შესაძლებელია მეცნიერთა და პროფესორ-მასწავლებელთა სტაჟირება ერთიდან სამი თვით. 10-თვიანი პროგრამები არსებობს სახვითი ხელოვნების, დიზაინის, კინოს, მუსიკისა და არქიტექტურის დარგებშიც, რომელთა წარმომადგენლებიც, პროგრამის კოორდინატორის ქალბატონ **ბარბარა ვატენდორფის** აზრით, საქართველოში განსაკუთრებული ნიჭიერებით გამოირჩევიან. და ბოლოს, საზაფხულო 3-4 კვირიანი კურსები ნებისმიერი სპეციალობის ბოლო კურსზე მყოფი წარჩინებული სტუდენტებისათვის.

მართალია, DAAD-ის საინფორმაციო ბიულეტენში წერია, რომ პროგრამა მხოლოდ სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ან კვლევით ინსტიტუტებში დაკავებულ პირებს აფინანსებს, ეს სიმართლეს მთლად არ შეესაბამება. სტიპენდიის მოსაპოვებლად საბუთების შეტანა ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელს შეუძლია. უბრალოდ, საქმე საქართველოში დღეს არსებულ გაურკვეველი წარმომავლობის კერძო სასწავლებლების სიმრავლეს ეხება, რაც არჩევანს ძალიან ართულებს. "ჩვენ საბუთების შემოტანას ვერავის ავუკრძალავთ", –აცხადებს ქალბატონი ბარბარა. შემდეგ კომისია თითოეულ შემთხვევაში იკვლევს, შესაძლებელია თუ არა ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის დიპლომი გერმანიის დამოუკიდებელმა უნივერსიტეტებმა აღიარონ. და რადგან გერმანიაში, ტრადიციულად, ქართულ სახელმწიფო სასწავლებლებს იცნობენ (თუმცა, მათი დიპლომების სრული აღიარებაც ერთობ ჭირს), კანდიდატთა უდიდესი პროცენტი სახელმწიფო სექტორიდან გვხვდება, თანაც არა მხოლოდ თბილისის, არამედ ქუთაისის, ბათუმის, და წელს უკვე, ხობის უმაღლესი სასწავლებლებიდანაც.

2002 წლის პროგრამებისათვის საბუთების მიღების ბოლო ვადა 30 ნოემბერია. თითოეულ პროგრამას საკუთარი მოთხოვნები გააჩნია, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოპოვება DAAD-ის ბიუროში შეგიძლიათ. მალე ოფისი ფიზიკის ინსტიტუტიდან გოეთეს ინსტიტუტში გადაინაცვლებს (ზანდუკელის 16), სადაც ფართიც მეტი იქნება და მიღების საათებიც უფრო გაიზრდება. სხვათა შორის, სიმართლეს არ შეესაბამება ხალხში გავრცელებული ხმა, რომ ყველანაირი სტიპენდიის მოსაპოვებლად მსურველი, სულ მცირე, გერმანული ენის M2 დონეს უნდა ფლობდეს. ენის ცოდნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, თუმცა არა გადამწყვეტი - გააჩნია პროგრამას. თუ ადამიანს გერმანიაში, მაგალითად, გერმანული სამართლის ანდა გერმანისტიკის შესწავლა სურს, იგი გერმანულს, ბუნებრივია, კარგად უნდა ფლობდეს. მაგრამ ენის ცოდნა, მაგალითად, ქიმიკოსებისთვის სულაც არ არის აუცილებელი. არსებობს რამოდენიმე პროგრამა, რომლის ფარგლებში ინგლისური ენის კარგი ცოდნაც საკმარისია. გარდა ამისა, თუ პროექტი ნამდვილად ღირებულია და თუ გერმანელ კოლეგებთან რეალური კონტაქტი არსებობს, მაშინ გერმანულის ცუდ ცოდნას სტიპენდიის გაცემის დროს შეიძლება ყურადღება არც მიექცეს. შემდეგ იმ სტიპენდიანტებისთვის, რომელთა ენის ცოდნაც არადამაკმაყოფილებელია, ორთვიანი უფასო კურსები ეწყობა - OSI-DAAD-ის პროგრამების სტიპენდიანტებისთვის საქართველოში, ხოლო DAAD პროგრამებისთვის გერმანიაში. ასე რომ, რა თქმა უნდა, ინფორმაციის მოპოვება ყოველთვის ადგილზე სჯობს, ოღონდ, ერთი გარემოების გათვალისწინებით - გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახური რაიმე აგენტურა არ არის იმ ხალხისათვის, ვისაც, უბრალოდ, გერმანიაში წასვლა სურს. სამწუხაროდ, თბილისის DAAD-ის ოფისში მიმსვლელთა, დაახლოებით, 40% ზუსტად არ იცის, რა სურვილები და მიზნები აქვს.

და კიდევ, ქართული კულტურის ერთი მოუშორებელი შტრიხი, რომელიც ბარბარა ვატენდორფის გაკვირვებასა და ღიმილს იწვევს: ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობა ბიუროში ინფორმაციის გასაგებად დედიკოებთან, ან მამიკოებთან ერთად მიდის. შემდეგ აღმოჩნდება, რომ "ბავშვი" უმაღლესში სწავლობს, კარგად იცის გერმანული და დამოუკიდებლად მოქმედებაც მშვენივრად შეუძლია.



გერმანელი სტუდენტების საყვარელი ტრანსპორტი



ფილოსოფოსების ბიბლიოთეკა ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში

## სწავლა, სწავლა და სწავლა

### უფრთხილდით ქართველ "სტუდენტებს"!

*ყველას არ ვგულისხმობ, ოდესღაც ჩემი დიდი მეგობრებიც სწავლობდნენ გერმანიაში. ოღონდ ისინი სწავლობდნენ, თან კარგად - ხალხი ჭრელია. ახლა მხოლოდ ყველაზე წაქცეული ხალხის შესახებ მოვახსენებ გერმანიაში სასწავლებლად წასვლის მსურველს: ინფორმირებული შეიარაღებულიაო...*

ანა კორძაია-სამადაშვილი

გერმანიაში სტუდენტობა ნამდვილად დიდი სიამოვნებაა. თუ ადამიანი მთლად გონებაშეზღუდული არ არის, თავად სწავლის პროცესი იმდენად საინტერესოა, ვერ მოწყდები. გარდა ამისა, გერმანიაში (ალბათ, სხვა ევროპულ ქვეყნებშიც ასეა, უბრალოდ, მათ შესახებ მე ვერაფერს გეტყვით) სტუდენტი უამრავი პრივილეგიით სარგებლობს: მას ეძლევა მუშაობის უფლება, რაც, თავისთავად, შესანიშნავია; სტუდბილეთის წყალობით, უამრავი შეღავათი აქვს, შეუძლია, სიგარეტის გარდა, იაფად შეიძინოს ყველაფერი, ვთქვათ, მატარებლის ბილეთი ან აუზის აბონემენტი; სტუდენტის სოციალური სტატუსი ცხოვრებას ისედაც აიოლებს – მერე რა, რომ ახლა საპირფარეშოებს ხეხავს, სამაგიეროდ, სწავლობს, ეს კი ნიშნავს, რომ მუდამ მხეხავი არ იქნება, ამიტომ ნებისმიერი ფენის ხალხთან შეუძლია ურთიერთობა, და ა.შ. და ა.შ.

სულ რამდენიმე წლის წინათ გერმანიის რომელიმე უნივერსიტეტში ჩაბარება დიდი პრობლემა არ იყო. ნაცნობობა, სტუდენტთა გაცვლა და მსგავსი რაღაცები რომ გვერდზე გადავდოთ, მსურველს შეეძლო, უბრალოდ, ინტერნეტით გაეგო, სად რა ხდებოდა, მიეწერა წერილი, რომ ჩასვლა და სწავლა უნდოდა, გაეგზავნა საბუთები და მორჩა - ვიზაზე უკვე უნივერსიტეტი ზრუნავდა. ახლა კი გერმანიის პატრიოტებმა "შავების" შემოსევისგან თავის დასაზღვევად მშვენიერი რამ მოიგონეს: სწავლის მსურველი საკონსულოში წარადგენს საბუთს, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ ადამიანს 12 ათასი ევრო აქვს დახურულ ანგარიშზე (ბანკიც აღნიშნულია, კუკულაანთკარის ბანკის ცნობა არ ჭრის), საიდანაც მას, ყოველთვიურად, მხოლოდ ათასი ევროს მოხმარება შეუძლია. თავად ეს განაწესი თითქოს არცთუ ჰუმანურია. პირადად მე ძნელად წარმომიდგენია აბიტურიენტი, თუნდაც, გერმანელი, რომელსაც ამ თანხის შეტანა შეეძლოს, და არც ისეთ ადამიანს ვიცნობ, ვისაც ერთი წლით ამდენი ფულის "გაყინვა" შეუძლია. მაგრამ ეს მხოლოდ მე მჭირს, შეიძლება სხვებს ჰყავთ ასეთი ნაცნობ-მეგობრები – ამის თაობაზეც ვერაფერს მოგახსენებთ. მართალია, თავის დროზე, ამ განაწესით აღშფოთებულმა, გრძელი წერილი მივწერე ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტის მესვეურებს - თუ თქვენი მთავრობის ეს გამოხდომა ნორმალურად მიგაჩნიათ, ძალიანაც შემცდარხართ-მეთქი, პრინციპში, დიდად აღსაშფოთებელი არაფერია. იგულისხმება, რომ ასეთი ანგარიშის მქონე მომავალი სტუდენტი სუპერმარკეტში კეტჩუპს ნამდვილად არ მოიპარავს.

მკითხველთა ნაწილი, ალბათ, გამიბრაზდა. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ კეტჩუპის ამბავი ნამდვილად არ არის გაზვიადებული. არსებობს შესანიშნავი ინტერნეტ-გვერდი paperball.de. თუ დაინტერესდებით, რას წერს საქართველოსა და ქართველების შესახებ გერმანული პრესა – იქაურ ჟურნალისტებს კი ქართველი და უზბეკი ნამდვილად არ ერევათ ერთმანეთში – აღმოაჩენთ, რომ 60% იმ მასალისა, რომელიც ჩვენს თანამემამულეებს ეხება, კრიმინალურ ქრონიკებშია მოთავსებული. მკვლელობების ამბავი საკმაოდ იშვიათია. ძირითადად, საუბარია ცემა-ტყეპასა და ქურდობაზე. იპარავენ წინდებს, უთოებს, ბადრიჯანს – ყველაფერს, რაც გაგიხარდებათ (ერთხელ ხორვატმა ბიჭებმა - ჩემს საცხოვრებელთან შესანიშნავი იაფი რესტორანი ჰქონდათ გახსნილი, - მკითხეს, ასეთი სპეციალისტი ხალხი ბუტიკებზე რატომ იფუჭებთ თავს, ჰეროინით ვაჭრობაში მაინც ჩაებითო). ამას ტურისტები არ აკეთებენ. ძირითადი მასა ის ქართველები არიან, ვინც, ოჯახის წევრებისა და ახლობლების ღრმა რწმენით, ცოდნის მისაღებად გაემგზავრნენ გერმანიაში. ცხადია, პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლებიც უხვად არიან, მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

ქართველი "სტუდენტების" ამგვარი საქმიანობა დიდად გასაოცარი არაა. სამუშაო, რომლის შოვნაც სტუდბილეთით შეუძლიათ, საკმაოდ მძიმეა და საძაგელი: მშენებლობაზე მუშაობა, ტვირთის ზიდვა, მოხუცთა თავშესაფარში იატაკის რეცხვა ან, თუნდაც, მეორადი საქონლის მაღაზიაში დგომა მაინცდამაინც სახალისო არაა. სხვა საქმეს კი არავინ ანდობთ, თუნდაც იმიტომ, რომ ენა არ იციან. ჰო, მართლა არ იციან. ხუთ-ხუთ წელიწადს ცხოვრობენ გერმანიაში და გერმანულად სიტყვა არ ეყურებათ.

ეს დიდი პრობლემა არ არის. მთავარია, მისაღები გამოცდის დროს შეუთანხმდე ვინმე ჯიბეგამოხეულ, მაგრამ გერმანულის მცოდნე ქართველს, რომელსაც ეს გამოცდა უკვე მრავალგზის ჩაუბარებია მაღალი თუ დაბალი, ქერა თუ შავტუხა, მსუქანი თუ გამხდარი თანამემამულეების ნაცვლად – მთავარია, სქესი დაემთხვას. შემდეგ კი მშვიდად შეიძლება "სწავლა", დეკანი ნამდვილად არ დაურეკავს მშობლებს, თქვენი შვილი ფუქსავატიაო. თუ მაინცდამაინც შემოგიტევენ, სხვა ფაკულტეტზე გადაიტან საბუთებს – რა პრობლემაა. ყოველდღიური ყოფა კი ჩემს გმირებს იმგვარადა აქვთ აწყობილი, რომ გერმანული სულ არ სჭირდებათ. საერთო საცხოვრებელში უკვე მოიჭრეს თავი – მაგალითად, ერთმა ჩემმა ნაცნობმა იქაური ტელეფონით იმდენი რეკა თბილისში, რომ იქაურები დღემდე ვალს იხდიან – თვითონ, მშვიდობიანად, სხვა ქალაქში გადავიდა. ქართველები, ძირითადად, ერთად ქირაობენ ბინას, სადმე, ვიეტნამელებით სავსე უმუშევართა უბანში, ცხოვრობენ, ჭამენ, სვამენ და ბალახს ეწევიან – ამას ენის ცოდნა სულ არ სჭირდება. საღამოობით ერთმანეთთან სტუმრად დადიან და, მაკარონიანი ქვაბის გარშემო შემომსხდარნი, სამ ხმაში მღერიან ჟღალი მიმინოს გაფრენის ნაღვლიან ამბავს, სამშობლოს სადღეგრძელოს სვამენ, გერმანიას აგინებენ - სძულთ... ახალჩამოსულთან აჯიკასა და ტყემალში პურს "აწაწუნებენ" და მანამდე სხედან იმ უბედურთან, სანამ მთელი ჩამოტანილი სიგარეტი არ მოიწევა. ამ წრეში "კლასგარეშე" რომანები დიდი იშვიათობაა – ქართველი ქალი ხომ ამაყი და გოროზია, ვიღაც გერმანელს (ქართველის გარდა, ყველა გერმანელია) ხომ არ გაუყადრებს თავს. არა, გერმანიაში გათხოვება უნდათ, მაგრამ ეგ რა შუაშია...

კიდევ ერთი საინტერესო ამბავი: თუ თქვენთვის ჩაცმა-დახურვა მნიშვნელოვანია, ამის მოხერხება ძალიან იაფად და იოლად შეიძლება, ვინაიდან "სტუდენტებს" ჩინებული სისტემა აქვთ შემუშავებული. თქვენ რეკავთ ვინმე თენგოსთან, რომლის ტელეფონის ნომერიც თბილისში დეპორტირებულმა უბნელმა თაზომ მოგცათ, და უყვებით, რომ ამა და ამ მაღაზიაში, ამა და ამ სართულზე, ესა და ეს კაბა, ან პალტო, ან ჩექმა იყიდება (ისეთ წვრილმანებზე, როგორიცაა წინდა, საცვალი თუ თავსაფარი, ეს ხალხი თავს არ გაიფუჭებს – უფრო მაღალი დონეა). თენგო გეტყვით ფასს, რომელიც მაღაზიის ფასის, დაახლოებით, მეოთხედია, და შემნახველი საკნის ნომერს, სადაც თანხას დატოვებთ. დათქმულ დროს კი მიბრძანდებით და ნივთს წამოიღებთ. უმარტივესი, მაგრამ ბრძნული ჩანაფიქრია: არც თენგოს დააკლდება რამე, არც თქვენ – სანამ ფულს არ აიღებს, არაფერსაც არ მოგცემთ. ხოლო, თუ შეკვეთილ ნივთს არ მოიტანს, იცის, რომ პოლიციაში ანონიმურად დაასმენთ. ასეთი გამოცდილება მის "კოლეგებს" უკვე ჰქონდათ: მოვა პოლიცია, ათასგვარ სიკეთეს ნახავს და გამოუშვებს თენგოს თაზოსთან, მონატრებულ სამშობლოში, ირმების გადმოსახედში... ასე ბედნიერად გექნებათ თქვენ - ახალი ქურთუკი, თენგოს კი – თავისი წილი ბინის ქირის გადასახდელი ფული. ხომ მაგარი რაღაცა გასწავლეთ?

## საინტერესო საიტები

**http://www.daad.de/info-f-a/de/deutschland/index/html**
**http://www.daad.de/info-f-a/de/fuehrer/sommerkurse/index.html**

გერმანიაში სწავლის გაგრძელების მსურველთათვის ეს გვერდი შეიძლება განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდეს. აქ წარმოდგენილი ინფორმაცია სპეციალურად უცხოელი სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი და გთავაზობთ განმარტებებს ბანკების, ტრანსპორტის, სხვადასხვა კომუნიკაციებისა და საცხოვრებლის შესახებ.

აქვე მოცემულია ცნობები გერმანიის უმაღლეს სასწავლებლებში საზაფხულო კურსების შესახებ.

**http:/www.wgl.de**

wgl (Wissenschaftsgemeinschaft Gottfried Wilhelm Leibniz), ანუ ლაიბნიცის სახელობის სამეცნიერო საზოგადოება 79 კვლევითი ინსტიტუტის გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც 5 სექციადაა დაყოფილი. ამ მისამართზე თითოეული მათგანი წარმოგიდგენთ თავის უმთავრეს სამეცნიერო მიმართულებებსა და პარტნიორებს.

ეს ინტერნეტსაიტი საშუალებას გაძლევთ, სხვადასხვა პარამეტრის მიხედვით მოძებნოთ თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია( სექციის, ანბანის, აბრევიატურის და ბუნდესქვეყნის მიხედვით).

აქვე შეგიძლიათ, ნახოთ ინფორმაცია სტიპენდიების შესახებ.

**http:/www.hbz-nrw.de**

უმაღლეს სასწავლებელთა ბიბლიოთეკების ცენტრის (HBZ) ინტენეტსაიტი საშუალებას მოგცემთ, დაუკავშირდეთ სხვადასხვა ვირტუალურ ბიბლიოთეკას გერმანიაშიც და მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

**http:/www.avh.de**

ეს საიტი დააინტერესებს მათ, ვისაც ჰუმბოლტის სტიპენდიით გემანიაში სამეცნიერო მუშაობის გაგრძელება სურს. აქ სამ სხვადასხვა ფორმატში შეგიძლიათ მოიპოვოთ საჭირო დოკუმენტები და შეიტანოთ თქვენი განაცხადი.

**ჟანო ბაგრატიონის სახელობის ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდია**

აცხადებს ბავშვების მიღებას
6 წლიდან 13 წლის ჩათვლით.

მსურველებს გთხოვთ მობრძანდეთ ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13 სთ-დან 15 სთ-მდე.

მისამართი: საბურთალო, იოსებიძის ქუჩა №49, საქართველოს უნივერსიტეტი "VITA"-ს შენობაში.
ტელ: 26 25 26; 95 87 56, მობ. 8(77) 49 22 02

## ბინები

### იყიდება

სასწრაფოდ იყიდება 3-ოთახიანი, 132 კვ.მ არასტანდარტული ბინა ჩიქოვანის №18-ში. პირველი სართული. ფასი: 20000 $. ტელ: 98-40-41

იყიდება კავსაძეზე 1,5 ოთახიანი სამხატვრო ბინა-სახელოსნო მე-2 სართ.
ფასი: 14000.
ტელ: 893 31-17-72

იყიდება 2-ოთახიანი ლოჯიით 7(8), ბ/აირით და მუდმივი დენით დიდუბეში, გამოფენასთან. 34 42 40, 8(99) 26 05 64

იყიდება 2-ოთახიანი მაღალჭერიანი ბინა ევრო-რემონტით, თამარ მეფის გამზირზე N11. მე-5 სართული. 38-30-62, 8(99) 55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი ჩეხური გამზადებული ინტერნეტ-კაფესთვის, ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. მიცკევიჩის N18. 38-30-62, 8(99)55-04-48

იყიდება 2-ოთახიანი (გადაკ. 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი კუთხის ბინა. მე-9 სართულზე, საბურთალო, ზაქარიაძის №1 (მ. დელისის უკან) 100 კვ.მ., 3 აივნით, 2 ტუალეტით. 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/აირით, მუდმივი შუქით. ს/ფ 37 000.
ტელ: 69-64-27 ბელა
39-53-41 მარინა
877 495-490

შევიძენ ჩეხურ 2-ოთახიან, გარემონტებულ ბინას 4 500-ის ფარგლებში მე-2-5 სართულებზე ვარკეთილისა ან ვაზისუბნის მიდამოებში. 77 75 73

ვყიდი მხატვრის სახელოსნოს.
ტელ: 70-69-65
899 970234

იყიდება 3 ოთახიანი სტანდარტული ბინა. მაღალი ჭერით, დიდი აივნით. მეტრო დელისთან. ბუნებრივი აირით, გოგირდიანი წყლით. ტელეფონით. ფასი: 25 000$
ტელ: 39-80-48

იყიდება 4-ოთახიანი არასტანდარტული ბინა პეკინის 35. 140 კვ.მ. ფასი 32 000. 8(99) 56 27 54

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი ალმაშენებლის ქ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ვიქირავებ 1-ოთახიან გარემონტებულ, კომფორტულ ბინას მ. დელისის მახლობლად.
ტელ: 899 51 99 83

ვიგირავებ 1000-1500 დოლარის ფარგლებში იზოლირებულ ბინას. ტელ: 897 58 34 04, 897 58 34 00

ვიგირავებ 2- ან 3-ოთახიან ბინას ქალაქის ცენტრში 8-10 000-ის ფარგლებში. 95 10 04

ვიგირავებ 2- ან 3-ოთახიანს ქალაქის ცენტრში 6 000-მდე. 93 67 54

ქირავდება 2-ოთახიანი ბინა ბუდაპეშტის № 10-ში. მე-5 სართული. ავეჯით, რემონტით. ფასი 170 $. 8(99) 56 27 54

## კომერციული ფართი

სასწრაფოდ იყიდება 110 კვ.მ. კომერციული ფართი აეროპორტის ეზოში. 8(99) 14 14 01

სასწრაფოდ! იყიდება მომგებიანი, "ლუდის ბარი" დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე. წინამძღვრიშვილის 198. თანამედროვე დიზაინით, კეთილმოწყობილი, ყველა საჭირო ინვენტარით. ფასი შეთანხმებით. ტელ: 877 479860. სოსო ან აზა.

**ქირავდება!**

**კომერციული ფართი ვერაზე**

საუკეთესო საოფისე (კომერციული) ფართი 1 სართულზე, ქუჩიდან

იზოლირებული შესასვლელით, საერთო ფართი 110 კვ.მ.

მისამართი: ქიაჩელის ქ. 10 (რესპუბლიკის მოედანთან)

ტელ: 94-01-96, მობ. 899 518007

## მანქანები

იყიდება "ოპელ-ომეგა" (ფურგონი) 1991 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2100-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

სასწრაფოდ იყიდება 1991 წლის ფოსფორისფერი "ფორდ-ესკორტი" იდეალურ მდგომარეობაში ძრავა – 1,4; ეკონომიური (წვა – 6ლ 100 კილომეტრზე). ფასი – 2500 დოლარი. ტელ: 899 50 30 13, მაია.

იყიდება "ოპელ-ომეგა", "CD ბრილიანტი" 1990 წლის, კარგ მდგომარეობაში - 2200-ად (წყალდიდობაში არ მოყოლილა!).
ტელ: 8(24) 153814,
8(24) 1798 95

## სწავლება

მოვამზადებ იტალიურში. 33 10 48

ვასწავლი რუსულ ენას. 33 37 95

მოვამზადებ ებრაულში. 77 41 63

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში. 38 44 43, 61 29 76

შეგასწავლით კომპიუტერის საოფისე პროგრამებს (Windows, Word, Internet). მოგიძებნით ინტერნეტში ინფორმაციას, მათ შორის საზღვარგარეთ საქმიან (სამეცნიერო) პარტნიორებს. დაგეხმარებით საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაში. შეგიქმნით Web - გვერდს.

ტელ: 63-37-40 (საღამო), 33-17-59, 893 304942

კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი ინდივიდუალური კურსები: Windows, Word, Excell, Internet, E-mail - 60 ლარი. პროფესიული კურსი - 120 ლარი. Photo shop - 80 ლარი. Pagemaker - 60 ლარი. Adobe-premier - 200 ლარი
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908. 25-35-48, 23-53-69

## სხვადასხვა

გთავაზობთ: წიგნების, ჟურნალების, ბროშურების აკრეფვა-დაკაბადონებას, გაფორმებას, სავიზიტო ბარათების, ბლანკების დამზადებას, სხვადასხვა პოლიგრაფიულ მომსახურეობას.
მის. ი.ჭავჭავაძის №74, IX სართ. ოთახი - 908.
Tel/Fax: 25-35-48, 23-53-69

სესხება-გასესხება ბინის მყარი გარანტიით. 95 10 04

ვასრულებ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს შეღავათიან ფასებში. 57-11-26.

იყიდება კაპიტალური ავტოფარეხი ფალიაშვილის 48-ში. 23 35 12, 8(99) 28 99 66

სასწრაფოდ ვიგირავებ 2-ოთახიან ბინას 3000$-ად საბურთალოზე.
ტელ: 78-21-80 (საღამოს საათებში)

იყიდება კომპიუტერი "პენტიუმ-3" და "პენტიუმ-4".
ტელ: 35-37-28; 899 559338

**საქართველოში მომუშავე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების საყურადღებოდ**

საქართველოს პარლამენტის აპარატის პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი ა.წ. 1 ნოემბრიდან იწყებს საქართველოს პარლამენტში 2003 წლის ჟურნალისტთა აკრედიტაციისათვის განცხადების მიღებას. განაცხადი უნდა შედგეს საქართველოს პარლამენტის აპარატის რეგლამენტისა და პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტის დებულების დადგენილი წესის მიხედვით.

მადლობელი დაგრჩებით, თუ მასმედიის ხელმძღვანელები, განაცხადთან ერთად, ცალკე ფურცელზე მოგვაწვდიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მისამართს, ტელეფონის, ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის ნომრებს, აგრეთვე, აკრედიტებულ ჟურნალისტთა კოორდინატებს.

**განცხადების მიღება დასრულდება ა.წ. 1 დეკემბერს.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ნომრებზე: 99 00 00, 99 99 62

## განცხადება

ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმის ბაზაზე იხსნება
სამხატვრო სკოლა-სტუდია:

- **სკოლის მოსწავლეთათვის:**
ფერწერა, ხატვა, ქანდაკება, კომპოზიცია, გობელენი, მოდელირება, კომპიუტერული გრაფიკა, მულტიპლიკაცია, დიზაინი, არქიტექტურა, ხატწერა, რესტავრაცია, რელიგიისა და ხელოვნების ისტორია.
- **აბიტურიენტებისათვის:**
მოსამზადებელი ჯგუფი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში და იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში შესასვლელად (მიზნობრივი სწავლება).

სკოლა სტუდიის მოსწავლეები სისტემატიურად მიიღებენ მონაწილეობას საერთაშრისო და რესპუბლიკურ გამოფენებში. სასწავლო წლის ბოლოს მოეწყობა საზაფხულო შემოქმედებითი ბანაკი.
მოსწავლეები იმუშავებენ სამხატვრო სახელოსნოში და კომპიუტერულ კლასში.
სკოლა უზრუნველყოფილია გათბობით, მუდმივი დენით, მუშაობს ბუფეტი.
მეცადინეობა ჩატარდება კვირაში სამჯერ 15.00 საათზე.
მოსწავლეთა მიღება იწარმოებს მიმდინარე წლის 20 ოქტომბრიდან.
სწავლა დაიწყება 3 ნოემბერს.

**მისამართი:** ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
**ტელეფონი:** 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა ლიცეუმი.




## აფიშა

### თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**
ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა".
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
"ღამის სტუმარი", რეჟ. რამაზ სიხარულიძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
პრემიერა ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**TMS**
დიმიტრი ერისთავის ნამუშევრების პერონალური გამოფენა

**„ქარვასლა"**
მიშა იაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
ნუგზარ ტაბიძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ძველი გალერეა**
გეგა ქუთათელაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**N გალერეა**
კარლო კაჭარავას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
"ქალები მშვიდობისათვის", პლაკატების გამოფენა-კონკურსი
ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)

**გალერეა „ვერნისაჟი"**
ალექსანდრე გრიცაევის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი"**
"სკუბი დუ"
დას: 12:00; 16:00; 18;00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"ოსტინ პაუერსი-3"
დას: 14:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 6,7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"პატარა სტიუარტი"
დას: 15:00; 17;00 სთ; ფასი 5 ლარი
"ნიშნები", რეჟ. ნაით შამალანი; მთავარ როლში, მელ გიბსონი
დას: 19:00; 21:00 სთ; ფასი 7 ლარი

## TV პროგრამა 5 ნოემბერი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 ჯადოქარი
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 ქალთა ქვეყანა
10.40 ბურმანთა მეგზური
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი "მაცდური სიყვარული"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 ქალთა ქვეყანა
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 ჯადოქარი
18.45 სერიალი "ტალღის ქიმზე"
19.35 პერეკროსტოკი
20.05 სერიალი "მაცდური სიყვარული"
22.00 "ვის უნდა ოცი ათასი"
22.50 კურიერი
00.20 მხ.ფილმი "საათი"
02.30 კლასიკა.

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 "დრო და ფული"
09.55 მხ. ფილმი "არაფერი რობერის შესახებ"
11.40 "საკვირაო გამოფენა"
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი "რვაფეხა"
13.00 ნაშუადღევს
14.05 "ლერერის შოუ"
15.15 მხ. ფილმი "განკითხვის დღე"
17.00 სერიალი "ძილის წინ"
17.40 დოკ. სერიალი "დროშა"
18.00 ვესტნიკი
18.20 ბასტი-ბუბუ
18.40 "და არს მუსიკა"
19.05 "ვიდეოპატრული"
19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე"
21.00 სერიალი "რვაფეხა"
22.00 "დრო და ფული"
22.15 "ჩვენი ფეხბურთი"
23.00 "დღის ბოლოს"
23.40 ტელესერიალი "ძილის წინ"
00.00 მხ. ფილმი "სახლი, რომელიც სვიფტმა ააშენა"

### პირველი სტერეო

07.00 კლიპ-მიქსი
08.00 "ტოროლა"
11.00 "მუსიკალური ათეული" გამეორებით
13.00 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
13.45 მხ. ფილმი
17.00 "კომედია" მხ.ფ. "მაქს კიბლის შურისძიება"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 "მო"
21.00 ევროპული ათეული
22.00 ჩაძიროგანა
23.00 მოკლე სეანის
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ნოსტალგია მამილოზე"
01.40 "ღამურა" მხ.ფ. "კედლებს ლაპარაკი რომ შეეძლოთ".
03.10 ნონ-სტოპი

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "ნაციონალური ნადიროგის თავისებურებანი"
11.45 მუსიკალური კოლაჟი
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.20 "ვესტი"
12.25, 21.30 "სალონი"
14.00 მუსიკალური პაუზა
15.15 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
18.30 რუსული ენის გაკვეთილი
19.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი
20.00 მსოფლიო სპორტი
23.00 სტუდია "ეკონომისტი"
00.00 მუსიკა
00.40 მხ.ფ. "სიმართლე ძაღლებსა და კატებზე"

### იბერია

08.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
08.15 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.30 ბურთი და მოედანი
09.05 მხ. ფილმი "ხეივანი მთარის შექზე"
10.25 დოკ. სერიალი
10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, მუსიკა
10.50 მხ.ფ. "ტელეხედვა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
20.00 მხ.ფ. "ადამიანი - ორკესტრი"
22.30 ძველი კინო "უფრო მომხიბვლელი არასოდეს ყოფილხარ"
00.50 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ.ფილმი "ფლაბერი"
13.30 მხ. ფილმი "ბოროტების სავანე"
15.00 მხ. ფილმი "მემკვიდრეობა"
17.00, 19.00, 20.30, 00.00 "დღეს"
17.15 მხ. ფილმი "პოლიციის აკადემია"
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი "დიდი რბოლა"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი "ოჯახური ურთიერთობები"
20.30 ამბები ჩვენზე
21.00 დოკუმენტური ფილმი
21.30 ასპარეზი
22.10 ჰიტ-პარადი
22.20 მხ. ფილმი "მიყვარს"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
09.45 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
10.15 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
11.15 მხ. ფილმი "მშველელი"
12.45, 00.20 მუსიკა
13.00 დოკ. ფილმი "ტერორის მიღმა"
13.50 მაცაცერა
14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი"
14.45 დოკ. ფილმი "ივ სენ ლორანი"
15.30 ქართ. მხ. ფილმი "თეთრი ბაირაღები"
16.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება"
17.45 მულტფილმი "ბანანის ზოოპარკი"
18.15 საბავშვო სერიალი "ჰორასი და თინა"
18.45 "გაიხსენეთ საბჭოთა საქართველო"
19.00 მხ. სერიალი "მოჯადოვება"
20.00 "ევროპის სტადიონებზე"
21.10 "მსოფლიო კულტურის საგანძური". "ჯენე თიხის ქალაქი - მალი".
21.30 "მთავარი თემა"
22.15 მხ.ფ. "ქარის ცხენი"
00.40 მხ.ფ. "სიკვდილის დევნაში". მთ.

### აჭარის ტელევიზია

07.00, 08.00, 09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.40 სათავგადასავლო ფილმი "ჰაერის მეფე"
11.15 დოკუმენტური ფილმი
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 კომედია "ტრაგიკული ფანტოცი"
14.00 მხატვრული ფილმი "ბრონქსის ისტორია"
16.15, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.20 მულტფილმი "მელია და მონადირე ძაღლი"
17.40 მხატვრული ფილმი "ქალბატონის ვიზიტი"
19.20, 22.30, 00.30 "ნოვოსტი"
19.40 კომედია "მასწავლებელი და ურჩხული"
21.00 ქართული მხატვრული ფილმი "ყველაზე სწრაფები მსოფლიოში"
22.00, 00.00 "დღეს"
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 მხატვრული ფილმი "უკანასკნელი დონი"
03.40 მხატვრული ფილმი "აქ მდინარე მოედინება"

### VII არხი

09.00 ანონსი
09.05 ამინდის პროგნოზი
09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა
09.35 "აჩიკუდა"
10.00 "ბედნიერი ერი"
10.05 "სახლიდან გაუსვლელად"
10.45 "ავტოტრეკინგი"
11.30 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
12.05 ანიმაცია
12.30 "სახლიდან გაუსვლელად"
13.00 "ბიორითმი"
13.20 დისნეი და მისი მეგობრები
13.40 "სახლიდან გაუსვლელად"
14.20 სპორტი
18.10 პრესა
18.20 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.40 "სახლიდან გაუსვლელად"
20.10 "ფაქტი, აზრი, კომენტარი"
20.20 სპორტული პროგრამა - "ევროპული ფეხბურთი"
21.00 "ღამის კაპრიზი"
22.20 "სახლიდან გაუსვლელად" -
22.45 "კინოკლუბი" - "ბრმა მართლმსაჯულება".
00.10 პრესის მიმოხილვა
00.30 "სახლიდან გაუსვლელად"
01.00 "ბიორითმი"
01.25 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
11.05 Независимое расследование
11.55 "Фабрика звезд"
12.25 "Ералаш"
12.35 Дисней-клуб
13.15 Детектив "ГЕНИЙ И ЗЛОДЕЙСТВО"
15.00 Жди меня (с сурдопереводом)
16.15 "Фабрика звезд"
16.45 Детектив "ДОПОЛНИТЕЛЬНЫЙ ПРИБЫВАЕТ НА ВТОРОЙ ПУТЬ", 1 с.
18.00 "Большая стирка"
19.25 "Сами с усами"
20.00 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ"
20.55 "Последний герой 2". "Разбитое сердце"
22.00, 01.00 Время
22.40 Сериал "НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ", 2 с.
23.45 "Дворцовые тайны времен Леонида Брежнева". Фильм
1 00.30 "Фабрика звезд"
01.20 "Теория невероятности"
01.50 "Идолы. Софи Лорен"
02.20 Комедия "ЖЕНЩИНА ЗА РУЛЕМ"

### РТР

06.45 "Доброе утро, Россия".
09.45 Сериал "ТАЙГА".
10.35 "МАРШ ТУРЕЦКОГО-2. ЗАГОВОР ГЕНЕРАЛОВ".
11.30 "Мальчик с пальчик". Мультфильм.
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.15 ВЕСТИ
12.20 Ток-шоу "Цена успеха".
13.15 "Комиссар Рекс". Телесериал.
14.15 "Экспертиза".
14.30 "Колоссальное хозяйство".
14.45, 19.20, 21.35 ВЕСТИ-МОСКВА.
15.20 "Что хочет женщина". Ток-шоу.
16.25 х.ф. "БЕЗУМНАЯ ЛОРИ". 2-я с.
17.45 "Том и Джерри". Мультсериал.
18.20 "Вокруг света".
19.50 Сериал "ВОРОВКА. СЧАСТЬЕ НАПРОКАТ".
20.50 Спокойной ночи, малыши!
21.50 Сериал "ТАЙГА".
22.50 "МАРШ ТУРЕЦКОГО-2. ЗАГОВОР ГЕНЕРАЛОВ".
23.55 ВЕСТИ. ДЕЖУРНАЯ ЧАСТЬ.
00.30 х.ф."ПОСЛЕДНИЙ ПАТРУЛЬ" (США)
02.25 "Дорожный патруль".
02.30 "Горячая десятка".



ფეხბურთი

# ახალი რეკორდი ევროპაში

*გასულ უქმეებზე ერთი უნიკალური რეკორდი დამყარდა. შვეიცარიის ჩემპიონატში "ვილმა" 11:3 მოუგო "სენტ გალენს". ეს შვეიცარიის ახალი რეკორდია. წინა მიღწევა დაფიქსირდა 1962 წელს, როცა ჟენევის "სერვეტმა" "გრენჰენი" გაანადგურა - 11:2. აღსანიშნავია, რომ "ვილი" უძლიერესთა შორის წლეულს გადავიდა და პირველივე სეზონში ახალი რეკორდი დაამყარა. ამ მოგებით გუნდმა სატურნირო ცხრილში მეოთხე საფეხურზე გადაინაცვლა, მაგრამ ეს სულაც არ იყო ევროპის სტადიონებზე მომხდარი უმნიშვნელოვანესი მოვლენა.*

კახა ფაჩუაშვილი



"ვერდერთან" მატჩის შემდეგ ჰიონესსა და ჰიტცფელდს სახეზე ფერი აღარ ედოთ

REUTERS

### გერმანია

*ნიურნბერგი - გლადბახი 2:1, მიუნხენ 1860 - არმინია 3:1, ჰანზა - კაიზერი 2:2, ჰანოვერი - ვოლფსბურგი 3:!, კოტბუსი - შალკე 0:1, დორტმუნდი - ჰამბურგი 1:1, ბაიერი - შტუტგარტი 0:1, ვერდერი - ბაიერნი 2:0, ბოხუმი - ჰერტა 3:0.*

თუ უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე ვისაუბრებთ, აუცილებლად გერმანიის სტადიონებზე უნდა გადავინაცვლოთ. იქ მიუნხენის "ბაიერნის" გვემა გრძელდება. მიუნხენური კლუბი, რომელიც, სეზონის დაწყებამდე, ყველაფრის ფავორიტად მიიჩნეოდა (ჩემპიონთა ლიგა, ბუნდესლიგა), რბილად რომ ვთქვათ, აშკარა კრიზისს განიცდის, რეალურად კი უიმედო მდგომარეობაშია. გერმანელი ჟურნალისტები აღიარებენ, რომ "ბაიერნის" ხელმძღვანელობამ, უბრალოდ, არ იცის, კრიზისის დაძლევის გზები.

ასეთი უსუსური ბეკენბაუერი არავის უნახავს. ამპარტავნობა და სიამაყე, რაც მას ყოველთვის ახასიათებდა, უეცრად სადღაც გაქრა. ოპტიმიზმის ნიშანწყალი აღარც გამოუსწორებელ ოპტიმისტ ოტმარ ჰიტცფელდს ეტყობა. და თამაშობს "ბაიერნი" წაგებიდან წაგებამდე. უკანასკნელი ოთხი მატჩიდან ჰიტცფელდის გუნდმა სამი წააგო, ხოლო ბუნდესლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერს, "ჰანოვერს", საკუთარ მოედანზე დაუზავდა - 3:3. ეს კი, არათუ "ბაიერნისთვის", ნებისმიერი ამბიციური კლუბისთვის მეტისმეტია, მაგრამ პრობლემაც ის არის, რომ არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ეს "მეტისმეტი" და შეურაცხყოფამდე მისული წაგების სერია.

აშკარაა, რომ "ბაიერნს" რეფორმების განხორციელება მოუწევს, რადგან ვერც დაცვამ და ვერც ნახევარდაცვამ თავისი უმთავრესი ფუნქცია ვერ შეასრულეს. "ბაიერნს" ვერც ოლივერ კანის დაბრუნებამ უშველა - "ვერდერმა" გერმანიის ყველაზე ტიტულოვან კლუბს ორი უპასუხო გოლი გაუტანა: ერთი საჯარიმო დარტყმიდან, მეორე კი - კუთხურის გათამაშების შემდეგ. ორივე შემთხვევაში დაცვის შეცდომა აშკარა იყო.

ანალოგიურ მდგომარეობაშია ლევერკუზენის "ბაიერიც", მაგრამ მისი ეს მდგომარეობა აღარავის უკვირს. ლევერკუზენის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არცთუ ისე თვალშისაცემია. ტოპმიოლერის გუნდმა სეზონის წინ სერიოზული დანაკლისი განიცადა. ბალაკი და ზე რობერტო "ბაიერნში" გადავიდნენ. გერმანელებს სწორედ ამიტომ არ უკვირთ "ასპირინების" ჩავარდნა და ამიტომვე უკვირთ ბავარიელთა წარუმატებლობა.

საერთოდ, ბუნდესლიგის ჩემპიონატის მე-11 ტური ფავორიტთათვის უიღბლო გამოდგა. ბავარიელთა მსგავსად, მარცხი განიცადა ლევერკუზენის "ბაიერმაც", ხოლო ქვეყნის ჩემპიონი, დორტმუნდის "ბორუსია", "ჰამბურგთან შეხვედრაში ფრეს დასჯერდა - 1:1. ბუნდესლიგის ჩემპიონატს კი, ორქულიანი მარაგით, კვლავ მიუნხენის "ბაიერნი" ლიდერობს.

### ესპანეთი

*დეპორტივო - რეალი 0:0, ატლეტიკო - რაიო ვალეკანო 2:0, ვალიადოლიდი - მალიორკა 1:3, რასინგი - ბარსელონა 1:1, ალავესი - სევილია 1:0, ესპანიოლი - ვალენსია 0:1, ოსასუნა - რეკრეატივო 0:1, ბეტისი - მალაგა 3:0, ბილბაო - სელტა 2:1, ვილიარეალი - სოსიედადი 0:1.*

ბასკურმა გუნდმა უძლიერესი სტარტი აიღო. სან-სებასტიანის "რეალ სოსიედადი" ესპანეთის პრიმერადივიზიონში ერთადერთი კლუბია, რომელიც ჯერ არ დამარცხებულა. არადა, ბასკებმა წინა სეზონში მხოლოდ ბოლო ტურებში მოახერხეს უძლიერესთა შორის ადგილის შენარჩუნება. სან-სებასტიანში ფიქრობენ, რომ თუ გუნდმა თამაში ასეთი ტემპით გააგრძელა, შეიძლება მადაზე მოვიდეს და ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაც იბრძოლოს. "ვილიარეალთან" შეხვედრაში, ნიხატის გოლი ერთადერთი, მაგრამ გამარჯვებისთვის სავსებით საკმარისი აღმოჩნდა. ახლა "სოსიედადი" სამი ქულით უსწრებს, "ვალენსიას", რომელმაც, ასევე სტუმრად, კატალონიაში დაძლია "ესპანიოლის" ბარიერი - 0:1.

"სოსიედადმა" და "ვალენსიამ" კი გაიმარჯვეს, მაგრამ ესპანური ფეხბურთის გრანდებმა ქულები დაკარგეს. "ბარსელონა" სანტანდერში დასჯერდა ფრეს - 1:1, ხოლო "დეპორტივომ" და მადრიდის "რეალმა" გალისიაში გაიყვეს ქულები - 0:0. ლუის ვან გაალს თუ დავუჯერებთ, მისი გუნდი საუკეთესოა პირენეებზე და ეროვნულ ჩემპიონატში უფერული გამოსვლა ჩემპიონთა ლიგის დაძაბულ ტურნირს უნდა მივაწეროთ. "როგორც კი ჩემპიონთა ლიგაში შესვენება გამოცხადდება, გუნდი პრიმერადივიზიონშიც დაიწყებს მოგებას", - განმარტა ლუის ვან გაალმა.

### იტალია

*ტორინო - ბრეშა 0:2, უდინეზე - ბოლონია 0:0, პარმა - კიევო 0:1, ემპოლი - ლაციო 1:2, კომო - ინტერი 0:2, მოდენა - იუვენტუსი 0:1, ატალანტა - პიაჩენცა 2:0, რომა - პერუჯა 2:2, მილანი - რეჯინა 2:0.*

იტალიაში ფავორიტებმა მოიგეს. მხოლოდ კაპელოს "რომას" დაუცდა ფეხი. ჩვენთვის კი საყურადღებო ის იყო, რომ მილანის შემადგენლობაში კვლავ მთელი მატჩი ჩაატარა კახა კალაძემ და იტალიელი ჟურნალისტების მოწონებაც დაიმსახურა. საერთოდ, წლევანდელი "მილანი" უაღრესად დიდი შესაძლებლობების კლუბია. ამას კლუბში რივალდოსა და ნესტას გადასვლით ხსნიან. კარლო ანჩელოტი საც არაერთხელ უთქვამს, რომ მისი გუნდის მთავარი მარგალიტი სწორედ ეს ორი ფეხბურთელია.

"მილანს" შეუძლია, დაასვენოს ანდრეი შევჩენკო ან რივალდო და მაინც გაიმარჯვოს. ამჯერად კარლო ანჩელოტის არჩევანი უკრაინელზე შეჩერდა. მან შევჩენკო დაასვენა და შეტევაში ინძაგი გაამწესა. არც შემცდრა. წლეულს ინძაგი შეუდარებელია. მასთან ერთად გუნდი ხშირად იგებს, შევჩენკოთი გაძლიერებული კი აგებს (მაგალითად, საფრანგეთში, "ლანსის" წინააღმდეგ).

ინძაგის მე-100 გოლმა სერია "A"-ში "მილანის" გამარჯვებას დაუდო საფუძველი. თავისი გოლი რივალდომაც გაიტანა და ანჩელოტისთვის ნათელი გახდა, რომ რუი კოშტა-რივალდო-ინძაგის ტრიო შეტევაში გაცილებით უფრო ეფექტიანად მოქმედებს, ვიდრე შევჩენკო-ტომასონის დუეტი. ამიტომ, ადვილი შესაძლებელია, "მანჩესტერ იუნაიტედმა" საწადელი აისრულოს და უკრაინელი სუპერფორვარდი გადაიბიროს. მით უფრო, რომ "მილანს" ვალების გასტუმრება გადაუწყვეტია (მისი ვალი 33,2 მილიონი ევროა), მანჩესტერელები კი მილანელებს ფაბიენ ბარტეზსა და 30 მილიონ ევროს სთავაზობენ. ასეა თუ ისე, "მილანი" სატურნირო ცხრილში მეორე პოზიციას ინარჩუნებს და გათამაშების ლიდერს, "ინტერს", სამი ქულით ჩამორჩება.

### ინგლისი

*ვესტ ბრომვიჩი - სიტი 1:2, მანჩესტერი - საუთჰემპტონი 2:1, ლივერპული - ვესტ ჰემი 2:0, ბირმინგემი - ბოლტონი 3:1, ჩარლტონი - სანდერლენდი 1:1, ლიდსი - ევერტონი 0:1, ბლექბერნი - ასტონ ვილა 0:0, ტოტენჰემი - ჩელსი 0:0, ფულჰემი - არსენალი 0:1.*

ლონდონის "არსენალმა", როგორც იქნა, შეწყვიტა ოთხმატჩიანი წარუმატებელი სერია. ფრანგი სტივ მარლეს შეცდომა, რომელიც მეორე ფრანგის, ტიერი ანრის ჩაწოდებულს მოჰყვა, ძვირად დაუჯდა ლონდონის "ფულჰემს". მარლემ ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და "მეთოფეებმა" მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხეს თანაქალაქელი "ფულჰემი". არსენ ვენგერის გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში შეუჩერებლად უტევდა და, "ფულჰემის" ჰოლანდიელი მეკარე ედვინ ვან დერ საარი რომ არა, ანგარიში გაცილებით დიდი იქნებოდა.

მეორე ლონდონურმა დერბიმ მშვიდობიანად ჩაიარა. "ტოტენჰემისა" და "ჩელსის" შეხვედრა უგოლოდ დამთავრდა. მორიგი გამარჯვება მოიპოვა "მანჩესტერ იუნაიტედმა". გამარჯვების გოლი 85-ე წუთზე დიეგო ფორლანმა გაიტანა. მთავარი მოვლენები "ლიდსისა" და "ევერტონის" შეხვედრაში განვითარდა. იორკშირში სპეციალისტთა ყურადღების ცენტრში კვლავ მოხვდა "ევერტონის" ახალგაზრდა ფორვარდი უეინ რუნი. მან ძლიერი, ზუსტი დარტყმით, ლონდონის "არსენალის" 25-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა. ლიდსში კი მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე გამარჯვების გოლი გაიტანა.

"ლიდსის" ხელმძღვანელობა ახლა ნანობს, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დევიდ ო`ლირი გაათავისუფლა. საათივით აწყობილი გუნდი ხუხულასავით დაინგრა. ტერი ვენეიბლზმა კი, დიდი გამოცდილების მიუხედავად, გამოსავალი ვერაფრით მოძებნა. "ლიდს იუნაიტედი" მისთვის უჩვეულო მე-13 ადგილზეა. პრემიერლიგას კი 30 ქულით ლიდერობს "ლივერპული", რომელმაც იოლად დაამარცხა ლონდონის "ვესტ ჰემი" - 2:0.

#### გერმანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 11 | 7 | 2 | 2 | 26:13 | 23 |
| დორტმუნდი | 11 | 5 | 6 | 0 | 17:7 | 21 |
| მიუნხენი | 11 | 6 | 2 | 3 | 18:13 | 20 |
| ვერდერი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:19 | 20 |
| შალკე | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 19 |
| ბოხუმი | 10 | 5 | 2 | 3 | 23:16 | 17 |
| შტუტგარტი | 11 | 4 | 5 | 2 | 17:12 | 17 |
| ვოლფსბურგი | 11 | 5 | 1 | 5 | 12:14 | 16 |
| ჰერტა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 16 |
| ჰანზა | 11 | 4 | 2 | 5 | 13:10 | 14 |
| არმინია | 11 | 4 | 2 | 5 | 12:19 | 14 |
| ნიურნბერგი | 11 | 4 | 1 | 6 | 14:18 | 13 |
| ჰამბურგი | 11 | 4 | 1 | 6 | 12:18 | 13 |
| ბაიერი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | 12 |
| ჰანოვერი | 11 | 3 | 3 | 5 | 21:26 | 12 |
| გლადბახი | 11 | 3 | 2 | 6 | 11:10 | 11 |
| კაიზერი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:14 | 7 |
| კოტბუსი | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | 5 |

#### ესპანეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 8 | 6 | 2 | 0 | 20:12 | 20 |
| ვალენსია | 8 | 5 | 2 | 1 | 17:5 | 17 |
| მალიორკა | 8 | 5 | 0 | 3 | 11:10 | 15 |
| სელტა | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 14 |
| დეპორტივო | 8 | 4 | 1 | 3 | 11:12 | 13 |
| ბეტისი | 8 | 3 | 4 | 1 | 16:9 | 13 |
| რეალი | 8 | 3 | 4 | 1 | 14:8 | 13 |
| ბარსელონა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:13 | 12 |
| მალაგა | 8 | 3 | 3 | 2 | 16:16 | 12 |
| ატლეტიკო | 8 | 2 | 5 | 1 | 12:8 | 11 |
| რასინგი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:8 | 11 |
| ვალიადოლიდი | 8 | 3 | 1 | 4 | 8:11 | 10 |
| ვალეკანო | 8 | 2 | 2 | 4 | 10:14 | 8 |
| ალავესი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:18 | 8 |
| ბილბაო | 8 | 2 | 2 | 4 | 9:17 | 8 |
| ესპანიოლი | 8 | 2 | 1 | 5 | 7:13 | 7 |
| ვილიარეალი | 8 | 1 | 4 | 3 | 9:10 | 7 |
| სევილია | 8 | 1 | 4 | 3 | 6:8 | 7 |
| ოსასუნა | 8 | 1 | 2 | 5 | 10:17 | 5 |
| რეკრეატივო | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | 5 |

#### იტალია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:4 | 19 |
| მილანი | 7 | 5 | 1 | 1 | 21:5 | 16 |
| იუვენტუსი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| ლაციო | 7 | 4 | 2 | 1 | 12:7 | 14 |
| ბოლონია | 7 | 3 | 3 | 1 | 8:5 | 12 |
| კიევო | 7 | 4 | 0 | 3 | 11:9 | 12 |
| რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 16:12 | 11 |
| ემპოლი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:9 | 10 |
| პარმა | 7 | 2 | 3 | 2 | 10:9 | 9 |
| მოდენა | 7 | 3 | 0 | 4 | 6:11 | 9 |
| ბრეშა | 7 | 2 | 2 | 3 | 10:12 | 8 |
| პერუჯა | 7 | 2 | 2 | 3 | 9:13 | 8 |
| უდინეზე | 7 | 2 | 2 | 3 | 4:8 | 8 |
| პიაჩენცა | 7 | 2 | 1 | 4 | 7:11 | 7 |
| რეჯინა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| ატალანტა | 7 | 1 | 1 | 5 | 6:13 | 4 |
| კომო | 7 | 0 | 4 | 3 | 4:10 | 4 |
| ტორინო | 7 | 1 | 0 | 6 | 3:14 | 3 |

#### ინგლისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 12 | 9 | 3 | 0 | 24:9 | 30 |
| არსენალი | 12 | 8 | 2 | 2 | 27:13 | 26 |
| მანჩესტერი | 12 | 6 | 4 | 2 | 16:9 | 22 |
| ტოტენჰემი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:16 | 20 |
| ევერტონი | 12 | 6 | 2 | 4 | 15:15 | 20 |
| ჩელსი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:12 | 20 |
| ბლექბერნი | 12 | 5 | 4 | 3 | 18:13 | 19 |
| მიდლსბრო | 11 | 5 | 3 | 3 | 15:8 | 18 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 16:15 | 16 |
| საუთჰემპტ. | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| ფულჰემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:15 | 15 |
| ბირმინგემი | 12 | 4 | 3 | 5 | 14:15 | 15 |
| ლიდსი | 12 | 4 | 2 | 6 | 13:13 | 14 |
| სიტი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:18 | 14 |
| ასტონ ვილა | 12 | 3 | 3 | 6 | 7:11 | 12 |
| ჩარლტონი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:17 | 11 |
| ვესტ ჰემი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 11 |
| ვესტ ბრომ. | 12 | 3 | 1 | 8 | 9:20 | 10 |
| სანდერლენდი | 12 | 2 | 4 | 6 | 6:16 | 10 |
| ბოლტონი | 11 | 2 | 2 | 7 | 11:21 | 8 |

ძიუდო

# ზვიადაურმა გრანპრი მოიგო

*შარშან მოსკოვში, გრანპრის სახით, ძიუდოს ისტორიაში ახალი ფურცელი გადაიშალა. საჭიდაო სახეობები შეჯიბრებების სიუხვით არ გამოირჩევა. შეიძლება ითქვას, რომ, გრანპრის დაარსებით, მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორდა. ყოველ შემთხვევაში, ძიუდომ ამისკენ ნაბიჯი გადადგა. წლეულს კი რიგით მეორე გრანპრი გაიმართა. მასში, ისევე როგორც შარშან, ქართველი სპორტსმენებიც გამოდიოდნენ.*

გიგა გურასაშვილი

შეჯიბრებას ამჯერადაც რუსეთის დედაქალაქმა უმასპინძლა. 100-ათასდოლარიანი საპრიზო ფონდიდან საკუთარი წილის ასათვისებლად პაექრობებში 20 ქვეყნის 58 ძიუდოისტმა იასპარეზა. შეჯიბრებაზე გამოსვლის უფლება ენიჭებათ ოლიმპიური წონითი კატეგორიების - 60კგ; 66კგ; 73კგ; 81კგ; 90კგ; 100კგ და 100+კგ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენებს. მათი შერჩევის კრიტერიუმი კი ბოლო ოლიმპიურ თამაშებზე, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული შედეგებით განისაზღვრება. ამასთან, გრანპრიზე წარმატებას ისიც ართულებს, რომ იგი ოლიმპიური სისტემით - ყოველგვარი სანუგეშო ორთაბრძოლებისა და მესამე ადგილისთვის პაექრობების გარეშე ტარდება. ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიხედვით, შარშანდელ ასეთივე ტურნირზე ასპარეზობის უფლება სამ ქართველ ძიუდოისტს - ზურაბ ზვიადაურს, ივერი ჯიქურაულს და გიორგი ვაზაგაშვილს მიეცათ. ზვიადაურმა და ჯიქურაულმა ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. რაც შეეხება ვაზაგაშვილს, მას მოსკოვში არ უჭიდავია, რაც ცალკე საუბრის თემაა. თუმცა, აქვე გეტყვით, რომ, უკვე ორი წელიწადია, ვაზაგაშვილს საბერძნეთის სახელით ასპარეზობა სურს. რაკი მას უცხოეთში წასვლის უფლებას არ აძლევენ, ამიტომ მოსკოვში საქართველოს სახელითაც არ გამოსულა. როგორც მაშინ ვაზაგაშვილის ოჯახიდან გვაცნობეს, ის მოსკოვში ავადმყოფობის გამო ვერ წავიდა.



ზურაბ ზვიადაურის "საფირმო" კისრული

გრანპრის ახლანდელ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მიეცა ისევ სამ ქართველ ძიუდოისტს - ზურაბ ზვიადაურს (90კგ), ნესტორ ხერგიანს (60კგ) და დავით ქევხიშვილს (73კგ). ყველაზე უკეთ ზვიადაური გამოვიდა. მან ყველა მეტოქე დაამარცხა და, ჩემპიონობასთან ერთად, 6 ათასი დოლარიც ერგო. ხერგიანს კი ერთი ნაბიჯი დააკლდა ფინალში გასასვლელად. მან ბრინჯაოს მედალი და 2 ათასი დოლარი მიიღო. პირველივე წრეში მარცხის გამო ასპარეზობას გამოეთიშა ქევხიშვილი.

შარშან, ნიუ-იორკის ტერაქტის გამო, მოსკოვში ჩასვლისგან თავი შეიკავეს სპორტის ამ სახეობის ფუძემდებლებმა - იაპონელებმა. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მოსკოვში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ მათ უკან არ დაუხევიათ და გათამაშებას მეტი ხიბლიც შესძინეს. თუმცა, გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასვლის პატივი ამომავალი მზის ქვეყნიდან მხოლოდ ერთს - ეგუზას (60კგ) ერგო. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტ წარმატებას მასპინძლებმა მიაღწიეს. მათ 8 მედალი მოიპოვეს, აქედან სამ-სამი ოქრო და ვერცხლი, ორი კი - ბრინჯაო. თითო ჩემპიონი ჰყავთ იაპონიას, საქართველოს, ესტონეთსა და ჰოლანდიას. რუსთა წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს ბუჩუკურმა და ფიფიამ. მათ, შესაბამისად, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.

რაგბი

# ბურგუნდიას „დათვები" შეესივნენ

*წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას ევროპის რეგიონთა თასზე ბათუმის "დათვები". გუშინწინ, აჭარის რეგიონის სახელით მოასპარეზე გუნდმა, გათამაშების მერვედფინალში, საფრანგეთის ბურგუნდიის პროვინციის ნაკრები დაამარცხა - 13:9.*

პაატა თოთაძე

ფრანგებთან დაპირისპირებამდე ბათუმელებმა ჯერ დანიელთა, შემდეგ კი უელსელთა წინააღმდეგობა საკმაოდ იოლად დაძლიეს. დანიელებს ქართველი მორაგბეები ესტუმრნენ და დაამარცხეს - 61:0. ანგარიშიდანაც კარგად ჩანს, როგორი განსხვავება იყო კლასში მეტოქეთა შორის. საერთოდ, ეს ტურნირი პრესტიჟით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, უცხოურ კლუბებთან თამაში ქართველებს წაადგებათ და არც მოპოვებული ჯილდო აწყენს.

მატჩი ქართველთა უპირატესობით წარიმართა. ანგარიშიც მათ გახსნეს - ემზარ ძაგნიძის მიერ ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი. ამის შემდეგ მასპინძლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, ტაიმის ბოლომდე რამდენჯერმე სახიფათოდაც შეუტიეს, მაგრამ ბათუმელებმა დაცვაში კარგად ითამაშეს და ფრანგებიც მხოლოდ ორი საჯარიმო დარტყმით მოპოვებულ ექვს ქულას დასჯერდნენ. ტაიმიც ასე დამთავრდა – 6:3 მასპინძელთა სასარგებლოდ.

თუ პირველი ტაიმის ბოლოს ფრანგები უკეთ გამოიყურებოდნენ, მეორეში უპირატესობას მთლიანად სტუმრები ფლობდნენ. ყურაშვილის ლელოც ამ უპირატესობის ლოგიკური შედეგი იყო. შეტევა, საკუთარი ჩათვლის მოედნიდან, ემზარ ძაგნიძემ დაიწყო. შემდეგ ბურთმა პინჩუკოვის, ხონელიძის, ისევ პინჩუკოვის, ძაგნიძის ხელში გაიარა და მიაღწია ბექა ყურაშვილამდე, რომელმაც პირდაპირ ცენტრში დაამიწა ბურთი.

ამის შემდეგ კიკნაძის ჯერი დადგა. ბათუმელთა დამრტყმელმა გარდასახვა ზუსტად შეასრულა, მატჩის ბოლომდე ერთი ჯარიმა გაიტანა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა.

“ამ გამარჯვებას ვუძღვნი ყველას, ვინც ჩვენ და ქართულ რაგბის გულშემატკივრობდა. მართლაც, რთული მატჩი იყო, მაგრამ ბიჭებმა ყველა დავალება ზუსტად შეასრულეს. ამიტომაც თამაში ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა. მართალია, იყო პერიოდი, როცა უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ და მაგრადაც შემოგვიტიეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა, რაც მთავარია, ეს შეტევები მოვიგერიეთ”, - განუცხადა “24 საათს” ბათუმის აეროპორტში საფრანგეთიდან გუშინ ღამით დაბრუნებული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ლევან მგელაძემ.

კრივი

# კონსტანტინ ცზიუ კვლავ იხსუბებს

*ავსტრალიელი კრივის მოყვარულები მოუთმენლად ელიან 18 იანვარს, როცა მათი კერპი, ტომით რუსი კონსტანტინ ცზიუ მელბურნში ამერიკელ ჯესი ჯეიმს ლეიხოს შეხვდება. კონში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულია, რომელსაც ამჟამად ცზიუ ფლობს. ცზიუს მწვანე კონტინენტზე ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი პროგნოზებისგან თავს იკავებს.*

კონსტანტინ ცზიუს განმარტებით, მომავალი ბრძოლის წინ მთავარია ცივი გონებისა და სიმშვიდის შენარჩუნება. "გამარჯვებას აღფრთოვანება და მედიდურობა არ უყვარს. პირიქით, არაერთხელ მსოფლიო კრივის ისტორიაში, დიდი მოკრივეები სწორედ თავდაჯერებულობის მსხვერპლი გამხდარან. ამიტომ, პირველ ყოვლისა, ვცდილობ, საკუთარ თავს მკაცრი დისციპლინა დავუწესო", - ამბობს ცზიუ.

63,5 წონითი კატეგორიის მოკრივემ ლეიხოსთან ბრძოლისთვის მზადების პერიოდი რამდენიმე ეტაპად დაყო. პირველ ეტაპს ცზიუმ "ბრძოლის მოდელი" უწოდა. ეს ეტაპი 10-კვირიანია და უმკაცრეს დისციპლინასა და ყოველდღიურ ვარჯიშს გულისხმობს. ფიზიკური დატვირთვა ყოველდღიურად გაიზრდება. "მინდა, მივაღწიო იმას, რომ დილით, გაღვიძებისას, სხეულის ყველა კუნთი მტკიოდეს", - ამბობს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი.

ამასობაში ყოველდღიურად იზრდება ბილეთებზე მოთხოვნილება. უკვე გაყიდულია 11 ათასი ბილეთი და, როგორც ცზიუ აცხადებს, ჩხუბის ნახვის მსურველთა რაოდენობა იანვრამდე კიდევ უფრო გაიზრდება. "დარწმუნებული ვარ, ბილეთების რეალიზაციის პროცენტი სამჯერ მაინც გაიზრდება. ასეთი რანგის ბრძოლა ხომ ავსტრალიაში პირველად იმართება", - აცხადებს კონსტანტინ ცზიუ.

კრივის სამყაროში მიიჩნევენ, რომ ცზიუ უნიკალური მოკრივეა. მას შეუძლია, რამდენიმე კვირაში ისეთ კონდიციამდე მივიდეს, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს. იგი არაორდინარული ცხოვრებითაც გამოირჩევა. უყვარს მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღება. ახლახან მოკრივემ თავის ქომაგებს სიურპრიზი შესთავაზა. გამოაქვეყნა ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელსაც ჰქვია: "კოსტია: ჩემი ისტორია".

მოკრივემ აღიარა: "როცა წიგნს ვწერდი, ჩემ თვალწინ მთელმა ცხოვრებამ გაიარა. ვიცინე კიდეც და ცრემლიც ვღვარე. გონებით მშობლიურ ადგილებში ვმოგზაურობდი. რამდენი დრო გასულა მას შემდეგ. იმედი მაქვს, წიგნი მკითხველს დააინტერესებს და უკეთ გამიცნობს", - ამბობს ცზიუ.

"პირობებს, რომელშიც გავიზარდე, არ შეიძლება, ნორმალური ეწოდოს, - წერს თავის წიგნში კონსტანტინ ცზიუ, - იმისთვის, რომ ოცნება რეალობად გადამექცია - გავმხდარიყავი მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი - ბევრი წინაღობისა და უკეთურობის დაძლევა მომიხდა".

მოკლედ

**ფეხბურთი.** ელისტის “ურალანის” მეკარე იური ოყროშიძე თანხმაა, ითამაშოს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრების შემადგენლობაში. შეგახსენებთ, რომ ოყროშიძეს, რომელიც “ურალანში” მისვლამდე სანკტ-პეტერბურგის “ზენიტისა” და მოსკოვის “ცსკა”-ს რიგებს იცავდა, ადრეც არაერთხელ მიუღია მსგავსი წინადადება, მაგრამ ყოველთვის უარზე იყო. ამჟამად ელისტის “ურალანის” მთავარი მწვრთნელია რევაზ ძოძუაშვილი და, როგორც ჩანს, ნაკრებისთვის მეკარის დასაბევებლად კარგად გაისარჯა. მეორე საკითხია, რამდენად სჭირდება ალექსანდრე ჩივაძეს ოყროშიძის სამსახური. მართალია, საქართველოს ნაკრებს მაღალი კლასის მეკარეები არ ჰყავს, მაგრამ არც ოყროშიძეა იმ დონის გოლკიპერი, რომ ეროვნული ნაკრების მეკარეებს, დავით გვარამაძეს და გიორგი ლომაიას, ძირითად შემადგენლობაში კონკურენცია გაუწიოს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ოყროშიძე ამჟამად რუსული საზომებითაც საშუალოზე დაბალი რანგის გუნდში, ელისტის “ურალანში” თამაშობს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** “მანჩესტერ იუნაიტედის” კაპიტანმა დევიდ ბექჰემმა ორი დღის წინ განაცხადა, რომ საკუთარი ოჯახის წევრების დასაცავად უსაფრთხოების დამატებითი ზომების მიღებას აპირებს. ფეხბურთელის ეს განცხადება რეაქციაა ბოლოდროინდელ მოვლენებზე. კერძოდ, გასულ კვირაში პოლიციამ ბექჰემის სახლთან ცხრა ბოროტმოქმედი დააკავა. ჯგუფი დევიდის მეუღლის, ვიქტორიას და ორი ვაჟიშვილის, ბრუკლინის და რომეოს გატაცებას აპირებდა, გამოსასყიდად კი 7,7 მილიონი დოლარის მიღებას გეგმავდნენ. დაკავებულები ალბანელები და რუმინელები არიან. მათ შორის 7 მამაკაცი და ორი ქალია.

■ ■ ■

**ხელბურთი.** საფრანგეთის ხელბურთელთა ნაკრებმა გაიმარჯვა შვედეთში დასრულებული მსოფლიო თასის გათამაშებაში. ფინალში “სამფეროვნებმა” დანიელებს მოუგეს 28:24 (16:15). მესამე ადგილი დაიკავა გერმანიის ნაკრებმა, ხოლო მეოთხე - რუსეთის ეროვნულმა გუნდმა.



F1 მერი ოსხელაშვილი ასაკი-16, 174/88/65/90, თვალის-ყავის, თმა-წაბლის



F2 ანა ვარშავსკაია ასაკი-15, 177/80/66/90, თვალის-ყავის, თმა-წაბლის



F3 მარი დუშუაშვილი ასაკი-15, 182/87/64/93, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის



F4 თამუნა ჭარიაშვილი ასაკი-19, 182/94/70/99, თვალის-თაფლის, თმა-წაბლის



F5 ინა აზმაიფარაშვილი ასაკი-15, 170/78/59/86, თვალის-ყავის, თმა-ღია წაბლის



F6 ქეთი ლორთქიფანიძე ასაკი-13, 172/79/59/79, თვალის-ყავის, თმა-ღია წაბლის


გაზეთი "24 საათი" და მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი" წარმოგიდგენთ სილამაზის კონკურსს

მის ფოტო მოდელი 2002

მონაწილეობის მისაღებად იწვევენ 15-დან 30 წლამდე ასაკის გოგონებს.

1. მის ფოტო მოდელი 2002
2. ვიცე მის ფოტო მოდელი 2002
3. საუკეთესო სამუშაო კონტრაქტი

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა მობრძანდით მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 45, 80-15 სართული, მოდელების სააგენტო "იმიჯ-ცენტრი", ტელ: 93 69 11

მის ფოტო მოდელი 2002 1 2 3 4 5 6



თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24



# FERRERO ფერერო

FMCG მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი და მოწინავე კომპანია სწრაფადმზარდ ბიზნესში, ეძებს ახალგაზრდა და დინამიურ

## კომერციულ ზედამხედველს

ვისაც სურს, გაიკეთოს კარიერა ვაჭრობის დეპარტამენტში საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთში. გამარჯვებული მიიღებს მაღალ ანაზღაურებას და ექნება კვალიფიკაციის ამაღლებისა და წინსვლის ბრწყინვალე შესაძლებლობები.

**კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:**

- უმაღლესი განათლება;
- ინგლისური, ფრანგული ან იტალიური ენების სრულყოფილი ცოდნა;
- კარგად განვითარებული კომუნიკაციის უნარი;
- მარკეტინგის სფეროში მუშაობის გამოცდილება
- კავკასიის ქვეყნებში მოგზაურობისათვის მზადყოფნა
- კომპიუტერზე მუშაობის ბრწყინვალე ცოდნა;
- მანქანა და მართვის მოწმობა;
- 30-35 წლამდე ასაკი
- ეროვნება - რუსი ან ქართველი

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ, გამოაგზავნონ CV (ინგლისურ ენაზე) ქვემოთმოცემულ კოორდინატებზე არაუგვიანეს 2002 წლის 15 ნოემბრისა. ყველა საბუთის კონფიდენციალურობა უზრუნველყოფილი იქნება.

E-mail: giorgi@tvplus.ge
Fax: 330 220, 226 335



სააქციო საზოგადოება ყაზბეგი აწარმოებს ცივი ჩაის წამახალისებელ ლატარეას

ყაზბეგი

გათამაშებული პრიზები მიეწოდება ცივი ჩაის სასმელის შიდა მხარეზე

მოგებული პრიზის მისაღებად აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შესაბამისი საცობი

წამახალისებელი ლატარეა გასტანს 2002 წლის 21 დეკემბრამდე

მოგებული პრიზების გაცემა გასტანს 2002 წლის 30 დეკემბრამდე.

ქ. თბილისი, მზიური ზაურაძის სანაპირო №7. ტელ.: (995 32) 94 25 74



# წამალი "სალხინო"
## ქართული ფლორის საოცრება

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგვარდება.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.